

ნიბნი  
ქუჩისა

ქველი  
აღთება



საქართველოს საპატრიარქო  
2006

დაიბეჭდა  
უწმინდესისა და უნეტარესის  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II  
ლოცვა-კურთხევით

## წინასიტყვაობა

წმიდა წერილის მთარგმნელის წინაშე დგას ორი ამოცანა: ისტორიულად არსებული რედაქციებიდან, რომელი ტექსტი მიიჩნის ავტორიტეტულად და დედანიან მიხედვით და თარგმნისას რა პრინციპებით იხელმძღვანელოს. ყუპრანში აღმოჩენილი ხელნაწერები მოწმობენ, რომ I საუკუნისთვის არსებობდა ებრაული ტექსტის რამდენიმე რედაქცია. აქედან ზოგი ახლოს არის ან ემთხვევა სეპტუაგინტას და შეიძლება მის დედნად იყოს მიჩნეული, ხოლო ზოგი ასეთივე მიმართებაშია მასორეტულ ტექსტთან.

ღვთის სიტყვა ადამიანის ენაზე გამოითქვა. არსობრივად იგი ერთია და უცვლელი საუკუნეების მანძილზე. ეს სიტყვა ესმოდა ადამს და ევას, ენოქს და ნოეს, აბრაამს და მოსეს, წინასწარმეტყველებს და მოციქულებს. ღვთაებრივი ენა და სიტყვა ადამიანთან სიახლოვის შესაბამისად უფრო ცხადდება, ვრცელი და ყოვლისმომცველი ხდება და ადამიანის მიერ მეტად ცნობიერდება. ვერბალური სახე ამ სიტყვისა ადამიანური საწყისის შესაბამისად ცვალებადია. მხოლოდ ღვთისაგან ადამიანის გაუცხოება იწვევს ღვთის სიტყვის რღვევას მის ცნობიერებაში. ამაში ამხელდა მაცხოვარი ფარისეელებს და მწიგნობრებს, რადგან ღვთის მცნება კაცთა სწავლებით შეცვალეს.

წმიდა ბასილი დიდი ექვსი წლის შესახებ ჰომილიების შესავალ სიტყვაში, გულისხმობს რა მოსე წინასწარმეტყველს, ამბობს: „ვინც ანგელოზთა მსგავსად ღმრთის პირისპირ ხილვის ღირსი გახდა, იმას მოგვითხრობს, რაც ღმრთისაგან ესმა.“\* ხოლო ვინც წმიდა წერილის წაკითხვას და შესწავლას აპირებს, მათ განუმარტავს: „როგორ უნდა იყოს სული მომზადებული ამგვარ დიდთა საქმეთა ყურადსაძლევად? ხორციელ ვნებათაგან განწყენილი... შრომისმოყვარე, გამოძიებული“,\*\* – და სხვა სათნოებებით შემკული, მოსე წინასწარმეტყველის მსგავსად. მით უმეტეს ამგვარ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს წმინდა წერილის მთარგმნელი.

თანამედროვე ქართულ ენაზე დღეს არსებობს ორი თარგმანი: საპატრიარქოსი (1989 წ.) და სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტისა (2002 წ.). ორივე წარმოადგენს მასორეტული ტექსტის თარგმანს.

წინამდებარე ტექსტი თარგმნილია სეპტუაგინტიდან. სეპტუაგინტა და, შესაბამისად, მისი ებრაული დედანი-რედაქცია ეკლესიის მიერ მიღებულია კანონიკურ ტექსტად. მოციქულები ძველი აღთქმის წიგნების ციტირებას, ძირითადად, ამ ტექსტის მიხედვით ახდენდნენ. ამ ტექსტის გვიანდელი რევიზიები (აკვილა, სვიმაქოსი, თეოდოტიონი) ეკლესიამ არ მიიღო. გარდა ამ უტყუარი მოწმობისა, ჩვენი არჩევანი მასორეტულ ტექსტსა და სეპტუაგინტას შორის ითვალისწინებს ხანგრძლივ და რთულ ისტორიულ პროცესში პირვანდელი ტექსტის ფიქსაციისა და დაზიანების პირობებს.

მოსე წინასწარმეტყველის დროიდან მეფე დავითის ხანამდე, მწიგნობრობა ნაკლებად იყო განვითარებული ებრაელთა შორის. გადმოცემა ამ

\* წმიდა ბასილი დიდი, თხზულებანი, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2006, გვ. 206.

\*\* იქვე, გვ. 205.

პერიოდში მხოლოდ სამ სულიერ მწერალს იცნობს: მოსეს, ისუ ნავეს ძეს და სამოელ წინასწარმეტყველს. დავითისა და სოლომონის დროს სწრაფად ვითარდება სასულიერო მწერლობა, საგულისხმოა, რომ წიგნების გადაშერთა რიცხვიც დიდი იქნებოდა. ამ დროს, იერუსალიმის ტაძრის მშენებლობის დასრულებისთანავე, ყველაზე ავტორიტეტული ხელნაწერები, როგორც სიწმინდე, ტაძრის საცავში იქნებოდა შენახული. ტექსტის დაზიანების, ან განსხვავებული რედაქციების შექმნის შესაძლებლობა ნაკლებია დროის სიმცირის გამო. ამავე დროს დავითისა და სოლომონის ზედამხედველობის გარეშე ასეთი საპასუხისმგებლო საქმე არ შესრულდებოდა. სამეფოს გაყოფის შემდეგ ბაბილონის ტყვეობამდე და ტყვეობაში ყოფნისას, ძირითადად, წინასწარმეტყველთა წიგნები იწერება. ამ პერიოდის ისტორიულ წიგნებში (მფ. III, მფ. IV) არ მოიქებება რაიმე მინიშნება საღმრთო წერილის სარედაქციო სამუშაოებზე. ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ეზრა და ნეემია ხალხის წინაშე კითხულობდნენ სჯულის წიგნებს (ნეემ. 8) და აღმოჩნდა, რომ ხალხს ზოგი რამ სჯულიდან უკვე დავიწყებული ჰქონდა, რაც, გარკვეულწილად, ადასტურებს ზემოთქმულ მოსაზრებას. ეზრას და ნეემიას დროიდან ხალხის დამოძღვრისა და განსწავლის მიზნით აქტიურად იწყება წიგნების გადაწერა, რაც შესაძლებელს ხდის გადაშერთა შეცდომების შედეგად განსხვავებული ვერსიების შექმნას. მაგრამ ამ დროს ტაძარი უკვე აღდგენილია და ცხადია, რომ ყველაზე ძველი და ავტორიტეტული ტექსტი, ტაძრის ჭურჭელთან და განძეულობასთან ერთად, რომელიც ნაბუქოდონოსორმა წაიღო იერუსალიმიდან, კვლავ ტაძრის საცავში შეინახებოდა (ნეემ. 8:4-5). სეპტუაგინტა, როგორც გადმოცემა იუწყება, სწორედ ტაძრიდან აღებული დენიდან ითარგმნება პტოლემეოს ფილადელფოსის დროს. ეს მიგვანიშნებს იმას, რომ ეს ტექსტი შედარებით ნაკლებად იქნებოდა დაზიანებული გადაშერთა მიერ. კრიტიკული მეცნიერება ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს,\* რომ სეპტუაგინტას ებრაული დენად არ იყო ერთიანი ტექსტი, მაგრამ არც მისი ძირითადი ნაწილის იერუსალიმურ წარმომავლობას უარყოფს. მოგვიანებით, ებრაელთა საზოგადოების დანაწევრება ფარისეველებად, სადუკეველებად, ზილოტებად, ესეველებად – მათი წმიდა წერილისადმი განსხვავებული დამოკიდებულების გამო – გამოიწვევა ტექსტის ზოგიერთი ადგილის სხვადასხვა ინტერპრეტირებას და ახალი რედაქციების შექმნას. მსგავსი რამ დღესაც ხდება. საკმარისია, ერთმანეთს შევადართო პროტესტანტული დენომინაციების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული ტექსტები. მართლმადიდებელი ეკლესია კი ოცი საუკუნის მანძილზე თავის ლიტურგიულ მსახურებაში იყენებს სეპტუაგინტას და მისგან ნათარგმნ ძველ ტექსტებს. ზემოთ მოყვანილმა მოსაზრებებმა: ეკლესიის მოწმობის ავტორიტეტულობამ და ისტორიულად უქველესი და ნაკლებად სახეცვლილი ტექსტიდან თარგმნამ, განაპირობა ჩვენი არჩევანი – გვეთარგმნა სეპტუაგინტა და არა მასორეტული ტექსტი. ამ ორ ტექსტს შორის არის მთელი რიგი შინაარსობრივი განსხვავებებისა, რომელთა ანალიზი გვიდასტურებს სეპტუაგინტიდან თარგმნის აუცილებლობას. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს. სეპტუაგინტას ტექსტი ძველი

\*  
4

ქართული თარგმანების მიხედვით არის მოცემული, ხოლო მასორეტული ტექსტი – საპატრიარქოს 1989 წლისა და თელ-ავიეში ქართულენოვანი ებრაელებისათვის 1988 წელს შესრულებული თარგმანების მიხედვით.

სექტუაგინტა – „და დასდვა ღმერთმან განკ რეება ადამს ზედა და და-  
აძინა...“ (2, 21)

მასორეტული – „უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა და-  
ეძინა...“

„და მოჰგვარა ადამიანს უფალმა ღმერთმა ღრმა ძილი; და როცა დაეძინა...“

„განკვირვება“ ან „გაოგნება“ მეტყველებს ადამის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, იმ ძილის მისტიკურ მნიშვნელობაზე. ხოლო გამოთქმა „ღრმა ძილი“, „ძილქუში“ – მხოლოდ ძილის ოდენობაზე.

სექტუაგინტა – „გუელი იყო უცნობიღეს...“ (უკონიერესი) (3, 1)

მასორეტული – „გველი ყველაზე ცბიერი იყო...“

„გველი იყო ყველაზე ეშმაკი...“

ყველა ქმნილების შესახებ ბიბლიაში ნათქვამია: „იხილა ღმერთმან რამეთუ კეთილ...“ ხოლო, მასორეტულ ტექსტში, ქმნილებების შედარება ცოდვით დაკავშირებული ნეგატიური თვისების ნიშნით ხდება, რაც შეუსაბამოა.

სექტუაგინტა – „მორთუა კაინს ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხურპლი უფალსა. და აბელ მორთუა მანცა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან. და მოიხილა ღმერთმან აბელსა ზედა და ძღუენთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხურპლთა მისთა ზედა არა მოიხილა.“ (4, 3-5)

მასორეტული – „მორთუა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. აბელმაც მორთუა თავისი ფარის ნათავარი და რჩეული პირუტყვი. მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს. ხოლო კაენსა და მის ძღვენს არ მოჰხედა...“

„მოიტანა კაინმა მიწის ნაყოფისაგან ძღვენი უფლისათვის. და ჰებელმაც მოიყვანა თავისი ცხვრების პირველშობილნი, და მათი ცხიმეული; და უფალმა ყურადღება მიაქცია ჰებელსა და მის ძღვენს, ხოლო კაინსა და მის ძღვენს არ მიაქცია ყურადღება...“

სექტუაგინტას ტექსტში ნათლად ჩანს განსხვავება კაინისა და აბელის ქმედებებს შორის. პირველი სწირავს „მსხვერპლს“, მეორე კი – „ძღვენს“, რაც იძლევა ღვთის მართლმსაჯულების განმარტების საფუძველს; ხოლო მასორეტულ ტექსტში ორივეს ქმედება ერთი და იმავე სიტყვით არის დახასიათებული, კაენიც და აბელიც „ძღვენს“ სწირავენ და არ ჩანს მიზეზი კაენის ქმედების დაწუნებისა.

სექტუაგინტა – „არცა მართლად შემოწირე, ხოლო მართლად არა განჰყავს ცოდვე? დაყუდენ! შენდამი მიქცევა მისი და შენ ჰმსთავრობდი მას.“ (4,7)

მასორეტული – „თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ღტოლვა, შენ კი იბატონე მასზე.“

„თუ გამოსწორდები, ხომ გეპატიება, და თუ არ გამოსწორდები, შემოსასვლელში ცოდვა დევს და შენსკენაა მომართული მისი ვნება; მაგრამ შენ იბატონებ მასზე.“

ბერძნულ ტექსტში ამ მუხლის პირველი ნახევარი წარმოადგენს მხილებას, ხოლო მეორე ნახევარი – ნუგეშს. მათ ყოფს და აკავშირებს სიტყვა „დაყუდენ“ – დამშვიდდი, დაწყნარდი, გაჩერდი, რომლის გამოც მუხლის მეორე ნაწილის სიტყვები „შენდამი მოქცევა მისი“ არ მიემართება

ცოდვას. მამათა განმარტებით, აქ იგულისხმება მომავალში აბელის დამოკიდებულება კაენის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ უფლისათვის აბელის ძღვენი სათნო იყო, იგი დარჩებოდა უფროსი ძმის მორჩილებაში. ამით უფალი ანუგეშებდა კაენს, რომ შურის გრძობა მასში არ გადაზრდილიყო სიძულელიში; ხოლო ებრაულ ტექსტში სიტყვები: „შენსკენ აქვს მას ღტოლვა“, „შენსკენაა მიმართული მისი ვება“, უდავოდ, მიმართება ცოდვას. ამის გამო ბოლო სიტყვა: „შენ იბატონებ მასზე“, – უშვებს იმ აზრს, რომ ადამიანს თვითონ შეუძლია იბატონოს ცოდვაზე. ადამიანს ეს რომ შეეძლოს, მას მხსნელი არ დასჭირდებოდა.

სეპტუაგინტა – „...ყვით თავთა თ სთათ ს სახელი პირველ განთესვისა ჩუენისა...“ (11, 4).

მასორეტული – „...ადემართთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ...“

„...მოვიპოვოთ სახელი, რათა არ გავიფანტოთ...“

ღვთის მიერ ნოეს და მისი შვილების კურთხევა მოასწავებდა მომავალში ადამიანთა მოდგმის გაფანტვას მთელ დედამიწაზე (9,27). ზეპირსიტყვიერი გადმოცემა ამის შესახებ ცნობილი იქნებოდა ბაბილონის გოდლის მშენებლებისათვის. ღვთის მიმართ მათი ურჩობა სეპტუაგინტამ გადმოსცა, როგორც მცდელობა – სანამ ერთად არიან, დატოვონ ნიშანი თავისი ძლიერებისა; ხოლო მასორეტული ტექსტი ღვთის განგებისადმი ამ ურჩობას გამოხატავს, როგორც იმედს – თუ გოდოლს ააშენებენ, არ გაიფანტებიან.

სეპტუაგინტა – „...ვისცა ესმეს, ჩემ თანა უხაროდის“ (21,6).

მასორეტული – „...ვინც კი გაიგებს ამ ამბავს, ყველა დამცინებს...“

„...ყველა, ვინც მოისმენს, გაიცინებს ჩემზე...“

ისააკის დაბადებასთან დაკავშირებით სიტყვა „სიცილი“ კონტექსტის მიხედვით ორი მნიშვნელობით იხმარება: აბრაამს ღვთის დაპირების გაგონებაზე სიხარულის გამო გაეცინა (17,17), ხოლო სარამ ღვთის სიტყვის გაგონებაზე ეჭვისა და დაუჯერებლობის გამო გაიცინა (18,12). ისააკის შობის შემდეგ ეჭვის და დაუჯერებლობის ნაცვლად სიხარულია, ამიტომ, სეპტუაგინტა, მოვლენის არსობრივ მნიშვნელობას გადმოსცემს სიტყვებით: „ჩემ თანა უხაროდის“, ხოლო მასორეტული ტექსტი იმას, რაც სიხარულის მიზეზი უნდა ყოფილიყო, დაცინვის საგნად წარმოაჩენს სიტყვებით: „ყველა დამცინებს“, ან „გაიცინებს ჩემზე“, რაც ტექსტის შინაარსის საპირისპირო წარმოდგენას ქმნის.

სეპტუაგინტა – „და თქუა რაქელ: შემეწია მე ღმერთი და მივესწორე დასა ჩემსა...“ (30,8).

მასორეტული – „...თქვა რახელმა: ღვთიური შებოით შევები ჩემს დას და დავჯახებე კიდევ...“

„და თქვა რახელმა: ღვთაებრივი ბრძოლით ვებრძოდი ჩემს დას და დავძლიე კიდევ...“

ღვთიურ ბრძოლაში (შებმაში) იგულისხმება ლოცვა-ვედრება რაქელი-სა. შექმნილი შვილის სახელი, ნეფთალემი, ებრაულად ბრძოლას ნიშნავს. მასორეტული ტექსტი აღნიშნავს მოქმედებას, რაქელის ღვაწლს, შებმას, ბრძოლას, ხოლო სეპტუაგინტა – მის შედეგს. „შემეწია მე ღმერთი“. ვინც ბერძნულად თარგმნიდა, ხაზი გაუსვა იმას, რომ პირადი ღვაწლი მხოლოდ ღვთის შეწვევის შემთხვევაში არის კეთილნაყოფიერი. ამ მუხლის

მეორე ნახევარი მასორეტული ტექსტის მიხედვით: „დავჯაბნე (ან დავძლიე) კიდევ,“ – არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ღიას უკვე ჰყავდა ოთხი საკუთარი შვილი, რაქელს კი მხეველისგან ნაშვილები მხოლოდ მეორე შეეძინა. სეპტუაგინტას ვარიანტი: „მივეწვორე დასა ჩემსა“, ანუ გაეუთანასწორდი, გაეუტოლდი, შეიღიერი გავხდი უფრო ახლოს არის სინამდვილესთან. მასორეტულიდან ნათარგმნი ტექსტის მიხედვით რაქელი წარმოგვიდგება, როგორც მიკერძოებული ემოციების მქონე ადამიანი, რომლისთვის თავისი მცირე წარმატება სხვის დიდ წარმატებაზე მეტია. სეპტუაგინტას მიხედვით კი რაქელი წარმატების სურვილს სიმართლის ფარგლებში გამოხატავს, რაც გონიერების თვისებაა.

სეპტუაგინტა – „...განსძლიერდე ღმრთისა თანა და კაცთა თანაცა ძლიერ იქმნე“ (32,29).

მასორეტული – „...რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და ხდიე“ (32, 28).

„...რამეთუ ებრძოდი ანგელოზსა და ადამიანებს, და გაიმარჯვე“ (32,29).

ღმერთთან ბრძოლა ამ შემთხვევაშიც გაძლიერებულ ღოცვას გულისხმობს, მაგრამ მასორეტულიდან ნათარგმნი ტექსტში წარსული დროის ფორმით მისი გამოხატვა იაკობის ღმერთთან ურთიერთობას დროის კატეგორიით ზღუდავს და არ უტოვებს ადგილს სამომავლო ნუგეშს. ადამიანებთან ბრძოლაში ამ კონტექსტში იგულისხმება ესავთან და ლაბანთან ურთიერთობა. ხოლო მომავალში სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შედეგი უცნობი რჩება.

სეპტუაგინტა იაკობის ურთიერთობას ღმერთთან („განსძლიერდე ღმრთისა თანა“) და ადამიანებთან („და კაცთა თანაცა ძლიერ იქმნე“) მომავლი დროის ფორმით გადმოსცემს. ამ შემთხვევაში, ადამიანებში იგულისხმება არა მარტო ესავი, ან ფარაონი, არამედ ისრაელის მოდგმის ურთიერთობა ყველა ძალაუფლების მქონე ადამიანთან.

მასორეტული ტექსტი ღმერთთან და ადამიანებთან ბრძოლასა და ძლევაზე აქცენტს თანაბრად აკეთებს, ხოლო სეპტუაგინტა ხაზს უსვამს, რომ ადამიანებთან გაძლიერების საწინდარი ღმერთთან ერთობის გაძლიერებაში მდგომარეობს.

სეპტუაგინტა – „...და დასდევს ბრალი ბოროტი იოსებს ისრაელისა მიმართ, მამისა თ სისა“ (37,2).

მასორეტული – „...ცუდი ამბები მიჰქონდა მათზე მათ მამასთან.“

„...და მიჰქონდა იოსებს მათი ცუდი ამბები მათ მამასთან.“

ტექსტობრივ განსხვავებას: იოსებს მიჰქონდა მამასთან ძმების ცუდი ამბები, თუ ძმები შურის გამო ცილს სწამებდნენ იოსებს მამის წინაშე, ეკზეგეტური მნიშვნელობა აქვს. იოსები, ისევე როგორც აბელი, ძველი აღთქმის წიგნებში ქრისტეს ერთ-ერთი წინასახეა. მასორეტული ტექსტის ვერსია ამგვარი პარალელის გავლების საშუალებას, ამ შემთხვევაში, არ გვიტოვებს და ეწინააღმდეგება წმიდა მამების განმარტებას, რომელიც სეპტუაგინტის ტექსტზეა დამყარებული.

სეპტუაგინტა – „...ღეკუ ღომისა იუდა, მცენარისაგან, აღმო ედ, შვილო ჩემო; მიწოლით დაიძინო ვითარცა ღომიანი და ვითარცა ღეკუმიანი ღომისამან. ვინ-მე ადაღინოს იგი?“

არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან და წინამძღვარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდე მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს, და იგი არს მოლოდება წარმართთა“ (49,9-10).

მასორეტული – „ლომის ბოკვერია იუდა! წარმომდგახარ შვილო, ნადავლით ხელში; წაიხარა, გაწვა ლომით, ვინ გაბედავს მის წამოგდებას?

არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა.“

„ლომის ბოკვერია იეჰუდა; ძალმომრეობას, ჩემო შვილო, განერიდე; მუხლი მოიდრიკა, დაწვა, ვითარცა ლომი, და ვითარცა ჯიქი, ვინ წამოაყენებს მას?

არ მოსცილდება სკიპტრა იეჰუდას და კანონმდებელი მის შთამომავლობას, ვიდრე მოვიდოდეს შილოში და მას დაემორჩილებიან ხალხები.“

იაკობის ეს სიტყვები წარმოადგენს წინასწარმეტყველებას მაცხოვრის შესახებ, რომელიც იუდას ტომში განცხადდა. მასორეტული ტექსტის თარგმანები, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

„წარმომდგახარ შვილო, ნადავლით ხელში“ – რუსულ თარგმანთან არის ახლოს და გულისხმობს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით ხსნის მოპოვებას კაცობრიობისათვის; ხოლო თელ-ავივში შესრულებული თარგმანი აქ განსხვავებულ ვერსიას გეთავაზობს: „ძალმომრეობას, ჩემო შვილო, განერიდე“, ანუ წინ არ აღუდგეს ბოროტებას და ღვთის განგებისადმი მორჩილებით იღვაწოს. ეს იქნება ხსნის საწინდარი.

სეპტუაგინტაშე შემოგვინახა განსხვავებული რედაქცია: „მცენარისაგან აღმო ედ, შვილო ჩემო“, ეს სიტყვა ქალწულისაგან შობის საიდუმლოს მოასწავებს. ხოლო ამის შემდგომი სიტყვები მკვდრეთით აღდგომის შესახებ წინასწარმეტყველებას წარმოადგენს.

შემდეგ მუხლში (49,10) ებრაელ მთარგმნელებს სიტყვა „შილოში“ უთარგმნელად გადმოაქვთ ქართულში. სხვები ამ სიტყვას თარგმნიან, როგორც „მფლობელს“, „შემრიგებელს“, ხოლო სეპტუაგინტა მხსნელის შესახებ აქ სხვაგვარად ამბობს: „ვიდრემდე მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს“, ანუ მაცხოვარი მოვა მაშინ, როდესაც მსოფლიო მზად იქნება მის მისაღებად.

ტექსტობრივი და შინაარსობრივი განსხვავებების გარდა სეპტუაგინტას და მასორეტული ტექსტის მთარგმნელები თარგმნის განსხვავებულ პრინციპებს მიმართავენ. რადგან ღვთის სიტყვა ადამიანის ენაზე გამოითქვა, მთარგმნელს მართებს უცვლელის გამოთქმა თავის ენაზე, ანუ ცვალებადზე. ამ პროცესში პასუხისმგებლობასთან ერთად მთარგმნელს აქვს გარკვეული თავისუფლება. სეპტუაგინტას მთარგმნელებმა ბიბლიური ტოპონიმები და ადამიანთა საკუთარი სახელები, ხშირ შემთხვევაში, შინაარსობრივად თარგმნეს, რათა გასაგები ყოფილიყო არაებრაელი მკითხველისათვის. ამ ტრადიციას ინარჩუნებს ის, ვინც სეპტუაგინტას ტექსტის მიხედვით თარგმნის.

მაგალითად: სეპტუაგინტაში და სეპტუაგინტიდან ნათარგმნ ტექსტებში „ბაბილონი“ თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ითარგმნა, როგორც „ადრევა“ (ძვ. „შერევა“). მასორეტული ტექსტის მთარგმნელები უცვლელად ტოვებენ „ბაბილონს“ და მომდევნო წინადადებაში უკვე შინაარსობრივად



თარგმნიან „აღრვეად.“ ამ შემთხვევაში არაებრაელი მკითხველი თვითონ უნდა მიხედვს „ბაბილონსა“ და „აღრვეას“ შორის რა კავშირია.

სეპტუაგინტა – „ამისთ ს ეწოდა სახელი მისი შერევნა“ (11,9).

მასორეტული – „ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა“.

ჩვენს გამოცემაში ამგვარ შემთხვევებში გამოყენებულია სქოლიოები. ძირითად ტექსტში სეპტუაგინტას მიყვებით, ხოლო სქოლიოში შინაარსს ვაკავშირებთ ებრაულ ტოპონიმთან. მაგალითად:

მაღალი ქვეყანა – მორიის ქვეყანა (22,2); ფიცის ჭა – ბერსაბია (21,31; 26,33); სახლი ღვთისა – ბეთელი (28,19); ბორცვი მოწმე – გალაადი (31,47); ბანაკები – მახანაიმი (32,3); სახე ღვთისა – ფენუელი (32,31); კარები – სუქოთი (33,17); ძე ჩემი ტკივილისა – ბენ ონი (35,18) და სხვ.

არის შემთხვევები, როცა სეპტუაგინტა, პირიქით, უთარგმნელად ტოვებს ებრაულ ტერმინებს. ამ შემთხვევებშიც ჩვენ მივმართავთ სქოლიოებს, რათა მკითხველისთვის გასაგები იყოს ტერმინების მნიშვნელობა. მაგალითად:

ქაბრათა – სიგრძის ერთეული (35,16); იამინი – ცხელი წყარო (36,24); ძე-მასეკი – მმართველი, განმგებელი, მოურავი (15,2); სიკიმა – მიწის ნაკვეთი სიქემთან (48,22) და სხვ.

ტოპონიმების, ადამიანთა საკუთარი სახელების და გარკვეული ტერმინების საკითხს სეპტუაგინტაში ცალკე გამოკვლევა სჭირდება, რაც სცილდება წინასიტყვაობის ფარგლებს.

შინაარსის ნათელსაყოფად ისევ სქოლიოებით განვმარტავთ ზოგიერთი სიტყვის და გამოთქმის მნიშვნელობას. მაგალითად: მორთულობა (2,1), გარდაცვალა (5,24), ღვთის ძეები, ადამიანთა ასულები (6,2), გამირები (6,4), აღმდგომი (7,19) და სხვ.

ოშკისა და გელათის ბიბლიის ერთმანეთთან შედარება, ისევე როგორც მასორეტული ტექსტის თანამედროვე თარგმანების სხვადასხვა რედაქციებისა, გვაძლევს მაგალითს მთარგმნელის თავისუფლების ფარგლებისა. ეს თავისუფლება სამი სახისაა:

პირველი – დედნის ტექსტის იმ ენის ნორმებში მოქცევის ფარგლები, რომელზედაც ითარგმნება. აქ ჩვენ მივმართეთ კლება-მატების მეთოდს. მაგალითად: „...და ცუდად ექცეოდა მას სარა და გაიქცა მისგან“, – დედანში წერია: „გაიქცა მისი პირისგან“ (16,16). „ნუ მიხედავ უკან, ნურც განერდები მთელ შემოგარენში, მთაში გადარნი, რათა არ გაიზიარო მათი ხედვრი“ (19,17). „ხვედრი“ ჩაეუმატეთ, რათა წინადადება ქართულად იყოს გამართული. ჩამატებული სიტყვები დავებტავთ დახრილი შრიფტით.

მეორე – იმ ენის ნორმების, რომელზედაც ითარგმნება, დედნის ტექსტისადმი დაქვემდებარების ფარგლები. ჩვენს შემთხვევაში ეს არის სეპტუაგინტაში არსებული ებრაიზმების შენარჩუნება თარგმანში. მაგალითად: „...მოუხმო ესავს, თავის უფროს ძეს, და უთხრა მას: ძეო ჩემო; და თქვა: აჰა მე“ (27,1); „...აჰა თქვენი თვალები ხელავენ და ბენიამენის, ჩემი ძმის, თვალებიც, რომ ჩემი პირი გელაპარაკათ თქვენ“ (45,12).

ჩვენს თარგმანში პუნქტუაცია გამოყენებულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით; მაგრამ რთულ თანწყობილ წინადადებებში, სადაც ქვემდებარე იცვლება და მკითხველმა უნდა იგულისხმოს, „და“

კავშირის წინ მიიმეც ვწერთ. მაგალითად: „და გამოიარეს კაცებმა, მადიამელმა ვაჭრებმა, და ამოსწიეს და ამოიყვანეს იოსები ჭიდან და მიჰყიდეს იოსები ისმაელელებს ოც ოქროდ“ (37,28) იგულისხმება, რომ ძმებმა ამოსწიეს და მიჰყიდეს იოსები ისმაელელებს.

ზოგიერთ წინადადებაში შემასმენელი არ ეთანხმება რიცხვში ქვემდებარეს, მაგალითად: „და შევიდა ნოე, და მისი ძეები და მისი ცოლი და მისი ძეების ცოლები მასთან კიდობანში“ (7,7). მსგავს შემთხვევებში ჩვენ პირველ ქვემდებარეს მიიმით გამოვყოფთ დანარჩენებისგან.

მესამე – მთარგმნელის პიროვნული თვისებები: პროფესიონალიზმი, სარწმუნოებრივი, სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების წესი, გემოვნება და სხვ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმიდა წერილი ოთხ ენაზეა დაწერილი: ებრაულზე, ბერძნულზე, (სეპტუაგენტას შემთხვევაში), მთარგმნელის ენაზე და ღვთის ენაზე. მთარგმნელის პასუხისმგებლობა ამ თავისუფლების გამოყენების მართებულობაშია. ეს პრობლემა ძველი მთარგმნელების წინაშეც იდგა. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ თარგმნის პროცესში მათი გამოცდილებით ვხელმძღვანელობდით. რამდენად გავართვით თავი ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეს, დრო გამოაჩენს. ახლა კი ვკადნიერდებით და გთავაზობთ ახალ თარგმანს, რომელიც, ბუნებრივია, არ იქნება თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან. მათი დანახვა და გამოსწორება ჩვენი სამომავლო საქმეა.

## **ბიბლიის თარგმნის ჯგუფი**



დასაბამად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა.

2 ხოლო ქვეყანა იყო უხილავი და გაუმხადებელი და ბნელი იყო უფსკრულსე და სული ღვთისა მიმოიქცეოდა წყალსე.

3 და თქვა ღმერთმა: იქმნას ნათელი. და იქმნა ნათელი.

4 და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგია. და ვაყო ღმერთმა ნათელი და ბნელი.

5 და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე ერთი.

6 და თქვა ღმერთმა: იქმნას სამყარო წყლის შუაში და იყოს გამყოფი წყალსა და წყალს შორის. და იქმნა ასე.

7 და შექმნა ღმერთმა სამყარო. და ვაყო ღმერთმა წყალი, რომელიც იყო სამყაროს ქვემოთ, და წყალი – სამყაროს ზემოთ.

8 და უწოდა ღმერთმა სამყაროს ცა. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე მეორე.

9 და თქვა ღმერთმა: შეიკრიბოს წყალი, რომელიც არის ცის ქვეშ, ერთ შესაკ-

რებელში და გამოჩნდეს სმელოთი. და იქმნა ასე. და შეიკრიბა წყალი ცის ქვეშ თავის შესაკრებლებში და გამოჩნდა სმელოთი.

10 და უწოდა ღმერთმა სმელოთს მიწა და წყალთა შესაკრებლებს უწოდა ზღვები. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

11 და თქვა ღმერთმა: აღმოაცუნოს მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი გვარისამებრ და მსვავსებისამებრ, და ხე ნაყოფიერი, ნაყოფის გამოძლევი, რომლის თესლი მასში გვარისამებრ არის ქვეყანასე. და იქმნა ასე.

12 და გამოიღო მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი გვარისამებრ და მსვავსებისამებრ, და ხე ნაყოფიერი, ნაყოფის გამოძლევი, რომლის თესლი მასში გვარისამებრ არის ქვეყანასე. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

13 და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე მესამე.

14 და თქვა ღმერთმა: იქმნას მნათობები ცის სამყაროში გასანათებლად ქვეყნისა, გასაყოფად დღისა და ღამისა და იყენონ ხიშვებად და დროებად და დღეებად და წელიწადებად,

15 და იუენენ განსანათებლად ცის სამეაროში, რათა ანათებდნენ ქვეყანაზე. და იქმნა ასე.

16 და შექმნა ღმერთმა ორი დიდი მნათობი: დიდი მნათობი – დღის განმგებლად და მცირე მნათობი – ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები.

17 და დაადგინა ისინი ღმერთმა ცის სამეაროში, რათა ანათებდნენ ქვეყანაზე.

18 და განაგებდნენ დღეს და ღამეს და ყოფდნენ ხათულსა და ხეულს. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

19 და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე მყოფსე.

20 და თქვა ღმერთმა: გამოიღონ წყლებმა ქვეწარმავლები\* ცოცხალი სულით და ფრინველები, რომლებიც იფრენენ ქვეყანაზე ცის სამეაროს შესაბამისად. და იქმნა ასე.

21 და შექმნა ღმერთმა დიდი ვუძაპები და ყოველი სული ცოცხალ ქვეწარმავლთა, რომლებიც გამოიღონ წყლებმა მათი გვარისამებრ, და ყოველი ფრთოსანი ფრინველი გვარისამებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

22 და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: აღორძინდით და გამრავლდით და აავსეთ წყლები ზღვაში და ფრინველები გამრავლდნენ ქვეყანაზე.

23 და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე მყოფსე.

24 და თქვა ღმერთმა: გამოიღოს ქვეყანამ ცოცხალი სული გვარისამებრ, ოთხფეხნი და ქვეწარმავლები და მხეცები ქვეყნისა გვარისამებრ. და იქმნა ასე.

25 და შექმნა ღმერთმა მხეცები ქვეყნისა გვარისამებრ და ზირუტყვი გვარი-

სამებრ და ყოველი ქვეწარმავალი ქვეყნისა მათი გვარისამებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

26 და თქვა ღმერთმა: შექმნათ კაცი ჩვენი სტატისამებრ და მსგავსებისამებრ და მთავრობდეს ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და ზირუტყვზე და მხეცებზე მთელ ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახოხავს მიწაზე.

27 და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ნატიისამებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.

28 და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: აღორძინდით და გამრავლდით და აავსეთ ქვეყანა და დაუფლეთ მას და იმთავრეთ ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და ყველა ზირუტყვზე და მთელ ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახოხავს მიწაზე.

29 და თქვა ღმერთმა: აჰა, მოგვცით თქვენ ყველა დასათესი მცენარე, თესლის მთესველი, რომელიც არის მთელი მიწის ზედაპირზე; და ყველაზე, რომელსაც აქვს თავის თავში ნაყოფი დასათესი თესლისა, თქვენთვის იქნება საჭმელად.

30 და ქვეყნის ყველა მხეცისთვის და ცის ყველა ფრინველისთვის და ყველა ქვეწარმავლისთვის, რომელიც დახოხავს მიწაზე, რომელსაც აქვს თავის თავში სიცოცხლის სული, ყველა მწვანე მცენარე იქნება საჭმელად. და იქმნა ასე.

31 და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და აჰა, კარგია ძლიერ. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე მეექვსე.

\* ქვეწარმავლები – იგულისხმება წყალში არსებული ცხოველები, თევზები.

თავი 2

**ღ** დასრულდა ცა და ქვეყანა და მთელი მათი მორთულობა.\*

2 და დასრულდა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმეები, რაც გააკეთა; და დაისვენა მეშვიდე დღეს ყველა თავისი საქმისგან, რაც გააკეთა.

3 და აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმინდაყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ყველა თავისი საქმისგან, რომლის კეთებაც დაიწყო ღმერთმა.

4 ეს არის წიგნი ცისა და ქვეყნის შექმნისა, როდესაც შეიქმნა, რომელ დღესაც შექმნა უფალმა ღმერთმა ცა და ქვეყანა,

5 და ველის მთელი სიმწვანე – ვიდრე შეიქმნებოდა ქვეყანაზე – და ველების ყველა მცენარე – ვიდრე აღმოცენდებოდა. და არ უწვიმებია ღმერთს ქვეყანაზე, და კაცი არ იყო, რომ დაემუშავებინა მიწა.

6 ხოლო წყარო ამოდიოდა მიწიდან და რწყავდა მიწის მთელ ზედაპირს.

7 და გამოსახა ღმერთმა კაცი მიწის მცურისაგან და შობებურ მის პირს სიცოცხლის სული და შეიქმნა კაცი ცოცხალ სულად.

8 და გააშენა უფალმა ღმერთმა სამოთხე ედემში, აღმოსავლეთით, და დადო იქ კაცი, რომელიც გამოსახა.

9 და აღმოაცენა კიდევ ღმერთმა მიწიდან ყველა ხე, მშვენიერი სახილველად და კარგი საჭმელად, და ხე ცხოვრებისა – სამოთხის მუში და ხე ცნობადი – კეთილისა და ბოროტის განასრნველად.

10 და მდინარე გამოდის ედემიდან სამოთხის მოსარწყავად; იქიდან იყოფა ოთხ სათავედ.

11 სახელი ერთისა – ფისონი;\*\* ეს ვარს უვლის ვვილატის მთელ ქვეყანას,\*\*\* იქ, სადაც არის ოქრო;

12 ხოლო იმ ქვეყნის ოქრო კარგია; და იქ არის ანთრაქი და მწვანე ქვა.

13 და სახელი მეორე მდინარისა – გეონი;\*\* ეს ვარს უვლის ეთიოპიის მთელ ქვეყანას.\*\*\*\*

14 და მესამე მდინარე – ტიგრიისი. ეს მიედინება ასურეთის პირდაპირ.\*\*\*\*\* ხოლო მეოთხე მდინარე – ეს არის ეფრატე.

15 და აიყვანა უფალმა ღმერთმა კაცი, რომელიც გამოსახა, და დაადგინა იგი შუების სამოთხეში მის დასამუშავებლად და დასაცავად.

\* მორთულობა – ბერძნ. კოსმოსი, იგულისხმება ზეციური ძალები და ხილული სამყაროს ყოველი ქმნილება.

\*\* ფისონი და გეონი – წარდვნიის შემდეგ დედამიწის ზედაპირის მორფოლოგია შეიცვალა და ამ ორი მდინარის ადგილმდებარეობა დღეს უცნობია.

\*\*\* ევილატის ქვეყანა – აქ იგულისხმება სემიტებით დასახლებული ქვეყანა მესოპოტამიიდან ჩრდილო-დასავლეთით. არის მეორე ევილატეც, სამხრეთით, დასახლებული ქამიტებით (იხ. შექ. 25.18)

\*\*\*\* ეთიოპიის ქვეყანა – ებრ. ქუშის ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ ქუშიტები, ქამის შთამომავლები.

\*\*\*\*\* ასურეთი – შესაძლოა, აქ იგულისხმება არა ქვეყანა, არამედ ქალაქი, რომელიც ნამდვილად მდებარეობდა მდინარე ტიგროსის (იმავე ტიგრიისის) აღმოსავლეთ სანაპიროზე. იხ. A. I. Eirišēf, Ōf šē āšy āšāšy, ო-1, ĩāšāšāšāš 1904-1907; ასურეთის პირდაპირ – ასურეთის აღმოსავლეთით.

16 და უბრძანა უფალმა ღმერთმა ადამს\* და უთხრა: სამოთხის ყველა სიდან ჭამით ჭამე,

17 ხოლო სიდან კეთილისა და ბოროტის შეცნობისა არ ჭამოთ, რადგან, რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, სიკვდილით მოკვდებით.

18 და თქვა უფალმა ღმერთმა: არ არის კარგი კაცის მარტო ყოფნა; შეუქმნათ მას შემწე, მისი მსგავსი.

19 და გამოსახა კიდევ ღმერთმა მიწისგან ველის ყველა მხეცი და ცის ყველა ფრინველი და მიუყვანა ისინი ადამს, რათა ეჩხანა, რას უწოდებდა მათ; და ყოველივე, რაც უწოდა ადამმა ცოცხალ სულს, ეს არის მისი სახელი.

20 და უწოდა ადამმა სახელები ყველა პირუტყუს და ცის ყველა ფრინველს და ველის ყველა მხეცს, ხოლო ადამს არ მოეძებნა შემწე, თავისი მსგავსი.

21 და მოჰვარა ღმერთმა გაოგნება ადამს და დაადინა; და აიღო ერთი მის გვერდთაგან და ამოაუსო ხორციით მის ნაცვლად.

22 და აუშენა უფალმა ღმერთმა გვერდი, რომელიც აიღო ადამისგან, ცოლად და მიუყვანა იგი ადამს.

23 და თქვა ადამმა: ეს არის ახლა ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი; ამას ეწოდება ცოლი, რადგან თავისი ქმრისგან იქნა აღებული იგი.

24 ამის გამო დატოვეს კაცი თავის მამას და თავის დედას და შეუერთდება თავის ცოლს და იქნებიან ორნი ერთხორცი.

25 და იყო ორივე შიშველი, ადამიც და მისი ცოლიც, და არა რცხვენოდათ.

თავი 3

**წ**ოლო გველი იყო უგონიერესი ყველა მხეცს შორის ქვეყანაზე, რომლებიც შექმნა უფალმა ღმერთმა; და უთხრა გველმა დედაკაცს: რატომ თქვა ღმერთმა: არ ჭამოთ სამოთხის ყველა სიდან?

2 და უთხრა დედაკაცმა გველს: სამოთხის ყველა სის ნაყოფიდან ვჭამთ, ვ ხოლო სის ნაყოფიდან, რომელიც არის სამოთხის შუაში, – თქვა ღმერთმა: არ ჭამოთ მისგან, არც შეეხოთ მას, რომ არ დაინოცოთ.

4 და უთხრა გველმა დედაკაცს: სიკვდილით არ მოკვდებით,

5 რადგან იცოდა ღმერთმა, რომ, რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, ავეხილვებთ თქვენ თვალები და იქნებით, როგორც ღმერთები, შემცნობნი კეთილისა და ბოროტისა.

6 და ისილა დედაკაცმა, რომ კარგია ხე საჭმელად და რომ საძმია თვალთათვის სახილველად და მშვენიერი შესაცნობად, და აიღო მისი ნაყოფი და შეჭამა; და მისცა თან თავის ქმარსაც და შეჭამეს.

7 და აქნია თვალები ორივეს და შეიცნეს, რომ შიშველები იყვნენ, და შეკერეს ლეღვის ფოთლები და გაიკეთეს თავისთვის შემოსარტყმელები.

8 და გაიგონეს ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც დადიოდა სამოთხეში საღამოს, და დაიძაღნენ ადამიც და მისი

\* ადამი (ებრ.) – მიწა.



ცოლიც უფალი ღმერთის ზირსგან სამოთხის სის შუაში.

9 და მოუხმო უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა მას: ადამ, სადა ხარ?

10 და უთხრა მას: შენი ხმა გაუვიგონე, როცა დადიდი სამოთხეში, და შექმნინდა, რადგან შიშველი ვარ, და დავიძალე.

11 და უთხრა მას: ვინ გითხრა შენ, რომ შიშველი ხარ, თუ არ ჭამე იმ ხიდან, რომელსაც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა?

12 და თქვა ადამმა: დედაკაცმა, რომელიც მომეცა მე, მან მომცა მე ხიდან და ვჭამე.

13 და უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ქენი? და თქვა დედაკაცმა: გველმა მაცდუნა მე და ვჭამე.

14 და უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რადგან გააკეთე ეს, წვეული იყავ შენ ქვეყნის ყველა პირუტყვს შორის და ყველა მხეცს შორის; შენს მეგრდზე და მუცელზე ივლი და მიწას შეჭამ შენი ცხოვრების ყოველ დღეს.

15 და მტრობას ჩამოვაგდე შენსა და დედაკაცს შორის და შენს თესლსა და მის თესლს შორის; იგი ჩაუსაფრდება შენს თავს და შენ ჩაუსაფრდები მის ტერფს.

16 და დედაკაცს უთხრა: გამრავლებით გაუმრავლებ შენს მწუსარებას და შენს ოხვრას, მწუსარებით შობ შეილებს; და შენი ქმრისკენ მიბრუნდები შენ და იგი იბატონებს შენზე.

17 ხოლო ადამს უთხრა: რადგან ისმინე შენი ცოლის ხმისა და შეჭამე ხიდან, რომელსაც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა, წვეული იყოს მიწა შენი საქმეებით; მწუსარებით შეჭამ მას შენი ცხოვრების ყოველ დღეს;

18 კვალსა და ნარს აღმოვიცვენებს შენ და შეჭამ მინდვრის ბალახს.

19 შენი ზირის ოფლით შეჭამ შენს ზურს, ვიდრე მიუბრუნდები შენ მიწას, რომლისგანაც ხარ აღებული, რადგან მიწა ხარ და მიწად მიიტყვევი.

20 და უწოდა ადამმა სახელი თავის ცოლს – ცნოვრება,\* რადგან ივია დედა ეგვლა მცნოვრებისა.

21 და გაუკეთა უფალმა ღმერთმა ადამს და მის ცოლს ტყავის სამოსი და შემოსა ისინი.

22 და თქვა ღმერთმა: აჰა, ადამი ვანდა, როგორც ერთი ჩვენგანი, შემცნობი კეთილისა და ბოროტისა, და ახლა აღარ გაიწოდოს ხელი და არ აიღოს ცნოვრების ხიდან და არ შექმდეს და არ იცოცნლოს საუკუნოდ.

23 და გაიყვანა იგი უფალმა ღმერთმა შვების სამოთხიდან მიწის დასამუშავებლად, რომლისგანაც იყო აღებულად.

24 და განდევნა ადამი და დასახლდა იგი შვების სამოთხის ზირღანიორ და დაადგინა ქერუბიმი და ცეცხლოვანი მბრუნავი მახვილი ცნოვრების ხის გზის დასაცავად.

თაზო 4

**წ**ოლო ადამმა შეიცნო ვვა, თავისი ცოლი, და მუცლადილო და შვა კანინ, და თქვა: შვეიძინეთ კაცი ღვთის მიერ.

2 და შემაჯა და შვა მისი ძმა აბელი.\* და ვანდა აბელი ცხვრების მწყემსი, ხოლო კანინი იყო მიწათმოქმედი.

3 და იყო, გავიდა დღეები და მიართვა კანინმა მიწის საყოფთაგან მსხვერწლი უფალს

4 და აბელმაც მიართვა თავისი ცხვრების ზირმშოთაგან და მათი ცმედიდანი. და გადმოხედა ღმერთმა აბელს და მის ძღვენს,

5 ხოლო კანინს და მის მსხვერწლს არ მიხედა. და დაღონდა კანინი ძლიერ და შეეკმუნნა სახე.

6 და უთხრა უფალმა ღმერთმა კანინს: რად შეწუხდი და რად შეეკმუნნა სახე?

7 არასწორად შემოსწირე და არასწორად გავივი; შესცოდე? დაწუნარდი; შეგკენ მობრუნდება იგი და შენ იბატონებ მასზე.

8 და უთხრა კანინმა აბელს, თავის ძმას: გავიდეთ ვვლზე. და იყო, მათი ვვლზე ყოფისას აღდგა კანინი აბელზე, თავის ძმასზე, და მოკლა იგი.

9 და უთხრა ღმერთმა კანინს: სად არის აბელი, შენი ძმა? ხოლო მან თქვა: არ ვიცი. განა ჩემი ძმის მცველი ვარ მე?

10 და თქვა ღმერთმა: რა ქენი? შენი ძმის სისწლის სმა შემომდაღადებს მე მიწიდან.

11 და აწ წუეული იევა მიწისგან, რომელმაც ვანსნა თავისი ზირი, რომ მიელო შენი ძმის სისწლი შენი ხელიდან,

12 რადგან დამუშავებ მიწას, და მეტად აღარ მოგცემს თავის ძალას შენ; შევიწროებულად და შეძრწუნებულად იქნები ქვეყანაზე.

13 და უთხრა კანინმა უფალს: უფრო დიდია ჩემი დანაშაული, ვიდრე მომეტევაბა მე.

14 თუ განმდევნი მე დღეს მიწის ზირიდან და შენს ზირს მიეუფარები, ვიქნები შევიწროებულად და შეძრწუნებულად ქვეყანაზე; და იქნება, ყოველი ჩემი მშოფელი მოქლავს მე.

15 და უთხრა მას უფალმა ღმერთმა: არ იქნება ასე; კანინს ყოველი მკვლე-

\* ცხოვრება – ებრ. ხავა, ქრისტიანული ტრადიციით ვვა.

\*\* აბელი (ებრ.) – ამოება, არარაობა.





ლი შვიდგზის შურისგებული იქნება. და დაადო უფალმა ღმერთმა ნიძანი კაინს, რათა არ მოეკლა იგი უოველ მის მზოუნელს.

16 და გამოვიდა კაინი ღვთის ზირისგან და დასახლდა ნაიდის ქვეყანაში, ედემის ზირდაზირ.

17 და შეიცნო კაინმა თავისი ცოლი, და მუცლადილო და შვა ენოქი, და ააშენა ქალაქი და დარქვა ქალაქს თავისი ძის სახელისამებრ – ენოქი.

18 და ეყოლა ენოქს გაიდადი და გაიდადმა შვა მაიელი და მაიელმა შვა მათუსალა და მათუსალამ შვა ლამექი.

19 და მოიყვანა თავისთვის ლამექმა ორი ცოლი, ერთის სახელი – ადა და მეორის სახელი – სელა.

20 და შვა ადამ იობელი; ეს იყო კარგებში მკვიდრ მესაქონლეთა მამა.

21 და მისი ძმის სახელი – იუბალი; ეს იყო წარმომჩენი ქნარისა და ებნისა.

22 ხოლო სელამ კი შვა თობელი, და იყო ჭედვის ოსტატი, სპილენძისა და რკინის მჭედელი. ხოლო თობელის და იყო ხომა.

23 და უთხრა ლამექმა თავის ცოლებს: ადა და სელა, ისმინეთ ჩემი ხმისა, ლამექის ცოლებო, ურადილეთ ჩემი სიტყვები,

რადგან კაცო მოკალი ჩემს წულულად და ჭბუკი – ჩემს საგვემად,

24 რადგან შვიდგზის შურისგებულია კაინისგან, ხოლო ლამექისგან – სამოცდაათჯერ შვიდგზის.

25 ხოლო შეიცნო ადამა ევა, თავისი ცოლი, და მუცლადილო და შვა ძე, და დარქვა მისი სახელი სეთი, და თქვა: რადგან აღმიდგინა მე ღმერთმა სხვა თესლი აბელის ნაცვლად, რომელიც მოკლა კაინმა.

26 და სეთის ეყოლა ძე და დარქვა მისი სახელი ენოსი; ეს სასოებდა და უხმობდა უფალი ღმერთის სახელს.

თავი 5

1 შარის წიგნი ადამიანთა შექმნი-  
სა; რომელ დღესაც შექმნა  
ღმერთმა ადამი, ღვთის ნატისამებრ  
შექმნა იგი;

2 მამაკაცად და დედაკაცად შექმნა  
ისინი და აკურთხა ისინი. და დაარქვა  
მისი სახელი ადამი, რომელ დღესაც  
შექმნა ისინი.

3 და იცოცხლა ადამმა ორას ოცდაათი  
წელი და შვა თავისი სახისამებრ  
და თავისი ნატისამებრ და დაარქვა  
მისი სახელი სეთი.

4 ხოლო იყო ადამის დღეები სეთის  
შობის შემდეგ შვიდასი წელი და შვა  
ძეები და ასულები.

5 და იყო ადამის ყველა დღე, რაც  
იცოცხლა, ცხრას ოცდაათი წელი,  
და მოკვდა.

6 ხოლო იცოცხლა სეთმა ორას  
სუთი წელი და შვა ენოსი.

7 და იცოცხლა სეთმა ენოსის შობის  
შემდეგ შვიდასი შვიდი წელი და შვა  
ძეები და ასულები.

8 და იყო სეთის ყველა დღე ცხრას  
თორმეტი წელი, და მოკვდა.

9 და იცოცხლა ენოსმა ას ოთხ-  
მოცდაათი წელი და შვა კაინანი.

10 და იცოცხლა ენოსმა კაინანის  
შობის შემდეგ შვიდასი თხუთმეტი წე-  
ლი და შვა ძეები და ასულები.

11 და იყო ენოსის ყველა დღე ცხრა-  
ს სუთი წელი, და მოკვდა.

12 და იცოცხლა კაინანმა ას სამოცდაათი  
წელი და შვა მალელეელი.

13 და იცოცხლა კაინანმა მალელეი-  
ლის შობის შემდეგ შვიდას ორმოცი  
წელი და შვა ძეები და ასულები.

14 და იყო კაინანის ყველა დღე  
ცხრას ათი წელი, და მოკვდა.

15 და იცოცხლა მალელეელმა ას  
სამოცდასუთი წელი და შვა იარედი.

16 და იცოცხლა მალელეელმა იარედის  
შობის შემდეგ შვიდას ოცდაათი წელი  
და შვა ძეები და ასულები.

17 და იყო მალელეელის ყველა დღე  
რჯას ოთხმოცდათხუთმეტი წელი, და  
მოკვდა.

18 და იცოცხლა იარედმა ას სამოც-  
დაორი წელი და შვა ენოქი.

19 და იცოცხლა იარედმა ენოქის  
შობის შემდეგ რჯასი წელი და შვა  
ძეები და ასულები.

20 და იყო იარედის ყველა დღე ცხრას  
სამოცდაორი წელი, და მოკვდა.

21 და იცოცხლა ენოქმა ას სამოცდასუ-  
თი წელი და შვა მათუსალა.

22 და სათხო იყო ენოქი ღვთისათ-  
ვის. და იცოცხლა ენოქმა მათუსალას  
შობის შემდეგ ორასი წელი და შვა  
ძეები და ასულები.

23 და იყო ენოქის ყველა დღე სამას  
სამოცდასუთი წელი.

24 და სათხო იყო ენოქი ღვთისათვის  
და ვერ ზოულობდნებ, რადგან გარდაც-  
ვალა\* იგი ღმერთმა.

25 და იცოცხლა მათუსალამ ას სამოც-  
დაშვიდი წელი და შვა ლამექი.

26 და იცოცხლა მათუსალამ ლამექის  
შობის შემდეგ რჯას ორი წელი და  
შვა ძეები და ასულები.

\* გარდაცვალა – ღმერთმა აიყვანა ენოქი ქვეყნიდან ზეცაში ისე, რომ სიკვდილი არ განუცდია, ილია წინასწარმეტყველის მსგავსად.

27 და იყო მათუსალას უველა დღე, რაც იცოცხლა, ცხრასას სამოცდაცხრა წელი, და მოკვდა.

28 და იცოცხლა ლამექმა ას ოთხმოცდარვა წელი და შვა ძე

29 და დარქვა მისი სახელი ნოე და თქვა: ეს დავასვენებს ჩვენ ჩვენი საქმეებისაგან და ჩვენი ხელების წუნილისაგან და მიწისაგან, რომელიც დაწვეულა უფალმა ღმერთმა.

30 და იცოცხლა ლამექმა ნოეს შობის შემდეგ ხუთას სამოცდაათი წელი და შვა ძეები და ასულები.

31 და იყო ლამექის უველა დღე შვიდას ორმოცდაცამეტი წელი, და მოკვდა.

32 და იყო ნოე ხუთასი წლისა და შვა ნოემ სამი ძე: სემი, ქამი, იაფეთი.

თავი 6

**Q** და იყო, როცა დაიწყო ადამიანებმა გამრავლება ქვეყანაზე და ასულები ეყოლათ მათ,

2 ნახეს რა ღვთის ძეებმა\* ადამიანთა ასულები,\* რომ მშენიერნი არიან, მოიყვანეს თავისთვის ცოლებად უველა, ვინც ამოირჩიეს.

3 და თქვა უფალმა ღმერთმა: არ დარჩება ჩემი ხელი ამ ადამიანებში უკუნისამდე, რადგან არიან ისინი სორციელნი, და იქნება მათი დღეები ას ოცი წელი.

4 და გმირები\*\* იყვნენ ქვეყანაზე იმ დღეებში და მას შემდეგაც, რაც შე-

დიოდნენ ღვთის ძეები ადამიანთა ასულებთან და შობდნენ თავისთვის; ისინი იყვნენ გმირები ოდიოვანე, სახელოვანი ადამიანები.

5 და ისილა უფალმა ღმერთმა, რომ გამრავლდა ადამიანთა უკეთურება ქვეყანაზე და თითოეული გულმოდგინდ განიხრანავს თავის გულში ბოროტებას უოველდღე.

6 და დაფიქრდა ღმერთი, რომ შექმნა კაცი ქვეყანაზე, და განსაჯა.

7 და თქვა ღმერთმა: აღვკვი კაცს, რომელიც შევქმენი, მიწის ჰორიდან, კაციდან პირუტყვამდე და ქვეწარმავლიდან ცის ფრინველამდე, რადგან ვინახე, რომ შევქმენი ისინი.

8 ხოლო ნოემ პოვა მადლი უფალი ღმერთის წინაშე.

9 ეს არის ნოეს წარმომავლობა: ნოე იყო კაცი მართალი, სრულყოფილი, თავის მოდგმაში; ღვთისთვის სათნო იყო ნოე.

10 და შვა ნოემ სამი ძე: სემი, ქამი, იაფეთი.

11 და გაიხრწა ქვეყანა ღვთის წინაშე და აიუსო ქვეყანა უსამართლობით.

12 და ისილა უფალმა ღმერთმა ქვეყანა და იყო განრწხილი, რადგან განრწხა უოველმა სორციელმა თავისი გზა ქვეყანაზე.

13 და უთხრა ღმერთმა ნოეს: დრო უოველი კაცისა მოვიდა ჩემ წინაშე, რადგან აიუსო ქვეყანა უსამართლობით მათგან; და აჰა, მე ვაუხადგურებ მათ და ქვეყანას.

\* ღვთის ძეები – სეთის მოდგმის შვილები. ადამიანთა ასულები – კენის მოდგმის ასულები. ზოგადად, ღვთის შვილებში იგულისხმება მორწმუნე ადამიანები, ხოლო ადამიანთა შვილებში – ღვთის გარეშე მყოფნი.

\*\* გმირები – საკუთარი ძალისხმევით და არა ღვთის შეწევნით მოქმედნი.

14 ამიტომ გააკეთე შენთვის კიდობანი ოთხკუთხა ძეგლებისა; ბუდეებად გააკეთებ კიდობანს და მოგოსავ მას მიგნვიდან და გარედან ფისით.

15 და ასე გააკეთებ კიდობანს: სამასი წურთა – კიდობანის სიგრძე და ორმოცდაათი წურთა – სიგანე და ოცდაათი წურთა – მისი სიმაღლე;

16 შეკრავ და გააკეთებ კიდობანს და წურთით შემოთ დახარულებ მას; ხოლო კიდობანის კარს გააკეთებ გვერდიდან; ქვედა, შიორე სართულს და მესამე სართულს გაუკეთებ მას.

17 ხოლო მე, აპა, მოვაუფლებ წარღვნას ქვეყანაზე ყოველი ხორციელის ვასანადგურებლად, რომელიც არის სიცოცხლის სული ცის ქვეშ; და რაც არის ქვეყანაზე, აღესრულება.

18 და დავდებ ჩემს აღთქმას შენთან; და შეხვალ კიდობანში, ძენ და შენი ძეგები და შენი ცოლი და შენი ძეგების ცოლები შენთან ერთად.

19 და ყოველი პირუტყვისგან და ყოველი ქვეწარმავლისგან და ყოველი მხეცისგან და ყოველი ხორციელისგან, ორ-ორს ყველასგან შეიყვან კიდობანში, რათა გამოიკვებო შენთან ერთად; მამალი და დედალი იქნებიან.

20 ყოველი ფრთოსანი ფრინველისგან გვარის მინედვით და ყოველი პირუტყვისგან გვარის მინედვით და ყოველი ქვეწარმავლისგან, რომელიც დახოხავს მიწაზე, თავისი გვარის მინედვით, ორ-ორი ყველასგან შემოვა შენ-

თან, რათა გამოიკვებოს შენთან ერთად, მამალი და დედალი.

21 ხოლო შენ აიღებ შენთვის ყოველგვარი საკვებიდან, რასაც შეჭამთ, და შეაგროვებ შენთან; და იქნება შენთვის და მათთვის საზრდოდ.

22 და გააკეთა ნოემ ყველაფერი, რაც უბრძანა მას უფალმა ღმერთმა, ისე გააკეთა.

თავი 7

**ღ** უთხრა უფალმა ღმერთმა ნოეს: შედი შენ, და მთელი შენი სახელი კიდობანში, რადგან შენ ვნახე მართალი ჩემ წინაშე ამ მოდებამი.

2 და წმინდა პირუტყვთაგან შეიყვანე შენთან შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი, ხოლო არაწმინდა პირუტყვთაგან – ორ-ორი, მამალი და დედალი,

3 და ცის წმინდა ფრინველთაგან – შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი, და არაწმინდა ფრინველთაგან – ორ-ორი, მამალი და დედალი, თესლის შესანახად მთელ ქვეყანაზე;

4 რადგან კიდევ შვიდი დღე და მე მოვაუფლებ წვიმას ქვეყანაზე ორმოც დღეს და ორმოც ღამეს, და აღვკვი ყველა აღმდგომს,\* რაც შეექმენი, მიწის პირიდან.

5 და გააკეთა ნოემ ყველაფერი, რაც უბრძანა მას უფალმა ღმერთმა.

6 ხოლო ნოე იყო ექვსასი წლისა, და წარღვნა მოხდა ქვეყანაზე.

\* აღმდგომი – იგულისხმება ყველა ცოცხალი არსება, რომელსაც ადამის დაცემის შედეგად გაუხრდა წინააღმდეგობა ღვთის განგების მიმართ და არ შევიდა ნოესთან კიდობანში.

7 და შევიდა ნოე, და მისი ძეები და მისი ცოლი და მისი ძეების ცოლები მასთან ერთად კიდობანში წარღვნის გამო; 8 და წმინდა ფრინველთაგან და პირუტყვთაგან და არასწმინდა პირუტყვთაგან და ყველა ქვეწარმავლისგან, რაც ქვეყანასზეა,

9 ორ-ორი შევიდა ნოესთან კიდობანში, მამალი და დედალი, როგორც უბრძანა მას ღმერთმა.

10 და იყო, შვიდი დღის შემდეგ წარღვნა მოხდა ქვეყანასზე.

11 ნოეს ცხოვრების მეექვსეწელს, მეორე თვეს, თვის ოცდამეშვიდე დღეს – ამ დღეს გამოხეთქა უფსკრულის ყველა წყარო და ცის სარკმლები გაიხსნა,

12 და იყო წვიმა ქვეყანასზე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

13 ამ დღეს შევიდა ნოე, სემი, ქამი, იაფეთი – ნოეს ძეები – და ნოეს ცოლი და მისი ძეების სამი ცოლი მასთან ერთად კიდობანში.

14 და ყველა მსუცი ვეზრის მინედვით და ყველა პირუტყვი ვეზრის მინედვით და ყველა ქვეწარმავალი, რომელიც მოძრაობს მიწაზე, ვეზრის მინედვით და ყველა ფრინველი თავისი ვეზრის მინედვით

15 შევიდა ნოესთან კიდობანში, ორ-ორი ყველა სორცვილისგან, რომელიც არის სიცოცხლის სული.

16 და რომელიც შედიოდნენ, მამალი და დედალი ყველა სორცვილისგან, შევიდნენ, როგორც უბრძანა ღმერთმა ნოეს. და დაუკეტა უფაღმა ღმერთმა გარედან მას კიდობანი.

17 და იყო წარღვნა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქვეყანასზე და იმატა წყაღმა და ასწია კიდობანი, და ამაღლდა მიწიდან.

18 და ძლიერდებოდა წყალი და მატულობდა ძლიერ ქვეყანასზე და დაცურავდა კიდობანი წყლის სედაპირზე.

19 ხოლო წყალი ძლიერდებოდა მეტად ძლიერ ქვეყანასზე და დაფარა ყველა მაღალი მთა, რომელიც იყო ცის ქვეშ;

20 თხუთმეტ წურთასზე ამაღლდა წყალი და დაფარა ყველა მაღალი მთა.

21 და მოკვდა ყოველი სორცვილი, რომელიც მოძრაობს მიწაზე, ფრინველთაგან და პირუტყვთაგან და მსუცთაგან, და ყოველი ქვეწარმავალი, რომელიც მოძრაობს მიწაზე, და ყოველი ადამიანი.

22 და ყოველივე, რასაც აქვს სიცოცხლის სული, და ყოველივე, რაც იყო ხმელეთზე, მოკვდა.

23 და აღგავა ყოველი აღმდგომი, რაც იყო მიწის მიწის პირზე, კაციდან პირუტყვამდე, და ქვეწარმავალთაგან და ცის ფრინველთაგან; და აღიხრცნენ ქვეყნიდან; და დარჩა მხოლოდ ნოე და მასთან მეოფნი კიდობანში.

24 და მალღებებოდა წყალი ქვეყანასზე ას ორმოცდაათი დღე.

თავი 8

**ღ** ა გაიხსნა ღმერთმა ნოე და ყველა მსუცი და ყველა პირუტყვი და ყველა ფრინველი და ყველა ქვეწარმავალი, რაც იყო მასთან ერთად კიდობანში, და მოავლინა ღმერთმა სული ქვეყანასზე და იკლო წყაღმა, 2 და ჩაიკეტა უფსკრულის წყაროები და ცის სარკმლები და შეწყდა წვიმა ციდან.

3 და უკუიქცეოდა წყალი, რომელიც მოედინებოდა მიწიდან, უკუიქცეოდა და

მცირდებოდა წყალი ას ორმოცდრათი დღის შემდეგ.

4 და დადგა კიდობანი მეშვიდე თვეს, თვის ოცდამეშვიდე დღეს, არარატის მთახე.

5 და წყალი, რომელიც მოედინებოდა, მცირდებოდა მეათე თვემდე. სოლო მეთერთმეცე თვეს, თვის პირველ დღეს, გამოჩნდა მთების წვერები.

6 და იყო, ორმოცი დღის შემდეგ გაალო ნოემ კარი კიდობნისა, რომელიც გააკეთა,

7 და გავსაუნა ყორანი, რათა ენახა, იკლო თუ არა წყალმა; და გავიდა და არ დაბრუნდა, ვიდრე არ დაძრა წყალი მიწაზე.

8 და გავსაუნა მტრედი მის შემდეგ, რათა ენახა, იკლო თუ არა წყალმა მიწის სედაპირიდან;

9 და ვერ იპოვა მტრედმა დასასვენებელი თავისი ფეხებისთვის და დაბრუნდა მასთან კიდობანში, რადგან წყალი იყო მთელი ქვეყნის მთელ

სედაპირზე, და გაიწოდა თავისი ხელი და აიკუნა იგი და შეიკუნა იგი თავისთან კიდობანში.

10 და დაცადა კიდვე სხვა შვიდი დღე და კვლავ გავსაუნა მტრედი კიდობნიდან;

11 და დაბრუნდა მასთან მტრედი მწუნრისას და ჰქონდა მას პირში სეთისხილის რტო ფოთლით და მიხვდა ნოე, რომ დაცილო წყალმა მიწიდან.

12 და დაცადა კიდვე სხვა შვიდი დღე და კვლავ გავსაუნა მტრედი, და მეტად აღარ დაბრუნებულა მასთან.

13 და იყო, ნოეს ცხოვრების ექვსამეერთე წელს, პირველ თვეს, შეწყდა წყალი მიწაზე; და ანადა ნოემ სახურავი კიდობანს, რომელიც გააკეთა, და ნახა, რომ შეწყდა წყალი მიწის სედაპირზე.

14 სოლო მეორე თვეს, თვის ოცდამეშვიდე დღეს, გამოძრა მიწა.

15 და უთხრა უფალმა ღმერთმა ნოეს და თქვა:



16 გამოდი კიდობნიდან შენ, და შენი ცოლი და შენი ძეგები და შენი ძეგების ცოლები შენთან ერთად;

17 და ყველა მხეცი, რომელიც არის შენთან ერთად, და ყოველი სორციეული ფრინველიდან პირუტყვამდე, და ყოველი ქვეწარმავალი, რომელიც მოძრაობს მიწაზე, გამოიყვანე შენთან ერთად; და აღორძინდით და გამრავლდით ქვეყანაზე.

18 და გამოვიდა ნოე, და მისი ცოლი და მისი ძეგები და მისი ძეგების ცოლები მასთან ერთად;

7 და უთხრა ისააკმა აბრაამს, თავის მამას, და თქვა: მამა. ხოლო მან თქვა: რა არის, შვილო? და უთხრა: აჰა, ცეცხლი და შუშა; სად არის ცხვარი უოვლადდასაწყევლად?

8 და თქვა აბრაამმა: ღმერთი ნახავს თავისთვის ცხვარს უოვლადდასაწყევლად, შვილო. და წავიდა ორივე ერთად


9 და მივიდნენ ადგილზე, რომელზეც უთხრა მას ღმერთმა. და ააგო იქ აბრაამმა სამსხვერპლო და დააწყო შუშა და შეკრა ისააკი, თავისი ძე, და დადო იგი სამსხვერპლოზე, შუშაზე.

10 და გაიწოდა აბრაამმა თავისი ხელი დანის ასაღებად, თავისი ძის დასაკლავად.

11 და მოუსმო მას უფლის ანგელოზმა ხეციდან და უთხრა მას: აბრაამ, აბრაამ. ხოლო მან თქვა: აჰა, მე.

12 და უთხრა: ნუ აღმართავ შენს ხელს ურმაზე, ნურც უხამ მას ნურაფერს, რადგან ახლა ვიცი, რომ გემინია ღვთისა შენ, და არ დაინანე შენი საყვარელი ძე ჩემთვის.

13 და აახილა აბრაამმა თავისი თვალები და დაინახა: და აჰა, ერთი ვერძი განხლართული იყო საბუკის\* ხეზეში რქებით; და მივიდა აბრაამი



\* საბუკი (ებრ.) – ჯაგნარი.

და მოიყენა ვერძი და შესწირა იგი უოვლადდსაწველად ისააკის, თავისი ძის, ნაცვლად.

14 და უწოდა აბრაამმა იმ ადგილს სახელი უფაღმა იხილა, რადგან ამბობენ დღეს: მთაზე უფალი გამოჩნდა.

15 და მოუხმო უფლის ანგელოზმა აბრაამს მეორედ სეციდან და უთხრა:

16 ჩემი თავი დავიფიცე, - ამბობს უფალი, - რადგან შესრულე ეს სიტუება და არ დაინანე შენი საყვარელი ძე ჩემთვის,

17 კურთხევით გაკურთხე შენ და გამრავლებით გავამრავლებ შენს თესლს, როგორც ცის ვარსკვლავებს და როგორც ქვიშას ზღვის ნაპირზე, და დამკვიდრებს შენი თესლი მოწინააღმდეგეთა ქალაქებს;

18 და იკურთხება შენი თესლით ქვეყნის ყველა ხალხი იმის სანაცვლოდ, რომ შეისმინე ჩემი ხმისა.

19 და დაბრუნდა აბრაამი თავის მსახურებთან და ადგნენ და მივიდნენ ერთად ფიცის ჭასთან და დამკვიდრდა აბრაამი ფიცის ჭასთან.

20 და იყო, ამ ამბების შემდეგ შეატყობინეს აბრაამს და უთხრეს: აჰა, უძვა მელქამაც ძეები ნაქორს, შენს ძმას,

21 თქსი, პირმძო, და ბაუქსი, მისი ძმა, და კამუელი, ასურელთა ძმა,

22 და ქასადი და აზავი და ფაღდასი და იეღლაფი და ბათუელი;

23 და ბათუელმა შვა რებეკა. ეს არის რვა ძე, რომლებიც უძვა მელქამ ნაქორს, აბრაამის ძმას.

24 და მისმა ხარჭამ კი, რომლის სახელია რემა, შვა გაანი და ტაბექი და ტოქონი და მოქა.

**ღ** ა იყო სარძას სიცოცხლე ას ოც-დაშვიდი წელი.

2 და მოკვდა სარძა ქალაქ არბოკში, რომელიც არის ხეში - ეს არის ქებრონი - ქანაანის ქვეყანაში. და მივიდა აბრაამი სარძას საგლოვად და დასატრიებლად.

3 და წამოღვა აბრაამი თავისი მკვდრისგან და უთხრა ქეტის ძეებს და თქვა: 4 შწირი და მოსული ვარ მე თქვენთან; ამიტომ მომეცით მე საფლავი საკურთხებლად თქვენთან და დავასაფლავებ ჩემს მკვდარს მე.

5 და მიუგეს ქეტის ძეებმა აბრაამს და უთხრეს:

6 არა, ბატონო, ისმინე ჩვენიც. მეფე ხარ ღვთისგან შენ ჩვენ შორის; ჩვენს რჩეულ სამარხებში დასაფლავე შენი მკვდარი, რადგან ჩვენგან არავინ დაგიჭერს თავის სამარხს შენ, რომ დასაფლავო შენი მკვდარი იქ.

7 და ადგა აბრაამი და თაყვანი სცა იმ ქვეყნის ერს, ქეტის ძეებს,

8 და ელაპარაკა მათ აბრაამი და უთხრა: თუ უნდა თქვენს სულს, რომ დავასაფლავო ჩემი მკვდარი მე, ისმინეთ ჩემი და დავლაპარაკებ ჩემ შესახებ ეფრონს, საარის ძეს,

9 და მომცეს მე ორმავი გამოქვაბული, რომელიც არის მისი და მდებარეობს მისი მიწის ნაკვეთში, ვერცხლად, რაც ღირს, მომცეს მე იგი თქვენ შორის საკურთხებლად სამარხისათვის.

10 ხოლო ეფრონი იჯდა ქეტის ძეებს შორის; და მიუგო ეფრონი ქეტელმა აბრაამს და უთხრა ქეტის ძეთა და

ქალაქში უველა შემსვლელების გასაგონად და თქვა:

11 ჩემთან იყავი, ბატონო, და ისმინე ჩემი: მიწას და გამოქვაბულს, რომელიც არის მასში, შენ გაძლევი; უველა ჩემი მოქალაქის წინაშე მოგვიცი შენ; დასაფლავე შენი მკვდარი.

12 და თაუვანი სცა აბრაამმა იმ ქვეყნის ერის წინაშე

13 და უთხრა ეფრონს იმ ქვეყნის ერის ურადნალებად: რადგან ჩემკენ ხარ, ისმინე ჩემი: ვერცხლი მიწისა აილე ჩემგან და დაუასაფლავებ ჩემს მკვდარს იქ.

14 ხოლო მიუგო ეფრონმა აბრაამს და უთხრა:

15 არა, ბატონო, რადგან გამიგონია: მიწა ოთხასი დიდრამა ვერცხლისაა; ჩემსა და შენ შორის რა არის ეს? შენ შენი მკვდარი დასაფლავე.

16 და ისმინა აბრაამმა ეფრონისა და მისცა აბრაამმა ეფრონს ვერცხლი, რაც თქვა ქეტის ძეთა ურადნალებად, ოთხასი დიდრამა ვერცხლი, მიღებულნი ვაჭრებში.\*

17 და განდა ეფრონის მიწა, რომელიც იყო ორმაგ გამოქვაბულში, და რომელიც არის მამბრეს ზირდანირ – მიწა და გამოქვაბული, რომელიც იყო მასში, და ყოველი სე, რომელიც იყო ამ მიწაზე და რომელიც არის მისი სახლურების გარშემო –

18 აბრაამის საკუთრება ქეტის ძეთა და ქალაქში უველა შემსვლელების წინაშე.

19 ამის შემდეგ დასაფლავა აბრაამმა ხარა, თავისი ცოლი, იმ მიწის ორ-

მაგ გამოქვაბულში, რომელიც არის მამბრეს წინ – ეს არის ქებრონი – ქანანის ქვეყანაში.

20 და დაუმტკიცდა ის მიწა და გამოქვაბული, რომელიც იყო მასში, აბრაამს საკუთრებად საფლავისათვის ქეტის ძეთაგან.

თავი 24

**ღ** ა აბრაამი იყო მოსრუებული და სანუგადსული და უფალმა აკურთხა აბრაამი ყოველმხრივ.

2 და უთხრა აბრაამმა თავის მსახურს, თავის სახლთურსებს, რომელიც განაგებდა ყოველივეს, რაც იყო მისი: დადე შენი ხელი ჩემი სახარდულის ქვეშ,

3 და გაფიცებ შენ უფალს, ღმერთს ცისას და ღმერთს ქვეყნისას, რომ არ მოუყვან ცოლს ჩემს ძეს, ისააკს, ასულთაგან ქანანელთა, რომელთა შორისაც მე ვსახლობ;

4 არამედ ჩემს ქვეყანაში, სადაც დაუბადე, და ჩემს ტომში წადი და მოუყვანე ცოლი ჩემს ძეს, ისააკს, იქიდან.

5 და უთხრა მას მსახურმა: რომ არ მოინდომოს დედაკაცმა წამოსვლა ჩემთან ერთად ამ ქვეყანაში, დაუბარუნო შენი ძე ქვეყანაში, საიდანაც გამოხვედი?

6 და უთხრა მას აბრაამმა: გაფრთხილდი შენ, არ დაუბარუნო ჩემი ძე იქ.

7 უფალი, ღმერთი ცისა და ღმერთი ქვეყნისა, რომელმაც წამომიყვანა მამჩემის სახლიდან და ქვეყნიდან, სადაც დაუბადე, რომელიც შელანარა-

\* ვერცხლი მიღებული ვაჭრებში – აბრაამის დროს ფული არ იჭრებოდა; ვაჭრობისას მიღებული იყო გარკვეული წონის ვერცხლის ან ოქროს ნაკეთობა.

კა მე და შემომფიცა მე და მითხრა: შენ მოეცე ამ ქვეყანას და შენს თესლს; — იგი გავსაზნის თავის ანგელოზს შენ წინ, და მოუყვანე ცოლი ჩემს ძეს, ისააკს, იქიდან.

8 ხოლო თუ არ მოინდომებს დედაკაცი წამოსვლას შენთან ერთად ამ ქვეყანაში, თავისუფალი იქნები ამ ფიცისგან; მხოლოდ ჩემს ძეს ნუ დააბრუნებ იქ.

9 და დადო მსახურმა თავისი ხელი აბრაამის, თავისი ბატონის, საზარდულის ქვეშ და შეჰფიცა მას ამ სიტყვაზე.

10 და თან წაიყვანა მსახურმა ათი აქლემი თავისი ბატონის აქლემებიდან და წაიღო თავისი ბატონის მთელი სიმდიდრიდან და ადგა და წავიდა მუამდინარეთში, ნაქორის ქალაქში.

11 და დაწვინა აქლემები ქალაქის გარეთ, წყლის ჭასთან შეღამებისას, როცა გამოდიან მერწყულები

12 და თქვა: უფალო ღმერთო ჩემი ბატონის, აბრაამისაო, წარმართე გზა ჩემ წინაშე დღეს და უკავი წყალობა ჩემს ბატონს, აბრაამს.

13 აჰა, მე ვდგავარ წყლის წყაროსთან, ხოლო ქალაქის მკვიდრთა ასულები გამოდიან წყლის ამოსაღებად,

14 და იქნება ქალწული, რომელსაც მე ვეცევი: დანარე შენი ჭურჭელი, რომ დავლიო; და მეტყვის მე: დალიე და შენს აქლემებსაც დავაღვინებ, ვიდრე არ დარწყულდებიან; ეს გაუმხადე შენს მონას, ისააკს, და ამით გაუვიგებ, რომ უკავი წყალობა ჩემს ბატონს, აბრაამს.

15 და იყო, ვიდრე იგი დამთავრებდა ღაპარაკს გონებაში, აჰა, რებეკა გამოდიოდა — აბრაამის ძმის, ნაქორის, ცოლის, მელქას, ძის, ბათუელის,

შობილი — და ედგა ჭურჭელი მხრებზე.

16 ხოლო ქალწული იყო ძლიერ მშენიერი შესახედად; ქალწული იყო, მამაკაცს არ შეეცნო იგი. და ჩავიდა წყაროზე, ავსო ჭურჭელი და ამოვიდა.

17 და გაიქცა მსახური მის შესაგებებლად და უთხრა: დამაღვინე მე ცოტა წყალი შენი ჭურჭლიდან.

18 ხოლო მან უთხრა: დალიე, ბატონო. და იჩქარა და ჩამოიღვა ჭურჭელი თავის მკლავზე და დააღვინა მას, ვიდრე არ მოიკლა წყურვილი.

19 და უთხრა: შენს აქლემებსაც დავარწყულებ, ვიდრე ეველა არ დაღვეს.

20 და იჩქარა და დაცალა ჭურჭელი სარწყულებელში და გაიქცა ისევ ჭისკენ წყლის ამოსაღებად და დარწყულა ეველა აქლემი.

21 ხოლო კაცი აკვირდებოდა მას და გაჩუქდა, რათა გამოეცნო, წარმართა უფალმა მისი გზა თუ არა.

22 და იყო, როცა დარწყულდა ეველა აქლემი, აიღო კაცმა ოქროს საყურეები თითო დრამის წონისა და ორი სამაჯური მისი ხელებისთვის, ათი ოქრო იყო მათი წონა;

23 და ჰკითხა მას და უთხრა: ვისი ასული ხარ? მითხარი მე, თუ არის მამამენტან ადგილი ჩვენთვის დასასვენებლად?

24 და უთხრა მას: ბათუელის ასული ვარ მე, მელქას ძისა, რომელიც უშვა ნაქორს.

25 და უთხრა მას: ბზეც და საკვებიც ბევრია ჩვენთან და ადგილიც — დასასვენებლად.

26 და მოეწონა კაცს და თავიანთი სცა უფალს

27 და თქვა: კურთხეულია უფალი ღმერთი ჩემი ბატონის, აბრაამისა, რომელმაც არ მოაკლო თავისი სიძარბოთა და ჰქმნა ბატონი ჩემს ბატონს; მე წარმიძარბა გზა უფალმა ჩემი ბატონის ძმის სახლისაჲს.

28 და გაიქცა უმაწვილი ქალი და შეატყობინა თავისი დედის სახლს ეს სიტყვები.

29 ხოლო რებეკას ძმა ჰყავდა, რომლის სახელი იყო ლაბანი; და გაიქცა ლაბანი იმ კაცთან გარეთ, წყაროსე.

30 და იყო, როცა დაინახა საყურეები და სამაჯურები თავისი დის ხელებზე, და როცა გაიგონა სიტყვები რებეკასი, თავისი დისა, რომელმაც თქვა: ასე მელაპარაკა მე ის კაცი. – წავიდა იმ კაცთან, რომელიც იღბა აქლემებთან წყაროსე,

31 და უთხრა მას: მოდი, შემოდი; კურთხეულია უფალი; რისთვის დგანარ გარეთ? მე გამაძღებელი მაქვს სახლი და ადგილი აქლემებისთვის.

32 და შევიდა კაცი სახლში და გადმოტვირთა აქლემები. და მისცა ბზე და საკვები აქლემებს და წყალი მისი ფეხებისა და მასთან მყოფი კაცების ფეხების დასაბანად.

33 და დაუდო მათ ზურები საჭმელად. და თქვა: არ შეუჭამ, ვიდრე არ ვიტყვი მე ჩემს სათქმელს. და უთხრეს: თქვი.

34 და თქვა: აბრაამის მსახური ვარ მე.

35 უფალმა აკურთხა ჩემი ბატონი ფრიად, და ამაღლდა; და მისცა მას ცხვრები და ხბოები, ვერცხლი და ოქრო, მონები და მსევლები, აქლემები და სახედრები.

36 და უშვა სარწამ, ჩემი ბატონის ცოლმა, ერთი ძე ჩემს ბატონს მას

შემდეგ, რაც მოხუცდა იგი, და მისცა მას უოველივე, რაც იყო მისი.

37 და დამაფიცა მე ჩემმა ბატონმა და მითხრა: არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ასულთაგან ქანახელთა, რომელთა შორისაც მე ვსახლობ, მათ ქვეყანაში,

38 არამედ მამაჩემის სახლში და ჩემს ტომში წადი და მოუყვანე ცოლი ჩემს ძეს იქიდან.

39 და ვუთხარი ჩემს ბატონს: რომ არ წამოვიდეს დედაკაცი ჩემთან ერთად?

40 და მითხრა მე: უფალი, რომლის წინაშე სათხო ვიყავი, იგი გამოგზავნის თავისი ანგელოზს შენთან ერთად და წარმოთავს შენს გზას; და მოუყვანე ცოლი ჩემს ძეს ჩემი ტომიდან და მამაჩემის სახლიდან.

41 მაშინ თავისუფალი იქნები ჩემი წყევლისგან; ხოლო როცა წაზავალ ჩემს ტომში და არ მოგცემენ შენ, იქნები თავისუფალი ჩემი ფიცისგან.

42 და მოვედი დღეს წყაროსე და ვთქვი: უფალო ღმერთო ჩემი ბატონის, აბრაამისა, თუ შენ წარმართავ ჩემს გზას, რომელსაც ანლა მე ვადგავარ,

43 აჰა, მე ვდგავარ წყლის წყაროსთან, და ქალაქის კაცთა ასულები გამოუღვენ წყლის ამოსაღებად და იქნება ქალწული, რომელსაც მე ვეტყვი: დამალევიხე მე ცოტა წყალი შენი ჭურჭლიდან;

44 და მეტყვის მე: შენც დალიე და შენს აქლემებსაც დავარწყულებ, – ეს იქნება დედაკაცი, რომელიც გაუშვანდა უფალმა თავისი მსახურს, ისააკს, და ამით გავიგებ, რომ უყავი წყალობა ჩემს ბატონს, აბრაამს.

45 და იყო, ვიდრე დაუამთავრებდი მე ლაბარაკს ჩემს კონუბადი, უკვე გამოვიდა რებეკა, რომელსაც ვდგა ჭურჭელი მხრებსზე, და ჩავიდა წუაროზე და ამოიღო წყალი. და ვუთხარი მას: დამალევიზე მე.

46 და იჩქარა და ჩამოდგა თავისი ჭურჭელი და თქვა: დაღიე შენ და შენს აქლემებსაც დავაღევიანებ. და დაღიე და ჩემს აქლემებსაც დააღევიანა.

47 და ვკითხე მას და ვუთხარი: ვისი ასული ხარ? ხოლო მან თქვა: ბათუელის ასული ვარ, ნაქორის ძისა, რომელიც უშვა მას მელქამ. და გაუკეთე მას საურეები და სამაჯურები ხელეებსზე;

48 და კეთილად მივიჩნიე და თავიანი ვეცი უფალს და ვაკურთხე უფალი ღმერთი ჩემი ბატონის, აბრაამისა, რომელმაც წარმძარტა მე ჭემძარიტების გზაზე, რომ მიუუკვანო ჩემი ბატონის ძმის ასული მის ძეს.

49 ამიტომ, თუ მოიღებთ თქვენ წყალობას და სამართალს ჩემი ბატონის მიმართ, მაუწყეთ მე, ხოლო თუ არა, მაუწყეთ მე, რათა გავბრუნდე მარჯვნივ ან მარცხნივ.

50 მიუგეს ლაბანმა და ბათუელმა და უთხრეს: უფლისგან გამოვიდა ეს ბრძანება; ამიტომ არ შეგვიძლია ვითხრათ შენ ავი კარვის წილ.

51 აჰა, რებეკა შენ წინამუე; წაიყვანე და იჩქარე და იყოს ცოლი შენი ბატონის ძისა, როგორც თქვა უფალმა.

52 და იყო, როცა გაიგონა აბრაამის მსახურმა მათი სიტყვები, თავიანი სცა მიწამდე უფალს.

53 და გამოიტანა მსახურმა ჭურჭელი ვერცხლისა და ოქროსი და სამოსი

და მისცა რებეკას და ძღვენი მისცა მის ძმას და მის ღედას.

54 და ჭამეს და სვეს მან და მასთან მყოფმა კაცებმა და დიდებულმა. და ადგა განთიადისას და თქვა: გაძიშვით მე, რომ წავიდე ჩემს ბატონთან.

55 და უთხრეს მისმა ძმებმა და ღედამ: დარჩეს ქალწული ჩვენთან ათიოდე დღე და ამის შემდეგ წამოვიდეს.

56 ხოლო მან უთხრა მათ: ხუ მაყოფებთ მე, რადგან უფალმა წარმართა ჩემი გზა; გაძიშვით მე, რომ წავიდე ჩემს ბატონთან.

57 ხოლო მათ უთხრეს: მოუხმით უმაწვილ ქალს და ვკითხოთ მას.

58 და მოუხმეს რებეკას და უთხრეს მას: წახვალ ამ კაცთან ერთად? ხოლო მან თქვა: წავალ.

59 და გაუშვეს რებეკა, თავისი და, მისი მშითვით და აბრაამის მსახურს და მასთან მყოფნი.

60 და აკურთხეს რებეკა, თავისი და, და უთხრეს მას: ჩვენი და ხარ; გხდით ათათახჯორ ათასი და დიდკვიდროს შენმა თესლმა მოწინააღმდეგეთა ქალაქები.

61 და ადგა რებეკა, და მისი მიძუვარები და შესხდნენ აქლემებსზე და წავიდნენ იმ კაცთან ერთად; და წაიყვანა მსახურმა რებეკა და წავიდა.

62 ხოლო ისაკი დადიოდა უდანოში ხილვის ქასთან, რადგან იგი მკვიდრობდა ქვეყნის სამხრეთით.

63 და გავიდა ისაკი თავის შესაქცევად ველზე საღამოხანს და აახილა თვალები და დანახა მომავალი აქლემები.

64 და აახილა რებეკამ თვალები და დანახა ისაკი და გადმოვიდა აქლემებიდან

65 და უთხრა მსახურს: ვინ არის ის კაცი, რომელიც მოდის ველზე ჩვენს



შესაგებებლად? და უთხრა მსახურმა: ეგ არის ჩემი ბატონი. სოლო მან აიღო მოსახსნამი და შემოსივია.

66 და უამბო მსახურმა ისააკს ვუფლავფერი, რაც გააკეთა.

67 და შევიდა ისააკი თავისი დედის სახლში და მიიყვანა რებეკა, და განა და მისი ცოლი, და შეიყვარა იგი; და ნუგეში ეცა ისააკს საბრძანს, თავისი დედის, გამო.

თა30 25

**Q** და შეირთო აბრაამმა და მოიყვანა ცოლი, რომლის სახელი იყო ქეტურა.

2 და უშვა მას ზემბრანი და იექსანი და მადანი და მადიამი და იესბოკი და სოფე.

3 და იექსანმა შვა საბანი და თემანი და დედანი, სოლო დედანის ძეები იყვნენ: რაგუელი და ნაბდეელი და ასურიიმი და ლატუსიიმი და ლოომიიმი.

4 სოლო მადიამის ძეები: კეფარი და აფერი და ენოქი და აბირა და ელრაგა. ესენი ყველანი იყვნენ ქეტურას ძეები.

5 და მისცა აბრაამმა მთელი თავისი ქონება ისააკს, თავის ძეს,

6 და თავისი ხარჭების ძეებს მისცა აბრაამმა მისაცემი და გაიყვანა ისინი ისააკისგან, თავისი ძისგან, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში აღმოსავლეთით, აღმოსავლეთის ქვეყანაში.\*

7 და ეს არის წლები აბრაამის სიცოცხლის დღეებისა, რაც იცოცხლა: ას სამოცდათხუთმეტი წელი.

8 და დაილია და მოკვდა აბრაამი კეთილ სიბერეში, მოხუცებული და დღესრული და შეუერთდა თავის ერს.

9 და დასაფლავეს იგი ისააკმა და ისმაელმა, მისმა ძეებმა, რომაგ გამოქვაბულში, ეფრონის, საარ ქეტელის ძის, მიწაზე, რომელიც არის მამბრეს ჰირდაპირ,

10 მიწაზე და გამოქვაბულში, რომელიც შეიძინა აბრაამმა ქეტის ძეთაგან, იქ დასაფლავეს აბრაამი და საბრა, მისი ცოლი.

11 და იყო, აბრაამის სიკვდილის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ისააკი, მისი ძე; და დამკვიდრდა ისააკი ხილვის ჭახთან.

12 სოლო ესენი არიან შთამომავლები ისმაელის, აბრაამის ძისა, რომელიც უშვა ავარმა, საბრძანს შვეალმა, აბრაამს;

13 და ეს არის ისმაელის ძეთა სახელები, მის მოდგამათა სახელების მიხედვით: ისმაელის ჰირმმო ნაბოთი და კედარი და ნაბდეელი და მასამი

14 და მასამი და იდუმა და მასე

15 და ქოდადი და თემანი და იეტური და ნაფესი და კედმა.

16 ესენი არიან ისმაელის ძეები; და ეს არის მათი სახელები მათ კარვებში და მათ ეზოებში: თორმეტი მთავარი მათი სახლის მიხედვით.

17 და ეს არის ისმაელის სიცოცხლის წლები: ას ოცდაჩვიდმეტი წელი; და დაილია და მოკვდა და შეუერთდა თავის მოდგმას.

18 და დამკვიდრდა ვეილატიდან სურამდე, რომელიც არის ეგვიპტის ჰირდაპირ, ასურელთა მისაფლავლამდე; თავისი ყველა ძის ჰირდაპირ დამკვიდრდა.

\* აღმოსავლეთის ქვეყანა – აქ იგულისხმება არაბეთი.

19 და ესენი არიან შთამომავლები ისრაელის, აბრაამის ძისა: აბრაამმა შვა ისრაელი.

20 და იყო ისრაელი ორმოცი წლისა, როცა მოიყვანა რებეკა, ასული ბათუელ ასურელისა, შუამდინარეთიდან, და ლაბან ასურელისა, თავისთვის ცოლად.

21 და ევედრებოდა ისრაელი უფალს რებეკას, თავისი ცოლის, გამო, რადგან ბერწი იყო; და შეისმინა მისი ღმერთმა და მუცლადილო რებეკამ, მისმა ცოლმა.

22 და კრთებოდნენ ბავშვები მასში და თქვა: თუ ასე უნდა ვიყო, რატომ ხდება ეს ჩემთვის? – და წავიდა საკითხავად უფალთან,

23 და უთხრა უფალმა მას: ორი ხალხია შენს მუცელში და ორი ერი შენი მუცლიდან გაიყოფა; და ერი ერს აღემატება და უფროსი დაემთხება უმცროსს.

24 და შეუსრულდა მას დღეები შობისა და იყვნენ ტყუები მის მუცელში.

25 და გამოვიდა ძე, ზირმძო, წითური მთლიანად, როგორც ტყავი ბეწვიანი; და დანარქვა მისი სახელი ესაუი.\*

26 და ამის შემდეგ გამოვიდა მისი ძმა და მისი ხელი მოჭიდებული იყო ესაუის ქუსლზე; და უწოდა მისი სახელი იაკობი.\*\* სოლო ისრაელი იყო სამოცი წლისა, როცა შვა ისინი რებეკამ.

27 და გაიზარდნენ ჭაბუკები და იყო ესაუი ველის კაცი, მცოდნე ნადირობისა, ველური, სოლო იაკობი – კაცი უბრალო, მკვიდრი სახლისა.

28 და შეიყვარა ისრაელმა ესაუი, რადგან მისი ნახადირვეი იყო მისთვის საჭმელად, სოლო რებეკას უყვარდა იაკობი.

29 და მოხარშა იაკობმა ნახარში; და მოვიდა ესაუი ველიდან დაღლილი,

30 და უთხრა ესაუმა იაკობს: გამსინჯე მე ეს წითელი ნახარში, რადგან დაღლილი ვარ. ამის გამო ეწოდა თავისი სახელი ედომი.\*\*\*

31 და უთხრა იაკობმა ესაუს: მომეცე მე დღეს შენი ზირმძობობა.

32 და უთხრა ესაუმ: აჰა, მე ვუახლოვდები აღსასრულს და რადად მიხდა მე ეს ზირმძობობა?

33 და უთხრა მას იაკობმა: შემომეცე მე დღეს. და შეპყვიდა მას; და მისცა ესაუმ ზირმძობობა იაკობს.

34 სოლო იაკობმა მისცა ესაუს ჰური და ოსპის ნახარში, და ჭამა და სვა და ადგა და წავიდა; და არად ჩაავლო ესაუმ ზირმძობობა.

თა30 26

**Q** ა იყო მიმძილობა ქვეყანაზე, ვარა და იმ ზირველი მიმძილობისა, რომელიც იყო აბრაამის დროს; და წავიდა ისრაელი აბიფელექთან, ფილისტიმელთა მეფესთან, ვერარში.

2 და ეჩვენა მას უფალი და უთხრა: ნუ ჩახვალ გვიანტეში, არამედ დამკვიდრდი ქვეყანაში, რომელზეც შენ გეტყვი.

3 და მწირობდე ამ ქვეყანაში და ვიქნები შენთან და გაკურთხებ შენ, რადგან

\* ესაუი (ებრ.) – ბეწვიანი, ბალნიანი.

\*\* იაკობი (ებრ.) – მზაკვრობა, მოტყუება; ქუსლზე მოჭიდება.

\*\*\* ედომი (ებრ.) – წითელი.

შენ და შენს თესლს მოგცემთ მთელ ამ ქვეყანას და დაედებ ჩემს ფიცს, რომელიც შეუფიცე აბრაამს, შენს მამას.

4 და გავამრავლებ შენს თესლს, როგორც წის ვარსკვლავებს, და მივცემ შენს თესლს მთელ ამ ქვეყანას და იკურთხება შენი თესლით ქვეყნის ყველა ხალხი

5 იმის სანაცვლოდ, რომ შეისმინა აბრაამმა, შენმა მამამ, ჩემი ხმისა, და დაიცვა ჩემი მცნებები და ჩემი ბრძანებები და ჩემი სამართალი და ჩემი სჯული.

6 და დამკვიდრდა ისააკი გერარში.

7 და ჰკითხეს იმ ადგილის კაცებმა მისი ცოლის, რებეკას, შესახებ და თქვა: ჩემი და არის; — რადგან შეეძინდა ვთქვა: ჩემი ცოლია. — რომ არ მოეკლათ იგი იმ ადგილის კაცებს რებეკას გამო, რადგან მშვიერი იყო შესახედად.

8 და იყო დიდხანს იქ; და გადაინება აბიმელექმა, გერარელთა მეფემ, სარკმლიდან და დაინახა, რომ ისააკი ღვლიობდა რებეკასთან, თავის ცოლთან.

9 და მოუხმო აბიმელექმა ისააკს და უთხრა მას: თურმე შენი ცოლია; რატომ თქვი: ჩემი და არის? და უთხრა მას ისააკმა: რადგან ვთქვი: არ მოგვადე მის გამო.

10 და უთხრა მას აბიმელექმა: ეს რა გაგვიკეთე ჩვენ? ცოტაც და დაწვებოდა ვინმე ჩემი მოდემიდან შენს ცოლთან და ჩავგადებდი ჩვენ უმეცრებაში.

11 და უბრძანა აბიმელექმა მთელ თავის ერს და უთხრა: ყველა, ვინც შეეხება ამ კაცს ან მის ცოლს, სიკვდილის ღირსი იქნება.

12 და დათესა ისააკმა იმ მიწაზე და მოიწია იმ წელიწადს ასწილად ქერი; და აკურთხა იგი უფალმა.

13 და ამაღლდა კაცი და წარმატებული და უფრო დიდი ხდებოდა, ვიდრე არ გახდა ძლიერ დიდი;

14 და ჰკავდა მას ცნობის ფარა და საქონლის ნახირი და ჰქონდა ბევრი სახნავ-სათესი. და შემურღათ მისი ფილისტიმელებს

15 და ყველა ჭა, რომლებიც ამოთხარეს მისი მამის მსახურებმა მისი მამის დროს, ჩახრუკეს ისინი ფილისტიმელებმა და ამოაფსეს ისინი მიწით.

16 და უთხრა აბიმელექმა ისააკს: წადი ჩვენთან, რადგან ჩვენზე უფრო მეტად ძლიერი გახდი.

17 და წავიდა იქიდან ისააკი და შეისვენა გერარის ხეობაში და დამკვიდრდა იქ.

18 და კვლავ ამოთხარა ისააკმა წყლის ჭები, რომლებიც ამოთხარეს აბრაამის, მისი მამის, მსახურებმა და ჩახრუკეს ისინი ფილისტიმელებმა აბრაამის, მისი მამის, სიკვდილის შემდეგ და დარჩევა მათ სახელები იმ სახელების მისეფიით, რომლებიც დარჩევა აბრაამმა, მისმა მამამ.

19 და ამოთხარეს ისააკის მსახურებმა გერარის ხეობაში და იპოვეს იქ ცოცხალი წყლის ჭა.

20 და ედავებოდნენ გერარელთა მწყემსები ისააკის მწყემსებს და ამტკიცებდნენ, რომ მათია წყალი; და უწოდა ჭას სახელი უსამართლობა,\* რადგან უსამართლოდ მოექცნენ მას.

21 და დაიძრა იქიდან და ამოთხარა სხვა ჭა და განიკითხავდნენ მის გამოც; და დარჩევა მას სახელი მტრობა.\*\*

\* უსამართლობა — ებრ. ესეკი.

\*\* მტრობა — ებრ. სიტნა.

22 და დაიდრა იქიდან და ამოთხარა სხვა ჭა და აღარ ედავებოდნენ მის გამო; და დარქვა მას სახელი სიფართოვე\* და თქვა: რადგან ახლა განგავორცო უფაღმა ჩვენ და აგვადორძინა ჩვენ ქვეყანაზე.

23 და ავიდა იქიდან ფიცის ჭასთან.

24 და ეჩვენა მას უფალი იმ დამეს და უთხრა: მე ვარ ღმერთი აბრაამის, შენი ძამის; ნუ გეძინია, რადგან შენთან ვარ და ვაკურთხე შენ და ვაგამრავლებ შენს თესლს აბრაამის, შენი ძამის, გამო.

25 და აავო იქ სამსხვერპლო და მოუხმო უფლის სახელს და აღმართა იქ თავისი კარავი; და ამოთხარეს იქ ისააკის მსახურებმა ჭა – გერარის ხეობაში.

26 და აბიძეულები მივიდა მასთან გერარიდან, და ოქოხათი, მისი ძმანალი, და ფიქოლი, მისი ძალების მხედართმთავარი.

27 და უთხრა მათ ისააკმა: რისთვის მოხვედით ჩემთან? თქვენ მომიძულეთ მე და გამომაძევეთ მე თქვენგან.

28 და უთხრეს: ვინილეთ და ვნახეთ, რომ იყო უფალი შენთან, და ვთქვიით: იოს ფიცი ჩვენსა და შენ ძორის და დავუდებთ შენთან აღთქმას,

29 რომ არ გაგვიკეთებ ჩვენ ბოროტებას, როგორც ჩვენ შენ არ მოგიძულეთ და როგორც გაგიკეთეთ შენ სიკეთე და გავიმჯით შენ მშვიდობით; და ახლა შენ კურთხეული ხარ უფლისაგან.

30 და გაუმართა მათ ღზინი და ჭამეს და სეეს;

31 და ადგნენ განთიადისას და შეჰფიცა კაცმა თავის მოყვასს და გაუშვა ისინი ისააკმა და დამორღინენ მას მშვიდობით.

32 და იყო, იმ დღეს მივიდნენ ისააკის მსახურები და აუწყეს მას ჭის შესახებ, რომელიც ამოთხარეს, და უთხრეს: ვერ ვიპოვეთ წყალი.

33 და უწოდა მას ფიცი; ამის გამო ეწოდა ქალაქს სახელი ფიცის ჭა დღევანდელ დღემდე.

34 და იყო ესაუვი ორმოცი წლისა და მოიყვანა ცოლად ოუდნი, ასული ბეერ ქეტელისა, და ბსემთი, ასული ელონ ეველისა.

35 და იყვნენ მოქიშვნი ისააკისა და რებეკასი.

თა30 27

**ღ**ა იყო, როცა მოხუცდა ისააკი, მოაკლდა მას თვალისჩინი და მოუხმო ესაყს, თავის უფროს ძეს, და უთხრა მას: ძეო ჩემო; და თქვა: აჰა, მე.

2 და უთხრა: აჰა, დავებრდი და არ ვიცი დღე ჩემი აღსასრულისა;

3 ამიტომ ახლა აილე შენი საჭურველი, კანარჭი და მშვილდი და გადი ვეღად და მონადირე ჩემთვის ნადირი

4 და გამიკეთე მე შექამანდი, როგორც მიუვარს მე, და მომიტანე მე, რომ ვჭამო, რათა გაკურთხოს შენ ჩემმა სულმა, ვიდრე მოვეკვდები მე.

5 სოლო რებეკამ გაავიგნა, რომ ელანარავებოდა ისააკი ესაყს, თავის ძეს; და წავიდა ესაუვი ვეღად, რომ

\* სიფართოვე – ებრ. რეხოვოთ.

მოენადირებინა ნადირი თავისი მამის-  
თვის;

6 და რებეკამ უთხრა იაკობს, თავის  
უძცროს ძეს: აჰა, მე გავიგონე, მამაშენი  
რომ ელანარაკებოდა ესავს, შენს ძმას,  
და ეუბნებოდა:

7 მომიტანე მე ნანადირევი და გამიკეთე  
მე შეჭამანდი, რათა ვჭამო და ვაკურ-  
თხო შენ უფლის წინაშე ჩემი სიკვდი-  
ლის წინ.

8 ამიტომ ახლა, შვილო, ისინე ჩემი,  
როგორც მე შენ ვიბრძანებ,

9 და წადი ცხვარში და მომიყვანე მე  
იქიდან ორი თიკანი, ჩვილი და კარგი,  
და გავუკეთებ მათვან შეჭამანდს მამა-  
შენს, როგორც უკვარს,

10 და შეუტანე მამაშენს და შეჭამს,  
რათა გაკურთხოს შენ მამაშენმა თავისი  
სიკვდილის წინ.

11 და უთხრა იაკობმა რებეკას, თავის  
დედას: ესავი, ჩემი ძმა, ბლზნიანი  
კაცია, სოლო მე — კაცი უბლზნო.

12 ვაითუ შემცროს მე მამაჩემი და  
ვიქნები მის წინაშე, როგორც საძულვე-  
ლი და მოვიწვევ ჩემს თავზე წყველას  
და არა კურთხევას.

13 და უთხრა მას დედამ: ჩემზე იყოს  
შენი წყველა, შვილო; მხოლოდ შეისმი-  
ნე ჩემი სმისა და წადი და მომიტანე მე.

14 და წავიდა და მოიყვანა და მოუტა-  
ნა დედას და გააკეთა მისმა დედამ  
შეჭამანდი, როგორც უკვარდა მის მამას.

15 და აიღო რებეკამ ესავის, თავისი  
უფროსი ძის, კარგი საძმოსი, რომელიც  
ყო მასთან სახლში, და ჩააცვა იაკობს,  
თავის უძცროს ძეს,

16 და თიკნების ტყავები მოახვია მის  
მკლავებს და მის მიძველ კისერს;

17 და მისცა შეჭამანდი და ზურები,  
რომლებიც გაამხადა, ხელში იაკობს,  
თავის ძეს.

18 და შეუტანა თავის მამას და უთხრა:  
მამა. სოლო მან თქვა: აჰა მე. ვინ  
ხარ შენ, შვილო?

19 და უთხრა იაკობმა თავის მამას:  
მე ვარ ესავი, შენი ზირმშო; გვაკეთე,  
როგორც მითხარე მე; წამოდექი და  
დაჯექი და ჭამე ჩემი ნანადირევი,  
რათა მაკურთხოს მე შენმა სულმა.

20 და უთხრა ისაკამ თავის ძეს: რა  
არის ეს, რა სწრაფად იპოვე, ო,  
შვილო? სოლო მან უთხრა: ეს მომცა  
უფალმა, შენმა ღმერთმა, მე.

21 და უთხრა ისაკამ იაკობს: მომი-  
ახლოვდი მე და შეგვხები შენ, შვილო,  
შენ ხარ ჩემი ძე, ესავი, თუ არა.

22 და მიუახლოვდა იაკობი ისაკას,  
თავის მამას, და შეეხო მას და თქვა:  
ხმა — იაკობის ხმაა, სოლო ხელები  
— ესავის ხელებია.

23 და ვერ იცხო იგი, რადგან იყო მისი  
ხელები, როგორც ხელები ესავისა, მი-  
სი ძმისა, ბლზნიანი; და აკურთხა იგი.

24 და უთხრა: შენ ხარ ჩემი ძე,  
ესავი? სოლო მან თქვა: მე ვარ.

25 და უთხრა: მომიტანე მე და შეჭამ  
შენი ნანადირევიდან, შვილო, რათა  
გაკურთხოს შენ ჩემმა სულმა. და  
მოუტანა მას და შეჭამა; და შეუტანა  
მას ღვინო და დალია.

26 და უთხრა მას ისაკამა, მისმა  
მამამ: მომიახლოვდი მე და შეამბორე  
მე, შვილო.

27 და მიუახლოვდა და ეამბორა მას  
და იყნოსა სუნი მისი საძმოსისა და  
აკურთხა იგი და თქვა:  
აჰა, სუნი ჩემი ძისა,



როგორც სურნელი სახეე მინდვრისა,  
რომელიც აკურთხა უფალმა.

28 და მოგვცეს შენ ღმერთმა ცვაწი  
ცისა

და ზონიერება მიწისა  
და სიმრავლე ხორბლისა და ღვინისა.

29 და დაგემონონ შენ ხალხები  
და თაყუანს გცემდნენ შენ მთავრები;  
და განდი ბატონი შენი ძმისა  
და თაყუანს გცემდნენ შენ ძეგები შენი  
ძამისა.

მაწუევარი შენი წყეული იყოს  
და მაკურთხეული შენი კურთხეული  
იყოს.

30 და იყო, როცა დაამთავრა ისააკმა  
კურთხევა იაკობისა, თავისი ძისა, და  
იყო, როგორც კი გამოვიდა იაკობი  
ისააკისგან, თავისი ძამისგან, ესავე,  
მისი ძმა, მოვიდა ნადრობიდან.

31 და გააკეთა მანაც შეჭამანდი და  
მიუტანა თავის ძამს და უთხრა ძამს:  
ადგეს მამხეში და ჭამოს თავისი ძის  
ნახადირფვი, რათა მაკურთხოს მე შენ-  
მა სულმა.

32 და უთხრა მას ისააკმა, მისმა  
ძამამ: ვინ ხარ შენ? ხოლო მან  
თქვა: მე ვარ შენი ძე, ზირმხო, ესა-  
ვი.

33 და განცვიფრდა ისააკი ძლიერ  
ღიდი განცვიფრებით და თქვა: ვინ  
იყო, რომ მოინადირა ჩემთვის ნადირი  
და შემომიტანა მე? და შევჭამე ყველა-  
ფერი შენს მოსვლამდე და ვაკურთხე  
იგი და კურთხეული იქნება.

34 და იყო, როცა გაიგონა ესააკმა  
ისააკის, თავისი ძამის, სიტყვები,  
შევირა ძლიერ ღიდი და შწარე ხმით  
და თქვა: მაკურთხე მეც, ძამა.

35 და უთხრა მას: მოვიდა შენი ძმა მსაკერობით და მიიღო შენი კურთხევა.

36 და თქვა: სამართლიანად ეწოდა თავისი სახელი იაკობი, რადგან დაძმონ-  
ლა მე ეს უკვე მეორედ — ჩემი ზირ-  
მშობლაც მიიღო და ახლა მიიღო ჩე-  
მი კურთხევა. და უთხრა ესაუბა თავის  
მამას: არ დაგზნა ჩემთვის კურთხევა,  
მამა?

37 და მიუგო ისააკმა და უთხრა  
ესაუს: თუ შენს ბატონად ვაქციე იგი  
და უველა მისი ძმა ვაქციე მის მონად,  
სორბლით და ღვინით განვამტკიცე  
იგი, შენ რაღა გიყო, შვილო?

38 და უთხრა ესაუმა თავის მამას:  
ერთი კურთხევა ალარ გაქვს, მამა?  
მაკურთხე მეც, მამა. და როცა შეწუნდა  
ისააკი, მყვიროა ხმით ესაუმა და ატირდა.

39 და მიუგო ისააკმა, მისმა მამამ,  
და უთხრა მას:

აჰა, მიწის ზონიერებისგან იქნება შენი  
სამკვიდრებელი

და ცის ცვარისაგან — ხეძოდან;  
40 და შენი მსვლილით იცხოვრებ  
და შენს ძმას დაემონები;

და იქნება, ოდესმე გათავისუფლდები  
და მოიხსნი მის ულელს შენი ქედიდან.

41 და ემტყვებოდა ესაუი იაკობს კურ-  
თხევის გამო, რომლითაც აკურთხა  
იგი მისმა მამამ. და თქვა ესაუმა თა-  
ვის გონებაში: მოახლოვდეს მამაჩემის  
გლოვის დღეები, რომ მოველა იაკო-  
ბი, ჩემი ძმა.

42 და აუწუქს რებეკას ესაუის, მისი  
უფროსი ძის, სიტყვები და გაგზავნა  
და მოუხმო იაკობს, თავის უძელოს  
ძეს, და უთხრა მას: აჰა, ესაუი, შენი  
ძმა, ვემუქრება შენ, რომ მოგკლას;

43 ამიტომ ახლა, შვილო, ისინი ჩე-  
მი ხმისა და ადექი და გაიქციე შუ-

ამდინარეთში ლაბანთან, ჩემს ძმასთან,  
სარანში;

44 და დასახლდი მასთან რამდენიმე  
საწას, ვიდრე გაუვლის გულისწყრომა  
და რისხვა შენს ძმას შენზე,

45 და დავიწყებს, რაც გაუკეთე მას,  
და გამოგზავნი და გამოვიხმო შენ  
იქიდან, რათა არ დავრჩე უშვილო  
ორივე თქვენგანისგან ერთ დღეს.

46 და უთხრა რებეკამ ისააკს: მობე-  
რებული მაქვს სიცოცხლე ქეტის ძეთა  
ასულელების გამო; თუ მოიყვანს იაკობი  
ცოლს ამ ქვეყნის ასულთაგან, რა  
იქნება ჩემთვის სიცოცხლე?

თა30 28

**ღ**ა მოუხმო ისააკმა იაკობს და  
აკურთხა იგი და უბრძანა მას  
და უთხრა: არ მოიყვანო ცოლი ქანა-  
ხნის ასულთაგან;

2 ადექი და ვაიქციე შუამდინარეთში  
ბათუელის, დედაშენის მამის, სახლში  
და მოიყვანე იქიდან შენთვის ცოლი  
ლაბანის, დედაშენის ძმის, ასულთაგან.

3 სოლო ჩემი ღმერთი გაკურთხებს  
შენ და ავალორძინებს შენ და გავამრავ-  
ლებს შენ და იქნები სალხთა კრებული;

4 და მოგეცეს შენ აბრაამის, მამაჩემის,  
კურთხევა, შენ და შენს თესლს შენ  
შემდეგ, რათა დაიმკვიდროთ შენი  
შვირობის ქვეყანა, რომელიც მისცა  
ღმერთმა აბრაამს.

5 და გაგზავნა ისააკმა იაკობი, და  
წავიდა შუამდინარეთში ლაბანთან, ბა-  
თუელ ასურელის ძესთან, იაკობის და  
ესაუის დედის, რებეკას, ძმასთან.

6 და დანიხა ესაუმა, რომ აკურთხა  
ისააკმა იაკობი, რომ წასულიყო ასურე-  
თის შუამდინარეთში, რათა მოეყვანა

თავისთვის იქიდან ცოლი; და როცა აკურთხა იგი, უბრძანა მას და უთხრა: არ მოიყვანო ცოლი ქანანის ასულ-თავან,

7 და გაუგონა იაკობმა თავის მამას და დედას და წავიდა ასურეთის შუამდინარეთში;

8 და დანახა ესაუმა, რომ უკეთურები არიან ქანანის ასულები ისააკის, მისი მამის, წინაშე.

9 და წავიდა ესაუვი ისმაელთან და მოიყვანა მათელოთი, ისმაელის, აბრაამის

ძის, ასული, ნაბეთის და, თავის ცოლებთან ცოლად.

10 და გამოვიდა იაკობი ფიცის ჭიდან და წავიდა ხარანში.

11 და მიადღწია ადგილს და დაიძინა იქ, რადგან ჩადიოდა მსხე; და აიღო ქვა იმ ადგილის ქვებიდან და დაიდო ხსსთუმლად თავისთვის და დაიძინა იმ ადგილსზე.

12 და დაესიზმრა: და აჰა, კიბე დამყარებული იყო მიწასზე, რომლის თავიც სწვდებოდა ცას, და ღვთის ანგელოზები აღიოდნენ და ჩადიოდნენ მასზე.

13 ხოლო უფალი დამყარებული იყო მასზე და თქვა: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაამისა, ძენი მამისა, და ღმერთი ისააკისა; ნუ გეძინა; მიწას, რომელსზეც მენ კმინავს, მენ მოგვემ მას და შენს თესლს.

14 და იქნება შენი თესლი, როგორც მიწის ქვიძა, და განიურცობა ზღვისკენ\* და სამხრეთით და ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით და იკურთხება ქვეყნის ყველა ტომი შენით და შენი თესლით.

15 და აჰა, მე შენთან ვარ და შენს მცველად ყველა გზასზე, რომელსზეც იუღი, და დაჯაბრუნებ შენ ამ ქვეყანაში, რადგან არ დაგტოვებ შენ, ვიდრე არ გაუაყოთებ მე ყველაფერს, რასაც გუებებოდი შენ.



\* ზღვისკენ – იგულისხმება დასავლეთი.



16 და გამოიღობა იაკობმა ძილისგან და თქვა: არის უფალი ამ ადგილას, ხოლო მე არ ვიცოდი.

17 და შეეშინდა და თქვა: როგორი საშიშია ეს ადგილი; არაფერია ეს, თუ არა სახლი ღვთისა, და ეს არის ბჭე შეცნისა.

18 და აღვა იაკობი განთიადისას და აიღო ქვა, რომელიც ედო იქ სასთუმლად მას, და აღმართა იგი სვეტად და დასხა ზეთი მის კიდეს.

19 და უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელი სახლი ღვთისა; \* და უღამლუხი იყო ქალაქის სახელი პირველად.

20 და აღუთქვა იაკობმა აღუთქმა და თქვა: თუ უფალი ღმერთი იქნება ჩემთან და დამიცავს მე ამ გზაზე, რომელზეც მე მივდივარ, და მომცემს მე პურს საჭმელად და სამოსს შესამოსად

21 და დამბრუნებს მე ცოცხალს მამაჩემის სახლში, იქნება უფალი ჩემთვის ღმერთი

22 და ეს ქვა, რომელიც აღვმართე სვეტად, იქნება ჩემთვის ღვთის სახლი; ყველაფრიდან, რასაც მე მომცემ, მეთედის მოვცემ შენ.

თავი 29

**ღ**ა წამოღვა იაკობი ფეხზე და წავიდა აღმოსავლეთის ქვეყანაში ლაბანთან, ბათუელ ასურელის ძესთან, იაკობის და ესაუის დედის, რებეკას, ძმასთან.

2 და დაინახა: და აჰა, ჭა არის ველზე და იყო იქ ცხვრის საძირა ფარა, რო-

მელიც ისვენებდა მასთან, რადგან იმ ჭიდან ასმევდნენ ფარას. და იყო ერთი დიდი ქვა ჭის პირზე;

3 და გროვდებოდა იქ ყველა ფარა და გადაგორებდნენ ქვას ჭის პირიდან და ასმევდნენ ცხვარს და აბრუნებდნენ ქვას ჭის პირზე, თავის ადგილას.

4 და უთხრა მათ იაკობმა: ძმებო, საიდან ხართ თქვენ? ხოლო მათ უთხრეს: ნარანიდან ვართ.

5 და უთხრა მათ: იცნობთ ლაბანს, ნაქორის ძეს? ხოლო მათ უთხრეს: ვიცნობთ.

6 და უთხრა მათ: ჯანმრთელად არის? ხოლო მათ უთხრეს: ჯანმრთელად არის. და აჰა, რაქელი, მისი ასული, მოდიოდა ცხვრებთან ერთად.

7 და თქვა იაკობმა: ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დღე, არ არის დრო საქონლის შვროვებისა. ვინც დააღვივნა ცხვარს, წადით და აძოვეთ.

8 ხოლო მათ უთხრეს: ვერ შევძლებთ, ვიდრე არ შვროვდება ყველა მწყემსი და არ გადაგორებენ ქვას ჭის პირიდან და არ დაუღვივნებთ ცხვარს.

9 როცა იგი ჯერ კიდევ ელაპარაკებოდა მათ, რაქელიც, ლაბანის ასული, მოვიდა თავისი ძამის ცხვართან ერთად, რადგან იგი აძოვებდა თავისი ძამის ცხვარს.

10 და იყო, როგორც კი დაინახა იაკობმა რაქელი, ასული ლაბანისა, თავისი დედის ძმისა, და ცხვარი ლაბანისა, თავისი დედის ძმისა, მივიდა იაკობი და გადაგორა ქვა ჭის პირიდან და დააღვივნა ლაბანის, თავისი დედის ძმის, ცხვარს.

\* სახლი ღვთისა - ებრ. ბეთელი.

11 და ეამბორა იაკობი რაქელს და შეევირა ხმით და ატირდა

12 და უთხრა რაქელს, რომ ძმა არის მისი მამისა და, რომ ძე არის რებეკასი. და გაიქცა და აუწუა თავის მამას ეს სიტყვები.

13 და იყო, როგორც კი გაივინა ლაბანმა იაკობის, თავისი დისწულის, სახელი, გაიქცა მის შესავებებლად და გადაეხვია მას და ეამბორა და შეიკვანა იგი თავის სახლში. და უამბო ლაბანს ეს უკვლავური.

14 და უთხრა მას ლაბანმა: ჩემი ძვალთავანი და ჩემი ხორცთავანი ხარ შენ. და იყო მასთან ერთი თვის განმავლობაში.

15 და უთხრა ლაბანმა იაკობს: რადგან ძმა ხარ ჩემი, ნუ გამსახურები მე უსასუიდელოდ; მითხარი მე, რა არის შენი სახლაური.

16 ხოლო ლაბანს ჰყავდა ორი ასული. სახელი უფროსისა — ლია და სახელი უმცროსისა — რაქელი;

17 და თვალები ლიას სუსტი ჰქონდა, ხოლო რაქელი იყო ლამაზი სახით და მშვენიერი შესახედად.

18 და შეუყვარდა იაკობს რაქელი და თქვა: გამსახურები შენ შვიდი წელიწადი რაქელისთვის, შენი უმცროსი ასულისთვის.

19 და უთხრა მას ლაბანმა: უძჯობესია ჩემთვის, მოგცე იგი შენ, ვიდრე მივცე იგი სხვა კაცს; დასასლდი ჩემთან.

20 და იმსახურა იაკობმა რაქელისთვის შვიდი წელიწადი და იყო ეს მისთვის, როგორც რამდენიმე დღე, მისი მისდამი სიყვარულის გამო.

21 და უთხრა იაკობმა ლაბანს: მომეცი ჩემი ცოლი, რადგან შესრულდა ჩემი დღეები, რომ შევიდე მასთან.

22 და შეკრიბა ლაბანმა იმ ადგილის უკვლა კაცი და გამართა ქორწილი.

23 და დადგა სადამო და მოიყვანა ლაბანმა ლია, თავისი ასული, და შეიკვანა იგი იაკობთან და შევიდა მასთან იაკობი.

24 და მისცა ლაბანმა ლიას, თავის ასულს, ზეფა, თავისი მხევალი, მხევალია.

25 და დადგა განთიადი, და აჰა, იყო ლია. და უთხრა იაკობმა ლაბანს: ეს რა მიუვაო მე? რაქელისთვის არ გამსახურე შენ? და რატომ მომატეე მე?

26 და უთხრა ლაბანმა: არ არის ასე ჩვენს მხარეში, რომ მისცენ უმცროსი უფროსზე ადრე;

27 შეასრულე მისი შვიდეულიც და მოგცემ შენ მასაც იმ სამუძაოს სახეცვლოდ, რასაც იმუშავებ ჩემთან კიდევ სხვა შვიდ წელიწადს.

28 და მოიქცა იაკობი ასე და შეასრულა მისი შვიდეულიც და მისცა მას ლაბანმა რაქელი, თავისი ასული, ცოლად.

29 და მისცა ლაბანმა რაქელს, თავის ასულს, ბალა, თავისი მხევალი, მხევალია.

30 და შევიდა რაქელთან; და შეუყვარდა რაქელი უფრო, ვიდრე ლია; და ემსახურა მას სხვა შვიდ წელიწადს.

31 და იხილა უფალმა, რომ მოძულებულია ლია, და გაუხსნა მას საძო; ხოლო რაქელი იყო ბერწი.

32 და მუცლადილო ლიამ და უშვა ძე იაკობს; და უწოდა მისი სახელი რუბენი და თქვა: რადგან იხილა უფალმა ჩემი დამდაბლება; ახლა მე შემიყვარებს ჩემი ქმარი.

33 და მუცლადილო ისევ ლიამ და უშვა მეორე ძე იაკობს და თქვა:

რადგან ესმა უფალს, რომ მოძულეები-  
ლი ვარ, და მომცა მე ესეც; და  
უწოდა მისი სახელი სიმეონი.

34 და მუცლადილო კვლავ და შვა ძე  
და თქვა: ამჯერად ჩემსენ იქნება ჩემი  
ქმარი, რადგან ვუშვი მას საძი ძე;  
ამის გამო უწოდა მისი სახელი ლუვი.

35 და მუცლადილო კვლავ და შვა ძე  
და თქვა: ახლა კიდევ ასე ვაღიარებ  
უფალს; ამის გამო უწოდა მისი სახელი  
იუდა. და შეუჩერდა შობა.

თავი 30

**ს**ოლო ნახა რაქელმა, რომ ვერ  
უშვა იაკობს, და მუშურდა რაქელს  
თავისი დისა და უთხრა იაკობს: მომეცი  
მე შვილები; თუ არა, მოვკვდები მე.  
2 და განურისხნდა იაკობი რაქელს და  
უთხრა მას: განა მე ნაცვალა ვარ  
ღვთისა, რომელმაც მოგაკვლო შენ  
მუცლის ნაყოფი?

3 და უთხრა რაქელმა იაკობს: აჰა,  
ჩემი მხევალი ბალა; შედი მასთან და  
შობს ჩემს მუნლებსე და შეიღვირო  
გაუხდები მეც მისგან.

4 და მისცა მას ბალა, თავისი მხევალი,  
ცოლად; და შევიდა მასთან იაკობი.

5 და მუცლადილო ბალამ, რაქელის  
მხევალმა, და უშვა იაკობს ძე.

6 და თქვა რაქელმა: განმსაჯა მე  
ღმერთმა და შეისმინა ჩემი ხმისა და  
მომცა მე ძე; ამის გამო უწოდა მისი  
სახელი დანი.

7 და მუცლადილო კვლავ ბალამ,  
რაქელის მხევალმა, და უშვა მეორე  
ძე იაკობს.

8 და თქვა რაქელმა: შემეწია მე ღმერთი  
და გავუთანასწორდი ჩემს დას და შეკეთ-  
ლი; და უწოდა მისი სახელი ნუფთალი.

9 ხოლო ნახა ლიამ, რომ შეუჩერდა  
შობა, და მიიყვანა ზეფლა, თავისი  
მხევალი, და მისცა იგი იაკობს ცოლად.

10 და შევიდა მასთან იაკობი და მუც-  
ლადილო ზეფლამ, ლიას მხევალმა,  
და უშვა, იაკობს ძე.

11 და თქვა ლიამ: გაუბედნიერდი; და  
დაარქვა მისი სახელი ვადი.

12 და მუცლადილო ზეფლამ, ლიას  
მხევალმა, და უშვა კვლავ იაკობს მე-  
ორე ძე.

13 და თქვა ლიამ: ნეტარი ვარ მე,  
რადგან შემხატრიან მე დედაკაცები;  
და უწოდა მისი სახელი ასერი.

14 და წავიდა რუბენი ხორბლის მკის  
ღვებში და იპოვა მანდრაგორის  
ვაშლები\* მინდროში და მიუტანა ისინი  
ლიას, თავის დედას. და უთხრა  
რაქელმა ლიას: მომეცი მე შენი ძის  
მანდრაგორები.

15 და უთხრა ლიამ: არ არის საკმარი-  
სი შენთვის, რომ წამართვი ჩემი ქმა-  
რი? ნუთუ ჩემი ძის მანდრაგორებსაც  
წამართმე? და უთხრა რაქელმა: ვერ  
არა; დაწვეს შენთან ამ ღამეს შენი  
ძის მანდრაგორების სახაცვლოდ.

16 და მოვიდა იაკობი მინდორიდან  
სადამოს და გავიდა ლია მის შესავეყე-  
ლად და უთხრა: ჩემთან შემოდი დღეს,  
რადგან ნაყიდი მუხანარ შენ ჩემი ძის  
მანდრაგორების სახაცვლოდ. და დაწვა  
მასთან იმ ღამეს.

17 და შეისმინა უფალმა ლიანი, და  
მუცლადილო და უშვა იაკობს მესამე ძე.

\* მანდრაგორის ვაშლები — სავარაუდოდ, *Atropa belladonna*, რომელსაც ნაყოფიერების ხელისშემწყობად მიიხსენებდნენ.

18 და თქვა ლიამ: მომცა ღმერთმა ჩემი სახლური იმის სანაცვლოდ, რომ მივეცი ჩემი მსევალი ჩემს ქმარს; და უწოდა მისი სახელი ისაქარი, რაც არის სახლური.

19 და მუცლადილო კვლავ ლიამ და უშვა მეექვსე ძე იაკობს.

20 და თქვა ლიამ: მარჯა მე ღმერთმა კარგი საჩუქარი; ამჯერად ამომიღწევს მე ჩემი ქმარი, რადგან ვუშვი მას ექვსი ძე; და უწოდა მისი სახელი საბულონი.

21 და ამის შემდეგ შვა ასული და უწოდა მისი სახელი დინა.

22 და გაიხსენა ღმერთმა რაქელი და შეისმინა მისი ღმერთმა და გაუსხნა მას საშო,

23 და მუცლადილო და უშვა იაკობს ძე. და თქვა რაქელმა: ამარიდა ჩემმა ღმერთმა ყვედრება.

24 და უწოდა მისი სახელი იოსები და თქვა: შემმატოს ღმერთმა მე სხვა ძე.

25 და იყო, როგორც კი შვა რაქელმა იოსები, უთხრა იაკობმა ლაბანს: ვამიძვი მე, რომ წავიდე ჩემს მხარეში და ჩემს ქვეყანაში.

26 მომეცი ჩემი ცოლები და შვილები, რომელთა გამოც გემსახურე შენ, რომ წავიდე; რადგან შენ იცი სამსახური, რაც გემსახურე შენ.

27 და უთხრა მას ლაბანმა: თუ ვაჩუვებ შენს მადლი შენ წინაშე, მიფხვდები, რადგან მაკურთხა მე ღმერთმა შენი შემოსვლით,

28 გამოაცალევე შენი სახლური ჩემთან და მოგცემ.

29 და უთხრა მას იაკობმა: შენ იცი, რაც გემსახურე შენ, და რამდენიც იყო შენი საქონელი ჩემთან;

30 რადგან ცოტა იყო, რაც შენ გეყავა ჩემთან, და გაიხარდა სიმრავლით და გაკურთხა შენ უფალმა ჩემი მოსვლით. ახლა როდისღა ავიძინო მეუ ჩემთვის სახლი?

31 და უთხრა მას ლაბანმა: რა მოგცემ შენ? და უთხრა მას იაკობმა: ნუ მომცემ მე ნურაფერს; თუ შემისრულებ მე ამ სიტყვას, ისევ დავმწყემსავ შენს ცხვარს და დავიცავ.

32 მოიარე მიუღლი შენი ცხვარი დღეს და გამოარჩიე იქიდან ყოველი რუხი ცხვარი კრავებიდან და ყოველი მოთეთრო და წინწყლებიანი – თხებიდან; და იქნება ჩემთვის სახლური.

33 და შეისმენს ჩემსას ჩემი სიმართლე სვალისდელ დღეს, რომ არის ჩემი სახლური შენ წინაშე; ყოველი, რომელიც არ იქნება წინწყლებიანი და მოთეთრო თხებში და რუხი – ცხვრებში, ჩემი მოპარული იქნება.

34 და უთხრა მას ლაბანმა: იყოს შენი სიტყვისამებრ.

35 და გამოაცალევე იმ დღეს ვაცები, წინწყლებიანი და მოთეთრო, და ყველა თხა, წინწყლებიანი და მოთეთრო, და ყოველი, რომელიც იყო რუხი კრავებში, ყველასგან, რომელიც იყო თეთრი მათ შორის, და მისცა სელში თავის ძეებს.

36 და დადგინა საძი დღის გზა მათსა და იაკობს შორის; ხოლო იაკობი მწყემსავდა ლაბანის დარჩენილ ცხვარს.

37 და აიღო იაკობმა ნედლი ჯოხის ამბრისა და კაკლისა და ჭადრისა და მოაცალა მათ იაკობმა ქერქი სითეთრემდე, შემოაცალა რა სიმწვანე; და გამოიხნა გაქერქილ ჯოხებსე თეთრი ქრულად.

38 და ჩააწყო ჯოსები, რომლებიც გაქვრქა, წელის სახმელ გვეჯები, რათა, როცა მივიდოდა ცნვარი დასალეუვად ჯოსებთან, დასალეუვად მისული ცნვარი დამაკებულყო ჯოსების შესაბამისად; 39 და იკებდა ცნვარი მოთეთროს და ჭრელს და ნაცრისფერწინკლებიანს. 40 ხოლო კრავები ვამოყო იაკობმა და დააყენა ცნვრების წინ ვერძი მოთეთრო და უოველი ჭრელი კრავებიდან. და ვამოაწიდა თავისთვის ფარა ცალკე და არ შეურია ისინი ლაბანის ცნვარს. 41 და იყო იმ დროს, როცა მკადებოდა ცნვარი და მუცლად იღებდა, დააწყო იაკობმა ჯოსები ცნვრების წინ გვეჯები, რომ დამაკებულყოფენ ისინი ჯოსებისამებრ;

42 ხოლო როცა იკებდა ცნვარი, არ აწყოლებდა; და იყუნენ უნიშნოები ლაბანისა, ხოლო ნიშნაინები – იაკობისა. 43 და ვამდიდრდა ეს კაცი მეტად ძლიერ და ჰყავდა მას ბევრი საქონელი და ძროხები და მონები და მხევლები და აქლემები და სახედრები.

თავი 31

**ღ**ა ვაიგონა იაკობმა სიტყვები ლაბანის ძეებისა, რომლებიც ამბობდნენ: წაიღო იაკობმა ყველაფერი, რაც ჩვენი მამისაა, და იძისუან, რაც იყო ჩვენი მამისა, შექმნა მთელი ეს დიდება. 2 და დაინახა იაკობმა ლაბანის სახე, და აჰა, არ იყო მის მიმართ, როგორც გუშინ და გუშინწინ.

3 და უთხრა უფალმა იაკობს: დაბრუნდი მამაშენის ქვეყანაში და შენს ნათესაობაში და ვიყნები შენთან. 4 და გაგზავნა იაკობმა და მოუხმო ლიას და რაქელს ვულხე, სადაც იყო ფარა, 5 და უთხრა მათ: ვხედავ მე თქვენი მამის სახეს, რომ არ არის ჩემ მიმართ, როგორც გუშინ და გუშინწინ; ხოლო ღმერთი ჩემი მამისა იყო ჩემთან. 6 და თქვენ იცით, რომ მთელი ჩემი ძალით ვემსახურე თქვენს მამას. 7 ხოლო თქვენმა მამამ მომატეუა მე და შეცვალა ჩემი სახელური ათი კრავისა,\* და არ დაანება მას ღმერთმა, რომ ბოროტება გავეკეთებინა ჩემთვის. 8 თუ ასე იტყვის: ჭრელები იქნება შენი სახელური, იკებს ყველა ცნვარი ჭრელს, ხოლო თუ იტყვის: თეთრები იქნება შენი სახელური, იკებს ყველა ცნვარი თეთრს. 9 და წაართვა ღმერთმა მთელი ფარა თქვენს მამას და მომცა მე იგი. 10 და იყო, როცა მკადებოდა ცნვარი, ვნახე ჩემი თვალით ისინი ძილში, და აჰა, ვაცები და ვერძები ასულები იყუნენ ცნვრებსე და თნებსე, მოთეთროები და ჭრელები და ნაცრისფრად დაწინწკლულები. 11 და მითხრა მე ღვთის ანგელოზმა ძილში: იაკობ; ხოლო მე ვთქვი: რა არის? 12 და თქვა: ახნილე შენი თვალები და ნახე ვაცები და ვერძები, ასულები ცნვრებსე და თნებსე, მოთეთროები და ჭრელები და ნაცრისფრად დაწინ-

\* სახელური ათი კრავისა – სავარაუდოდ, ათი კრავი იყო ნივთიერი სიმბოლო ლაბანსა და იაკობს შორის დადებული პირობისა, ისევე როგორც აბრაამმა მართვა შვიდი კრავი აბიმელექს მოწმობად იმისა, რომ ჭა მისი ამოთხრილი იყო (იხ. შექ. 21,28).

წკლულები, რადგან ვნახე, რასაც შენ ლაბანი გიკეთებს.

13 მე ვარ ღმერთი, რომელიც გჩვენებ შენ ღვთის ადგილზე, იქ, სადაც სცნე ჩემთვის სვეტს და აღმითქვი მე იქ აღთქმა; ახლა ადგილი და გადი ამ ქვეყნიდან და წადი ქვეყანაში, სადაც დაიბადე შენ, და ვიქნები შენთან.

14 და მიუგეს რაქელმა და ლიამ და უთხრეს მას: ალარ არის ჩვენითვის წილი ან შემკვიდრობა ჩვენი მამის სახლში?

15 განა უცხოებდა არ ვითვლებით მისთვის? რადგან გაგვიდა ჩვენ და ჭამით შეჭამა ჩვენი ვერცხლი.

16 მთელი სიმდიდრე და დიდება, რაც წაართვა ღმერთმა ჩვენს მამას, ჩვენი იქნება და ჩვენი შვილებისა. ახლა, რაც ვითხრა შენ ღმერთმა, ვაკეთებ.

17 და ადგა იაკობი და შესხა თავისი ცოლები და თავისი შვილები აქლემებზე

18 და წაიღო მთელი თავისი ქონება და მთელი თავისი მონაგარი, რაც შეიძინა შუამდინარეთში, და ყველაფერი, რაც მისი იყო, რათა წახულიყო ისაკთან, თავის მამასთან, ქანანის ქვეყანაში.

19 სოლო ლაბანი მიდიოდა თავისი ცხვრის გასაძარსად და მოიპარა რაქელმა თავისი მამის კერპები.

20 და დაუმალა იაკობმა ლაბან ასურელს და არ შეატყობინა მას, რომ გარბოდა,

21 და გაიქცა იგი და ყოველივე, რაც მისი იყო, და გადალახა მდინარე და გაემართა ვალაადის მთისკენ.

22 და შეატყობინეს ლაბან ასურელს შესამე დღეს, რომ გაიქცა იაკობი;

23 და თან წაიყვანა ყველა თავისი ძმა და დაედევნა უკან მას შვიდი დღის გზაზე და დაეწია მას ვალაადის მთაზე.

24 და მივიდა ღმერთი ლაბან ასურელთან ძილში ღამით და უთხრა მას: გაუფრთხილდი თავს, რომ არ უთხრა იაკობს ცუდი.

25 და დაეწია ლაბანი იაკობს; და იაკობმა აღმართა თავისი კარავი მთაზე; ხოლო ლაბანმა დააყენა თავისი ძმები ვალაადის მთაზე.

26 და უთხრა ლაბანმა იაკობს: რა ჩადინე? რატომ გაიქვეცი ფარულად და გამქურდე მე და წაიყვანე ჩემი ასულები, როგორც ტყვეები, მანვინლით?

27 და რომ შეგეტყობინებინა ჩემთვის, გამოვიშვებდი შენ მხიარულებით და სიმღერით, დაფთთა და ქნარით.

28 არ მეღირსა ჩემი შვილებისა და ჩემი ასულების ამბორი. და ახლა უგუნურად მოიქციე.

29 და ახლა შეუძლია ჩემს ხელს, რომ ვიბორტოს შენ; მაგრამ შენი მამის ღმერთმა გუშინ მითხრა მე და თქვა: გაუფრთხილდი თავს, რომ არ უთხრა იაკობს ცუდი.

30 ახლა წამოსულხარ, რადგან წადილით გეწია წასვლა შენი მამის სახლში; რატომ მოიპარე ჩემი ღმერთები?

31 სოლო მიუგო იაკობმა და უთხრა ლაბანს: რადგან შემემინდა და ვთქვი, ვაითუ წაგერთმია შენი ასულები ჩემთვის და ყველაფერი — რაც ჩემია;

32 და თქვა იაკობმა: ვისთანაც იპოვი შენს ღმერთებს, არ იცოცხლებს ჩვენი ძმების წინაშე. ამოცნანი, რა არის შენი ჩემთან, და აიღე. და ვერ ამოცნო მასთან ვერაფერი. და არ იცო-

და იაკობმა, რომ რაქელმა, მისმა ცოლმა, მოიპარა ისინი.

33 და შევიდა ლაბანი და ეტება ლიას სახლში და ვერ იპოვა; და გამოვიდა ლიას სახლიდან და ეტება იაკობის სახლში და ორი მსევლის სახლში და ვერ იპოვა. და შევიდა რაქელის სახლშიც. 34 ხოლო რაქელმა აიღო კერპები და შეაწყო აქლემის უნაგიოში და დავდა მათზე.

35 და უთხრა თავის მამას: მძიმედ ნუ მიიღებ, ბატონო; არ შემიძლია წამოდგომა შენ წინაშე, რადგან დედათა წესი მაქვს. და ეტება ლაბანმა მთელ სახლში და ვერ იპოვა კერპები.

36 და განრისხდა იაკობი და წაეჩხუბა ლაბანს; და მიუგო იაკობმა და უთხრა ლაბანს: რაშა ჩემი უსამართლობა და რა არის ჩემი ცოდვა, რომ დამედევნე მე უკან,

37 და რომ ეტებე მთელ ჩემს ჭურჭელში, რა იპოვე შენი სახლის მთელი ჭურჭლიდან? დადე აქ შენი ძმებისა და ჩემი ძმების წინაშე და გვამხილონ ჩვენ ორივენი.

38 ეს ოცი წელია, მე ვარ შენთან; შენი ცნურები და შენი თხები უმუილოები არ ყოფილან; შენი ცნურების ვერძები არ შემიჭამია;

39 ნამსვენავი არ მომიტანია შენთვის, მე თვითონ ვხელავდი დღისით მოპარულს და ღამით მოპარულს;

40 ვიყავი დღისით დამწვარი სიცხით და ღამით – ყინვით და არ მიჰპარებია ძილი ჩემს თვალებს.

41 ეს ოცი წელია, მე ვარ შენს სახლში; ვიძახებო შენთვის თოთხბეტი წე-

ლი შენი ორი ასულის სანაცვლოდ და ექვსი წელი – შენს ცნვარში, და დააკული ჩემს სახლურს ათი კრავისა.

42 რომ არ ყოფილიყო ღმერთი ჩემი მამის, აბრაამისა, ჩემთან და შობი ისაყისა, ახლა ცარიელს გამოშვებდი მე; ჩემი დამდაბლება და ჩემი ხელების ნაშრომი ისილა ღმერთმა და გამხილავა შენ ვუშინ.

43 და მიუგო ლაბანმა და უთხრა იაკობს: ეს ასულები ჩემი ასულები არიან და ეს ძეები ჩემი ძეები არიან და ეს საქონელი ჩემი საქონელია და ეველადფერი, რასაც შენ ხედავ, ჩემია და ჩემი ასულებისა. რა ვუყო მათ დღეს ან მათს შვილებს, რომლებიც შვას?

44 და ახლა, მოდი, დავდოთ აღთქმა მე და შენ და იქნება მოწმობად ჩემსა და შენ შორის. და უთხრა მას იაკობმა: აჰა, არავინ არის ჩვენთან; აჰა, ღმერთია მოწმე ჩემსა და შენ შორის.

45 და აიღო იაკობმა ქვა და აღმართა იგი სვეტად.

46 და უთხრა იაკობმა თავის ძმებს: შეავროვეთ ქვები. და შეავროვეს ქვები და გააკეთეს ბორცვი და ჭამეს და სვეს იქ, ბორცვზე. და უთხრა მას ლაბანმა: ეს ბორცვი მოწმობის ჩემსა და შენ შორის დღეს.

47 და უწოდა მას ლაბანმა ბორცვი მოწმობისა,\* ხოლო იაკობმა უწოდა მას ბორცვი მოწმე.\*\*

48 და უთხრა ლაბანმა იაკობს: აჰა, ეს ბორცვი და სვეტი, რომელიც აღვმართე ჩემსა და შენ შორის; მოწმობს ეს ბორცვი და მოწმობს ეს

\* ბორცვი მოწმობისა – ებრ. ივგარ საჰადუთა.

\*\* ბორცვი მოწმე – ებრ. გალევი.

სვეტი; ამის გამო ეწოდა მას სახელი ბორცვი მოწმობს

49 და სვეტს – ხილვა,\* რასეც თქვა: იხილოს ღმერთმა ჩემსა და შენ შორის, რომ დავმორღებით ერთმანეთს.

50 თუ დამდაბლებ ჩემს ასულებს, თუ მოიყვან ცოლებს ჩემს ასულებთან, იხილე, არაფერ არის ჩვენთან; ღმერთთა მოწმე ჩემსა და შენ შორის.

51 და უთხრა ლაბანმა იაკობს: აჰა, ეს ბორცვი და სვეტი, რომელიც აღვმართე ჩემსა და შენ შორის.

52 და თუ მე არ ვადმოვლანავ შენკენ, ნურც შენ ვადმოვლანავ ჩემკენ ამ ბორცვს და ამ სვეტს ბოროტებით, 53 აბრაამის ღმერთმა და ნაქორის ღმერთმა განსაჯოს ჩვენ შორის.

54 და დაიფიცა იაკობმა ისააკის, თავისი მამის, მიძი. და შესწირა იაკობმა მსხვერპლი მთაზე და მოუხმო თავის ძმებს და ჭამეს და სვეს და დაიძინეს მთაზე.

თავი 32

**ღ** ა აღვა ლაბანი განთიადისას და ეამბორა თავის ძეებს და თავის ასულებს და აკურთხა ისინი და დაბრუნდა ლაბანი და წავიდა თავის მხარეში.

2 და იაკობი წავიდა თავის გზაზე. და აიხედა და დაინახა ღვთის ბანაკი, დაბანაკებული, და შეხედნენ მას ღვთის ანგელოზები;

3 და თქვა იაკობმა, როცა დაინახა ისინი: ღვთის ბანაკია ეს; და უწოდა იმ ადგილს სახელი ბანაკები.\*\*

4 და გაგზავნა იაკობმა მაცნეები თავისზე წინ ესავთან, თავის ძმასთან, სვირის ქვეყანაში, ედომის მხარეში,

5 და უბრძანა მათ და თქვა: ასე უთხართ ჩემს ბატონს, ესავს: ასე ამბობს შენი მონა იაკობი: ლაბანთან ვუწირობდი და დავუოვნდი აქამდე,

6 და მუაჟ მე ძროხები და სახედრები და ცხვრები და მონები და მსევლები და გამოვუგზავნე, რომ შევატყობინო ჩემს ბატონს, ესავს, რათა ჰოვოს შენმა მონამ მადლი შენ წინაშე.

7 და დაბრუნდნენ მაცნეები იაკობთან და უთხრეს: მივუდით შენს ძმასთან, ესავთან, და აჰა, მოდის შენს შესახედრად და ოთხასი კაცი მასთან ერთად.

8 და შეეშინდა იაკობს ძლიერ და შეშფოთდა. და გაყო თავისთან მყოფი ხალხი და ძროხები და ცხვრები ორ ბანაკად

9 და თქვა იაკობმა: თუ მოვა ესავი ერთ ბანაკში და განადგურებს მას, მეორე ბანაკი ვადარჩება.

10 და თქვა იაკობმა: ღმერთო ჩემი მამის, აბრაამისაო, და ღმერთო ჩემი მამის, ისააკისაო, უფალო, რომელმაც მითხარი მე: იჩქარე ქვეყანაში, სადაც დაიბადე შენ, და სიკეთეს გაგიკეთებ შენ,

11 საემართისა ჩემთვის მთელი სიმართლე და მთელი ჭეშმარიტება, რაც გაუკეთე შენს მონას, რადგან ჩემი კუვრთხით ვადავლახე ეს იორდანე, ნოლო ახლა ვიქეცი ორ ბანაკად.

12 მიხსენი მე ჩემი ძმის, ესავის, ხელისგან, რადგან შეშინია მე მისი,

\* ხილვა – ებრ. მიცფა.  
\*\* ბანაკები – ებრ. მახანაიმ.



ვაითუ მოვიდეს და მომკლას მე დედაწულიანად.

13 სოლო შენ თქვი: სიკეთეს კეთილად გაგიკეთებ შენ და ვაქცევ შენს თესლს, როგორც ხდვის ქვიძას, რომელიც არ დაითვლება სიმრავლის გამო.

14 და დაიძინა იქ იმ ღამეს. და აილო, რაც ძღვენი მოჰქონდა, და გუგუნავნა ესავს, თავის ძმას:

15 თხა — ორასი, ვაცი — ოცი, ცხვარი — ორასი, ვეძი — ოცი,

16 მწველი აქლემები და მათი კოხაკები — ოცდაათი, ძროხა — ორმოცი, კურღო — ათი, სახეღარი — ოცი და ჩოხორი — ათი.

17 და მისცა თავის მსახურებს ხელში სამწყსო სათითაოდ. და უთხრა თავის მსახურებს: წადით ჩემ წინ და დაამორეთ სამწყსო სამწყსოს.

18 და უბრძანა პირველს და უთხრა: თუ შეგხვდება შენ ესავი, ჩემი ძმა, და გკითხავს შენ და გეტყვის: ვისი ხარ და სად მიდიხარ და ვისია ეს, რაც შენ წინ მიდის,

19 უთხარი: შენი მონის, იაკობისა; ძღვენი გამოუგზავნა ჩემს ბატონს, ესავს, და აჰა, იგი ჩვენ უკან არის.

20 და უბრძანა პირველს და მეორეს და მესამეს და ყველა წინ მავალს, ვინც ამ სამწყსოს უკან მიდიოდა, და უთხრა: ამ სიტყვისამებრ უთხარით ესავს, როცა გზაზე თქვენ იგი.

21 და უთხარით: აჰა, შენი მონა, იაკობი, მოდის ჩვენ უკან. რადგან თქვა: შემოვირიგებ მას ჩემ წინ მა-

ვალი ძღვენით და ამის შემდეგ ვნახავ მის პირს, იქნებ მიმიღოს მე.

22 და მიდიოდა ძღვენი მის წინ, სოლო მან დაიძინა იმ ღამეს ბანაკში.

23 და ადგა იმ ღამეს და წაიყვანა თავისი ორი ცოლი და ორი მწვეალი და თერთმეტი შვილი და გადალახნა იაბოკის გადასასვლელი;

24 და წაიყვანა ისინი და გადალახნა ნაღვარევი და გადაიყვანა ყოველივე, რაც მისი იყო.

25 და დარჩა იაკობი მარტო და ვერკინებოდა კაცი მას განთიადამდე.

26 და ნახა, რომ უძღვორია მასთან, და შეეხო მისი ბარძაყის არეს და გაუშეშა ბარძაყის არე იაკობს მან მასთან შერკინებისას

27 და უთხრა მას: გამძივე მე, რადგან დადგა ცისკარი. სოლო მან უთხრა: არ გაგიძვებ შენ, თუ არ მაკურთხებ მე.

28 და უთხრა მას: რა არის შენი სახელი? სოლო მან უთხრა: იაკობი.

29 და უთხრა მას: აღარ გეწოდება შენი სახელი იაკობი, არამედ ისრაელი\* იქნება შენი სახელი, რადგან გაძლიერდი ღმერთთან და ადამიანებთანაც ძლიერი იქნები.

30 და ჰკითხა იაკობმა და თქვა: მითხარი მე შენი სახელი. და თქვა: რისთვის შეკითხები ჩემს სახელს? საკვირველია იგი. და აკურთხა იგი იქ.

31 და უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელი სახე ღვთისა,—\*\* რადგან ვი-

\* ისრაელი (ებრ.) — ღმერთთან მებრძოლი, შერკინებული, ღვთის მხილველი.

\*\* სახე ღვთისა — ებრ. ფენიელი.



ხილვე ღმერთი ჰიროსპირ და გადარჩა ჩემი სული.

32 და ამოვიდა მისთვის მზე, როცა წავიდა სახე ღვთისა; სოლო იგი კოჭლობდა იმ ბარძაყით.

33 ამის გამო არ ჭამენ ისრაელის ძეები ძარღვს, რომელიც გაუშეშა და რომელიც არის ბარძაყის არემი, ამ დღემდე, რადგან შეეხო იაკობის ბარძაყის არის ძარღვს და გაუშეშა.

თა30 33

**ღ** აახილა იაკობმა თავისი თვალები და დანახა: და აპა, ესა-

ვი, მისი ძმა, მოდის და ოთხსანი კაცი მასთან ერთად. და გაუნაწილა იაკობმა ბავშვები ლიას და რაქელს და ორ მსევალს. 2 და დააყენა ორი მსევალი და მათი ძეები ზირველებად და ლია და მისი ბავშვები – უკან და რაქელი და იოსები – ბოლოს; 3 სოლო თვითონ წაუძღვა მათ წინ და თაყვანი სცა მიწამდე შვიდგზის, ვიდრე მიუახლოვდებოდა თავის ძმას.

4 და გაიქცა ესავი მის შესაკებებლად და გადაეწვია ძას და ეამბორა და დაემხო მის ქედზე და ატირდა ორივე.

5 და აისყდა და დანახა დედაკაცები და ბავშვები და თქვა: ვინ არიან ესენი შენი? სოლო მან უთხრა: ბავშვები, რომლებითაც შეიწყალა ღმერთმა შენი მონა.

6 და მიუახლოვდნენ მსევლები და მათი შვილები და თაყვანი სცეს;

7 და მიუახლოვდა ლია, და მისი შვილები და თაყვანი სცეს; და ამის შემდეგ მიუახლოვდა რაქელი, და იოსები და თაყვანი სცეს.

8 და თქვა: ვინ არიან ესენი შენი – მთელი ეს ბანაკები, რომლებსაც შეეხვდი? სოლო მან უთხრა: რათა ჰყოლს შენმა მონამ მადლი შენ წინაშე, ბატონო.

9 და უთხრა ესავმა: მე ბევრი მაქვს, ძმაო, გკონდეს შენი შენ.

10 და უთხრა იაკობმა: თუ ვპოვე მადლი შენ წინაშე, მიიღე ძღვენი ჩე-

მი სელიდან, რადგან ვინილე შენი ზირი, თითქოს ვინმეს ეწილოს ღვთის ზირი, და კეთილად განუწყე ჩემდამი; 11 მიილე ჩემი სამადლობელი, რომელიც მოგართვი შენ, რადგან შემიწყალა მე ღმერთმა და მამქს მე უველად ფერი. და აიძულა იგი, და მიიღო.

12 და უთხრა ესაუმა: დავიძრათ და წავიდეთ ზირდანი.

13 და უთხრა მას: ჩემმა ბატონმა იცის, რომ ბაუშუები სათუთნი არიან, და ჩემი ცხვარი და ძროხა ივებს; თუ გავრეკავ მათ ერთ დღეში, დანსოცება მთელი საქონელი.

14 წავიდეს ჩემი ბატონი თავისი მონის წინ, ხოლო მე მოვძლიერდები გზაში ჩემ წინ მავალთა ნელი სვლით და ბაუშუების ნაბიჯით, ვიდრე არ მივალ მე ჩემს ბატონთან სვირში.

15 და უთხრა მას ესაუმა: დავტოვებ შენთან იმ ხალხს, რომლებიც ჩემთან არიან. ხოლო მან უთხრა: ეს რისთვის? საკმარისია, რომ ვაზოვე მადლი შენ წინაშე, ბატონო.

16 და დაბრუნდა ესაუი იმ დღეს თავისი გზით სვირში.

17 და იაკობი გაემართა კარვებისკენ; და აიშენა თავისთვის იქ სახლები. და თავის საქონელს გაუკეთა კარვები; ამის გამო უწოდა იმ ადგილს სახელი კარვები.\*

18 და მივიდა იაკობი საღემში, სიკიმელთა ქალაქში, რომელიც არის ქანაანის ქვეყანაში, როცა მივიდა ასურეთის შუამდინარეთიდან, და დაბანაკდა ქალაქის ზირდანი.

19 და შეიძინა მიწის ნაკვეთი იქ, სადაც დადგა თავისი კარავი, ემორისგან, სიქემის მამისგან, ას კრავად

20 და აღმართა იქ საკურთხეველი და მოუხმო ისრაელის ღმერთს.

თანხი 34

**ღ** ა გავიდა დინა, ლიას ასული, რომელიც უშვა იაკობს, იქაური ასულების ვასანცნობად.

2 და დინას იგი სიქემმა, ემორის ძემ, ქორწილმა, იმ ქვეყნის მთავარმა, და წაიყვანა იგი და დაწვა მასთან და დაამდაბლა იგი.

3 და შეეთვისა დინას, იაკობის ასულის, სულს და შეუყვარდა ქალწული და ელანარაკა მას ქალწულის ფიქრისამებრ.

4 და უთხრა სიქემმა ემორს, თავის მამას, და თქვა: მომიყვანე მე ეს ეძაწვილი ქალი ცოლად.

5 ხოლო იაკობმა გაიგო, რომ შებლალა ემორის ძემ დინა, მისი ასული; ხოლო მისი ძეები იყვნენ საქონელთან ველზე და გაჩემდა იაკობი მათ მოსვლამდე.

6 და გავიდა ემორი, სიქემის მამა, იაკობთან, რათა დალანარაკებოდა მას.

7 ხოლო იაკობის ძეები მოვიდნენ ველიდან და როგორც კი გაიგეს, შეწუნდნენ კაცები და გამწარდნენ ისინი ძლიერ, რადგან შეურაცხყო ისრაელი, რომ დაწვა იაკობის ასულთან; და ასე არ უნდა მომხდარიყო.

8 და ელანარაკა მათ ემორი და უთხრა: სიქემმა, ჩემმა ძემ, აირჩია თქვენი ასულის სული; მიეცით იგი მას ცოლად.

9 დაგვიმოყვრდით ჩვენ; თქვენი ასულები მოგვეცით ჩვენ და ჩვენი ასულები წაიყვანეთ თქვენი ძეებისთვის.

\* კარვები – ებრ. სუქოთი.

10 და ჩვენ შორის დამკვიდრდით, და ქვეყნა, აჰა, ვრცელთა თქვენ წინაშე; დამკვიდრდით მასზე და ივაჭრეთ და მოიგეთ მასში.

11 და უთხრა სიქემმა მის მამას და მის ძმებს: ნეტავი, ვაზოვ მადლი თქვენ წინაშე და რასაც იტყვით, მოვცემით.

12 გახარდეთ ურავდი\* ძლიერ და მოვცემით, რასაც მეტყვით მე; და მომეცით მე ეს უმაწილი ქალი ცოლად.

13 სოლო მოუკეს იაკობის ძეებმა სიქემს და ემორს, მის მამას, მხაკვრობით და უთხრეს მათ, რომ შეებლავს დინა, მათი და,

14 და უთხრეს მათ სიმეონმა და ლევიმ, დინას ძმებმა, ღიას ძეებმა: არ შევიძლია ამ სიტყვის შესრულება – მიცემა ჩვენი დინა კაცისთვის, რომელიც წინადაუცვეთელია, რადგან დასაძრანია ჩვენთვის.

15 ამით დაგემსგავსებით თქვენ და დაუმკვიდრდებით თქვენ შორის, თუ განდებით თქვენც ჩვენსავით, თქვენი ყველა მამაკაცის დაცვით;

16 და მოვცემით ჩვენს ასულებს თქვენ და თქვენი ასულებიდან მოვიყვანთ ჩვენ ცოლებს და დაესაწლდებით თქვენთან და ვიქნებით, როგორც ერთი მოდგმა.

17 სოლო თუ არ შეისმენთ ჩვენსას, რომ დაიცვითოთ, წავიყვანთ ჩვენს ასულებს და წავალთ.

18 და მოეწონათ ეს სიტყვები ემორს და სიქემს, ემორის ძეს.

19 და არ დააყოვნა ჭაბუკმა ამ სიტყვის შესრულება, რადგან ეტროფოდა იაკობის ასულს; სოლო თვითონ იყო ყველაზე დიდებული თავისი მამის სანაღში.

20 და მივიდნენ ემორი და სიქემი, მისი ძე, თავისი ქალაქის კარბებქსთან და დაელაზარანენ თავისი ქალაქის კაცებს და უთხრეს:

21 ეს კაცები მშვიდობიანები არიან; ჩვენთან დასაწლდნენ ქვეყანაში და ივაჭრონ მასში, სოლო ქვეყნა, აჰა, ვრცელთა მათ წინაშე. მათს ასულებს მოვიყვანთ ჩვენ ცოლებად და ჩვენს ასულებს მივცემთ მათ.

22 მხოლოდ ამით დავემსგავსებთან ჩვენ ეს კაცები, როცა დასაწლდებთან ჩვენთან, რომ ვიყოთ ერთი ერთი ყველა ჩვენი მამაკაცის დაცვითი, როგორც თვითონ არიან დაცვითილები.

23 და მათი საქონელი და მათი ქონება და ოთხფენი ჩვენი არ იქნება? მხოლოდ ამით დავემსგავსებით მათ და დასაწლდებთან ჩვენთან.

24 და შეისმინა ემორისა და სიქემისა, მისი ძისა, ყველამ, ვინც გამოდიოდა მათი ქალაქის კარბებქით, და დაიცვიოთ თავისი წინადაუცვეთელობის სორცი ყოველმა მამაკაცმა.

25 და იყო მესამე დღეს, როცა ტკივილი ჰქონდათ, აილო იაკობის ორმა ძემ, სიმეონმა და ლევიმ, დინას ძემ, თითოეულმა თავისი მანვილი, და შევიდნენ ქალაქში ფრთხილად და დახოცეს ყოველი მამაკაცი;

26 და ემორი და სიქემი, მისი ძე, დახოცეს მანვილის ზირით და წამოიყვანეს დინა სიქემის საწლიდან და გამოვიდნენ.

27 სოლო იაკობის ძეები შევიდნენ დაჭრილებთან და გაძარცვეს ქალაქი, რომელშიც შეებლავს დინა, მათი და;

\* ურავდი – გამოსასყიდი, რომელსაც იხდიდა სახიძო.

28 და მათი ცნებები და მათი ძროხები და მათი სახედრები, რაც იყო ქალაქში და რაც იყო ველზე, წაასხეს.

29 და მათი ყველა სულდგმული და მთელი მათი ჭურჭელი და მათი ცოლები და ბავშვები და გამარჯვებულნი ყველაფერი, რაც იყო ქალაქში და რაც იყო სახლებში.

30 და უთხრა იაკობმა სიმეონს და ლევის: საძულაველი გამხადეთ მე, რადგან ბოროტი ვიქნები მე ქვეყნის ყველა მკვიდრისთვის, ქანაანელებსა და ფერეხელებს შორის; ხოლო მე მცირე ვარ რიცხობრივად და შერეობილნი ჩემ წინააღმდეგ გამანადგურებენ მე და მოვისპობი მე, და ჩემი სახლი.

31 ხოლო მათ უთხრეს: ბბა, როგორც მემკვიდრე უნდა მოქცეოდნენ ჩვენს დას?

თავი 35

**ღ**ე უთხრა ღმერთმა იაკობს: ადექი და ადი ბუთელში და დასახლდი იქ და გაუკეთე იქ სამსხვერპლო ღმერთს, რომელიც გეჩვენა შენ, როცა გარბოდი ესავის, შენი ძმისგან.

2 და უთხრა იაკობმა თავის სახლს და ყველა მასთან მყოფს: მოიძორეთ უცხო ღმერთები, რომლებიც არიან თქვენთან, და განიწმინდეთ და გამოიცივალეთ თქვენი სამოსი,

3 და ავადგეთ და ავიდეთ ბუთელში და გაუკეთოთ იქ სამსხვერპლო ღმერთს, რომელიც შეისმინა ჩემი გაჭირვების დღეს და რომელიც იყო ჩემთან და მიხსნა მე გზაზე, რომელსაც დავდიოდი.

4 და მისცეს იაკობს უცხო ღმერთები, რომლებიც იყო მათ ხელში, და საეურეები, რომლებიც ჰქონდათ ეურებზე, და დამალა ისინი იაკობმა ბელეკონის ქვეშ სიკიძში და განანდგურა ისინი დღევანდელ დღემდე.

5 და დაიძრა ისრაელი სიკიძიდან და იყო ღვთის შიში ქალაქებზე, რომლებიც იყო მათ გარშემო, და არ დაუდევნენ უკან ისრაელის ძეგს.

6 და მივიდა იაკობი ღუზაში, რომელიც არის ქანაანის ქვეყანაში და რომელიც არის ბუთელი, ის და მთელი ხალხი, რომელიც იყო მასთან.

7 და ააგო იქ სამსხვერპლო და უწოდა იმ ადგილს სახელი ბუთელი, რადგან იქ გამოეცხადა მას ღმერთი, როცა გარბოდა იგი ესავისგან, თავისი ძმისგან.

8 და მოკვდა დებორა, რებეკას გამწოდელი, და დაიძრა ბუთელის დაბლა, მუხის ქვეშ, და უწოდა იაკობმა მას სახელი გლოვის მუხა.\*

9 და ეჩვენა ღმერთი იაკობს კვლავ ღუზაში, როცა მივიდა ასურეთის შუამდინარეთიდან, და აკურთხა იგი ღმერთმა.

10 და უთხრა მას ღმერთმა: შენი სახელია იაკობი; აღწერე იაკობი, არამედ ისრაელი იქნება შენი სახელი.

11 და უთხრა მას ღმერთმა: მე ვარ ღმერთი შენი; აღორძინდი და გამწოდელი; ხალხები და ხალხთა კრებულები იქნებიან შენგან და მეფეები შენი წელიდან გამოვლენ.

12 და ქვეყანა, რომელიც მივეცი აბრაამს და ისაკს, შენ მოგვცი იგი; შენი იქნება და შენს თესლს შენ შემდეგ მივეცი ამ ქვეყანას.

\* გლოვის მუხა – ებრ. ალონ ბაქუთი.

13 და ამოღდა ღმერთი მისგან იმ ადგილიდან, სადაც ელანბარაკა მას.

14 და აღმართა იაკობმა სვეტი იმ ადგილზე, სადაც ელანბარაკა მას ღმერთი, ქვის სვეტი, და შესწირა მასზე შესაწირავი და დასხნა მასზე ზეთი.

15 და უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელი, იქ, სადაც ელანბარაკა მას ღმერთი, ბეთელი.

16 და დაიძრა იაკობი ბეთელიდან და აღმართა თავისი კარავი გადერის გოდლის გადაღმა. და იყო, როცა მიუახლოვდა ქანთანზე\* ფერთას ქვეყანას, ვიდრე მივიდოდა, შვა რაქელმა და ძეგლად შვა შობისას.

17 და იყო, როცა იგი მიიმეღ შობდა, უთხრა მას ყრმის ამქმელმა:\*\* გაშხევი, რადგან ესეც ძე გუაუს შენ.

18 და იყო, როცა განუტევებდა იგი სულს, რადგან კვდებოდა, უწოდა მისი სახელი ძე ჩემი ტკივილისა:\*\*\* სოლო მამამ უწოდა მას ბენიამინი.\*\*\*\*

19 და მოკვდა რაქელი და დაიძარხა ფერთას ცხენთსარბიელის ვსაზე – ეს არის ბეთლემი.

20 და აღმართა იაკობმა სვეტი მის სამარსზე; ეს არის რაქელის სამარხის სვეტი დღევანდელ დღემდე.

21 და დაიძრა ისრაელი და აღმართა თავისი კარავი გადერის გოდლის გადაღმა.

22 და იყო, როცა დამკვიდრდა ისრაელი იმ ქვეყანაში, წავიდა რუბენი და

დაწვა ბელასთან, თავისი მამის ხარქასთან; და გაიგო ისრაელმა და ბოროტად გამოხნდა მის წინაშე. და იყვნენ ისრაელის ძეგები თორმეტი.

23 ლიას ძეგები: იაკობის ზირშორუბენი, სიმეონი, ლევი, იუდა, ისახარი, ზაბულონი.

24 რაქელის ძეგები: იოსები და ბენიამინი.

25 ბელას, რაქელის მხევლის, ძეგები: დანი და ნეფთალი.

26 ზელფას, ლიას მხევლის, ძეგები: ვადი და ასერი. ესენი არიან იაკობის ძეგები, რომლებიც ეყოლა მას ასურეთის შუამდინარეთში.

27 და მივიდა იაკობი ისააკთან, თავის მამასთან, მამრუში, ველის ქალაქში – ეს არის ქებრონი – ქანანის ქვეყანაში, სადაც შწირობდნენ აბრაამი და ისააკი.

28 და იყო ისააკის დღეები, რაც იცოცხლა, ას ოთხმოცი წელი;

29 და დაიღია და მოკვდა და შეუერთდა თავის მოდემას მონუცებული და დღესრული და დაასაფლავეს იგი ესაუმა და იაკობმა, მისმა ძეგებმა.

თიპი 36

**წ**ოლო ესენი არიან შთამომავლები ესაუისა; ეს არის ვდომი: 2 და ესაუმა მოიყვანა ცოლები თავისთვის ქანანელთა ასულთაგან: ადა – ელონ ქეტელის ასული და ოლიბემა

\* ქაბრათა – ებრაული სიგრიძის ერთეული. მიტროპოლიტ ფილარეტ მოსკოველის თვალსაზრისით, ეს მანძილი უდრის ფრანგულ მილს. ეს არის მანძილი რაქელის საფლავსა და ბეთლემს, ანუ ეფრათას შორის.

\*\* ყრმის ამქმელი – ბებიაქალი.

\*\*\* ძე ჩემი ტკივილისა – ებრ. ბენ ონი.

\*\*\*\* ბენიამინი (ებრ.) – ძე მარჯვენისა.

– ეგელი სებეგონის ძის, ანანის, ასუ-  
ლი.

3 და ბასემათი – ისმაელის ასული,  
ნაბეოთის და.

4 და უშვა ადამ ესავს ელიფაზი და  
ბასემათმა უშვა რაგუელი,

5 და ოლიბემამ უშვა იუსი და იეგ-  
ლომი და კორე; ესენი არიან ესავის  
ძეები, რომლებიც ეკოლა მას ქანახის  
ქვეყანაში.

6 და წაიყვანა ესავმა თავისი ცოლე-  
ბი და ძეები და ასულები და თავისი  
სახლის ეველა სულდგმული და მთე-  
ლი ქონება და მთელი საქონელი და  
ეველაფერი, რაც შეიძინა და მოიპო-  
ვა ქანახის ქვეყანაში, და წავიდა ქა-  
ნახის ქვეყნიდან იაკობისგან, თავისი  
ძმისგან,

7 რადგან იყო მათი ქონება ბევრი  
ერთად სახლობისთვის და არ შეეძ-  
ლო მათი მწირობის ქვეყნას მათი  
ტვირთვა მათი ქონების სიმრავლის  
გამო.

8 და დასახლდა ესავი სეირის მთაზე.  
ესავი – ეს არის ედომი.

9 ესენი არიან ესავის, ედომის მამის,  
შთამომავლები სეირის მთაზე;

10 და ეს არის ესავის ძეთა სახელები:  
ელიფაზი, ძე ადასი, ესავის ცოლისა,  
და რაგუელი, ძე ბასემათისა, ესავის  
ცოლისა.

11 და იყვნენ ელიფაზის ძეები: თემან-  
ნი, ომარი, სოფარი, გოთომი და კე-  
ნეზი.

12 ხოლო თამნა იყო ელიფაზის,  
ესავის ძის, ხარკა, და უშვა ელიფაზს  
ამალეკი; ესენი არიან ძეები ადასი,  
ესავის ცოლისა.

13 ხოლო ესენი არიან ძეები რაგუელი-  
სა: ნაქოთი, ზარე, სომე და მოზე;

ესენი იყვნენ ძეები ბასემათისა, ესავის  
ცოლისა.

14 ხოლო ესენი იყვნენ ძეები ოლი-  
ბემასი, სებეგონის ძის, ანანის, ასუ-  
ლის, ესავის ცოლისა. და უშვა ესავს  
იუსი და იეგლომი და კორე.

15 ესენი არიან მთავრები, ძეები ესა-  
ვისა: ელიფაზის, ესავის ჰირმოს, ძეები:  
მთავარი თემანი, მთავარი ომარი,  
მთავარი სოფარი, მთავარი კენეზი,  
16 მთავარი კორე, მთავარი გოთომი,  
მთავარი ამალეკი; ესენი არიან ელი-  
ფაზის მთავრები იდუმეის ქვეყანაში;  
ესენი არიან ადას ძეები.

17 და ესენი არიან ძეები რაგუელისა,  
ესავის ძისა: მთავარი ნაქოთი, მთა-  
ვარი ზარე, მთავარი სომე, მთავარი  
მოზე; ესენი არიან რაგუელის მთა-  
ვრები ედომის ქვეყანაში; ესენი არიან  
ძეები ბასემათისა, ესავის ცოლისა.

18 ხოლო ესენი არიან ძეები ოლიბე-  
მასი, ესავის ცოლისა: მთავარი იე-  
უსი, მთავარი იეგლომი, მთავარი კო-  
რე; ესენი არიან ოლიბემას მთავრე-  
ბი.

19 ესენი არიან ესავის ძეები და ესე-  
ნი – მათი მთავრები. ესენი არიან  
ედომის ძეები.

20 ხოლო ესენი არიან ძეები სეირ  
ქორელისა, რომელიც დამკვიდრებუ-  
ლი იყო იმ ქვეყანაში: ლოტანი, სობა-  
ლი, სებეგონი, ანა

21 და დესონი და ასარი და რისონი;  
ესენი არიან მთავრები ქორელის, სე-  
ირის ძისა, ედომის ქვეყანაში.

22 და იყვნენ ლოტანის ძეები: ქორი და  
ემანი; ხოლო ლოტანის და – თამნა.

23 ხოლო ესენი არიან სობალის ძეე-  
ბი: ვოლონი და მანაქათი და გებე-  
ლი, სოფი და ონამი.

24 და ესენი არიან სეპეგონის ძეგები: აიე და ანა; ეს არის ანა, რომელმაც იაოვა იამინი\* უდაბნოში, როცა ახოვებდა თავისი ძამის, სეპეგონის, სახედრებს.

25 ხოლო ესენი არიან ანას ძეგები: \*\* დესონი; და ოლიბეგა – ანას ასული.

26 ხოლო ესენი არიან დესონის ძეგები: ამადა და ასბანი და იეთრანი და ქარანი.

27 ხოლო ესენი არიან ასარის ძეგები: ბალანანი და სუკამი და იოვიკამი და უკანი.

28 ხოლო ესენი არიან რისონის ძეგები: ოსი და არანი.

29 ესენი არიან ქორის მთავრები: მთავარი ლოთანი, მთავარი სობალი, მთავარი სეპეგონი, მთავარი ანა,

30 მთავარი დესონი, მთავარი ასარი, მთავარი რისონი. ესენი არიან ქორის მთავრები თავის სამთავროებში, ედომის ქვეყანაში.

31 და ესენი არიან მეფეები, რომლებიც მეფობდნენ ედომში, ვიდრე გაემეფდებოდა მეფე ისრაელში.

32 და გამეფდა ედომში ბალა, ბეორის ძე, და მისი ქალაქის სახელი – დენაბა.

33 ხოლო მოკვდა ბალა და გამეფდა მის ნაცვლად იობაბი, ზარას ძე, ბოსორადან.

34 ხოლო მოკვდა იობაბი და გამეფდა მის ნაცვლად ასომი, თემანელთა ქვეყნიდან.

35 ხოლო მოკვდა ასომი და გამეფდა მის ნაცვლად ადადი, ბარადის ძე, რომელმაც განანდგურა მადიაში მობის ველზე, და მისი ქალაქის სახელი – გეთემი.

36 ხოლო მოკვდა ადადი და გამეფდა მის ნაცვლად სამალა მასკეკანა.

37 ხოლო მოკვდა სამალა და გამეფდა მის ნაცვლად საული რობოთიდან, რომელიც არის მდინარის ზირას.

38 ხოლო მოკვდა საული და გამეფდა მის ნაცვლად ბალაენონი, აქობორის ძე.

39 ხოლო მოკვდა ბალაენონი, აქობორის ძე, და გამეფდა მის ნაცვლად ადადი, ბარადის ძე, და მისი ქალაქის სახელი – ფოგორი, ხოლო მისი ცოლის სახელი – მეტეპეელი, ასული მატრეთესი, მეზობის ძისა.

40 ეს არის ესავის მთავრების სახელები თავის ტომებში, მათი ადგილის მიხედვით, თავის ქვეყნებსა და თავის წილებში: მთავარი თამნა, მთავარი გოლა, მთავარი იეთერი,

41 მთავარი ოლიბემსი, მთავარი ელასი, მთავარი ფინონი,

42 მთავარი კენესი, მთავარი თემანი, მთავარი მასარი,

43 მთავარი მეგედიელი, მთავარი ზაფონი. ესენი არიან ედომის მთავრები მათ მიერ დაუფლებულ ქვეყანაში დასახლებულთა შორის. ეს არის ესავი, ედომის მამა.

\* იამინი (ებრ.) – ცხელი წყარო.

\*\* ესენი არიან ანას ძეგები: დესონი – რიცხვში შეუთანხმებლობა, ამ შემთხვევაში, გამოწვეულია იმით, რომ ებრაელები შვილებში (ძეებში) შვილიშვილებსაც გულისხმობდნენ.



თავი 37

ღ დაძველებულ იაკობი ქვეყანაში, სადაც შვირობდა მისი მამა, ქანანის ქვეყანაში.

2 ხოლო ესენი არიან იაკობის შთამომავლები; იოსები ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი იყო და მწყემსავდა თავის ძმებთან ერთად ცნვარს, თავისი მამის ცოლების: ბალას, ძეებთან და ზელფას, ძეებთან ერთად; და მიუტანეს იოსებზე ცუდი ამბები ისრაელს, თავის მამას.

3 ხოლო იაკობს უყვარდა იოსები თავის ყველა ძესე მეტად, რადგან სიბერის ძე იყო მისთვის; და დაუმხადა მას ჭრელი სამოსი.

4 და როცა ნახეს მისმა ძმებმა, რომ ის უყვარს მამას თავის ყველა ძესე მეტად, შეიძულეს იგი და არ შეეძლოთ მისთვის რაიმეს თქმა მშვიდობიანად.

5 და ესიზმრა იოსებს სიხმარი და უამბო იგი თავის ძმებს

6 და უთხრა მათ: მოისმინეთ ეს სიხმარი, რომელიც მესიზმრა:

7 თითქოს ჩვენ ვკრავდით ძნებს შუაგულ მინდორში და ადგა ჩემი ძნა და წამოიმართა და გარემოვრტყუნ თუქენი ძნები და თავუანი სცეს ჩემს ძნას.

8 და უთხრეს მას ძმებმა: განა მეფობით იმეფებ ჩვენზე ან ბატონობით გვიბატონებ ჩვენ? და კიდევ მოემატათ მისი სიძულვილი მისი სიზმრების გამო და მისი სიტყვების გამო.

9 და ნახა სხვა სიხმარი და უამბო იგი თავის მამას და თავის ძმებს და უთხრა: აჰა, მესიზმრა სხვა სიხმარი, თითქოს მზე და მთვარე და თერ-

ომეტი ვარსკვლავი თავუანს მცემდნენ მე.

10 და გაკიცხა იგი მისმა მამამ და უთხრა მას: რა არის ეგ სიხმარი, რომელიც გესიზმრა? ნუთუ მოსვლით მოვალთ მე და დედაშენი და შენი ძმები და თავუანს გცემთ შენ მიწადე?

11 და შეშურდათ მისი მის ძმებს, ხოლო მისმა მამამ დაიმარხა ეს სიტყვა.

12 და წავიდნენ მისი ძმები, რომ ეძოვებინათ თავისი მამის ცნვარი, სიქემში.

13 და უთხრა ისრაელმა იოსებს: შენი ძმები არ მწყემსავენ სიქემში? მოდი, გაგზავნი შენ მათთან. და უთხრა მას: აჰა, მე.

14 და უთხრა მას ისრაელმა: წადი და ნახე, ჯანმრთელად თუ არიან შენი ძმები და ცნვარი და მებატყობინე მე. და გაგზავნა იგი ქებრონის ხევიდან, და მივიდა სიქემში.

15 და ნახა იგი კაცმა გზაბანუელი ველზე; და ჰკითხა მას კაცმა და უთხრა: რას ეძებ?

16 ხოლო მან უთხრა: ჩემს ძმებს ვეძებ; მითხარი მე, სად აძოვებენ.

17 და უთხრა მას კაცმა: წავიდნენ აქედან, რადგან გაუგოხე, რომ ისინი ამბობდნენ: წავიდეთ დოთაიში.

და გაჰყვა იოსები კვალდაკვალ თავის ძმებს და იპოვა ისინი დოთაიში.

18 და დანახეს იგი შორიდან, ვიდრე მიუახლოვდებოდა იგი მათ და ბოროტად განიზრახეს მისი მოკვლა.

19 და უთხრა თითოეულმა თავის ძმას: აჰა, ის მესიზმრე მოდის;

20 ახლა მოდი, მოკვლათ იგი და ჩავაგდოთ იგი ერთ-ერთ ჭაბი და



ვთქვათ: ბოროტმა მხედმა შე-  
ჭამა იგი; და ვნახაუთ, რა  
იქნება მისი სიზმრებიდან.

21 და გაიგონა რუბენმა და  
იხსნა იგი მათი ხელიდან და  
თქვა: არ მოვკლათ მისი  
სული.\*

22 და უთხრა მათ რუბენმა:  
ნუ დაღვრით სისხლს; ჩაგ-  
დეთ იგი იმ ჭაში, რომე-  
ლიც უდაბნოშია, და ხელს ნუ აღ-  
მართაუთ მასზე. — რათა დაეხსნა იგი  
მათი ხელიდან და გადაეცა იგი თავისი  
მაძისთვის.

23 და იყო, როცა მივიდა იოსები  
თავის ძმებთან, გახადეს იოსებს ჭრე-  
ლი სამოსი, რომელიც ემოსა,

24 და წაიყვანეს იგი და ჩააგდეს  
ჭაში; სოლო ჭა ცარიელი იყო, წუ-  
ლი არ იდგა.

25 და დასდნენ ზურის საჭმელად და  
ახნილეს თვალები და დაინახეს: აჰა,  
მოგზაური ისმაელელები მოდიოდნენ  
გალაადიდან და მათი აქლემები დატ-

ვირთულები იყვნენ საკმე-  
ლით და მკერისკვეთ\*\* და  
შტახსით;\*\*\* და მიდიოდნენ,  
რომ ჩაეტანათ ეგვიპტეში.

26 და უთხრა იუდამ თავის  
ძმებს: რა სარგებელია, თუ  
მოვკლავთ ჩვენს ძმას და  
დაუფარავთ მის სისხლს?

27 მოდი, მივიდეთ იგი ამ  
ისმაელელებს და ჩვენი ხელი  
ნუ იქნება მასზე, რადგან ჩვენი ძმა  
და ჩვენი სორცია. და ისმინეს ძმებმა  
მისი.

28 და გამოიარეს კაცებმა, მადიაელ-  
მა ვაჭრებმა, და ამოსწიეს და ამოიყ-  
ვანეს იოსები ჭიდან და მიჰვიდეს იოსები  
ისმაელელებს ოც ოქროდ; და ჩაიყ-  
ვანეს იოსები ეგვიპტეში.

29 და დაბრუნდა რუბენი ჭასთან და  
ვერ ხანა იოსები ჭაში და შემოიხია  
თავისი სამოსი.

30 და დაბრუნდა თავის ძმებთან და  
უთხრა: ერმა არ არის; და მე სადღა  
წავიდე?

\* მისი სული — სექტუაგინტაში ეს მუხლი ასე ბოლოვდება: „არ მოკლა იგი  
სულად.“ ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში სიტყვა „სულად“ გამოტოვებულია.  
სულში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება სამშვინველი, სიცოცხლე. ოშკური ბიბლი-  
ისა და მცხეთური ხელნაწერის მთარგმნელებმა ეს ადგილი გადმოსცეს პარანომა-  
ზიით: „მოვკლათ მოკვლით.“

\*\* მკერისკვეი — გალაადის ბალზამი, „ხეთაგან გამონაწვეთი, სულნელი და გე-  
მოიანი“. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1991.

\*\*\* შტახსი (ბერძ.) — ყვავილის მტვრის დაწურვის შედეგად მიღებული თხელი,  
სურნელოვანი ფისი. დარჩენილ სქელ ნაწილს ეწოდება მური.

31 და აიღეს იოსების სამოსი და დაკლეს თნის თიკანი და ამოსვარეს სამოსი სისხლში.

32 და გაგზავნეს ჭრელი სამოსი და შეუტანეს თავის ძამას და უთხრეს: ეს ვინაოვით; ამოიცანი, შენი ძის სამოსია თუ არა.

33 და ამოიცნო იგი და თქვა: სამოსი ჩემი ძისაა; ბოროტმა მხეცმა შეჭამა იგი, მხეცმა მოიტაცა იოსები.

34 და შემოინია იაკობმა თავისი სამოსი და შეიმოსა ძამა თავის წელზე და გლოვობდა თავის ძეს მრავალ დღეს.

35 და შეიკრინა მისი ვეგლა ძე და ასული და მივიდნენ მის სანუგეშებლად, და არ ისურვა ნუგეშისცემა და თქვა: ჩავალ ჩემს ძესთან მგლოვიარე ჯოჯოხეთში. და დასტიროდა მას მისი ძამა.

36 ხოლო მადიამელებმა მიჰყიდეს იოსები ეგვიპტეში ზეტეფორეს, ფარაონის საჭურისს,\* მცველთმთავარს.\*\*

თავი 38

**Q** და იყო, იმ დროს წამოვიდა იუდა თავისი ძმებისგან და მივიდა ვილაც ოდოლამელ კაცთან, რომლის სახელია ირასი.

2 და დანახა იქ იუდამ ქანაანელი კაცის ასული, რომლის სახელია სავა, და მოიყვანა იგი და შევიდა მასთან.

3 და მუცლადილო და შვა ძე, და უწოდა მისი სახელი ვრი.

4 და მუცლადილო კვლავ და შვა ძე, და უწოდა მისი სახელი აუნანი.

5 და შემატა კვლავ და შვა ძე, და უწოდა მისი სახელი სელომი. და იგი იყო ქანხში, როცა შვა ისინი.

6 და მოუყვანა იუდამ ვრს, თავის ზირმშოს, ცოლი, რომლის სახელია თამარი.

7 და იყო ვრი, იუდას ზირმშო, ბოროტი უფლის წინაშე და მოკლა იგი ღმერთმა.

8 და უთხრა იუდამ აუნანს: შედი შენი ძმის ცოლთან და შეირთე იგი და აღუდგინე თესლი შენს ძმას.

9 და იცოდა აუნანმა, რომ მისი არ იქნებოდა თესლი; და იყო, როცა შედიოდა თავისი ძმის ცოლთან, ღვრიდა მიწაზე, რომ არ მიეცა თესლი თავისი ძმისთვის.

10 და ბოროტად გამოჩნდა ღვთის წინაშე, რადგან გააკეთა ეს; და მოკლა ისიც.

11 და უთხრა იუდამ თამარს, თავის რძალს: დაჯექი ქვრივად შენი ძამის სახლში, ვიდრე დიდი განდება სელომი, ჩემი ძე; რადგან თქვა: ვაითუ მოკვდეს ისიც, როგორც მისი ძმები. და წავიდა თამარი და დაჯდა თავისი ძამის სახლში.

12 და გავიდა მრავალი დღე და მოკვდა სავა, იუდას ცოლი; და იხუტა თავი იუდამ და ავიდა თავისი ცხვრის მძარსავებთან, ის და ირასი, მისი ოდოლამელი მწყემსი, თამნაში.

13 და შეატყობინეს თამარს, მის რძალს, და უთხრეს: აჰა, შენი ძამამ-

\* საჭურისი - აქ: სამეფო კარის მოხელე.  
 \*\* მცველთმთავარი - ბერძ. არქიმეგროსი, ნიშნავს მზარეულთა უფროსს. კონტექსტიდან ჩანს, რომ პეტეფორე იყო ფარაონის დაცვის უფროსი და მზარეულებზე ზედამხედველობაც მას ევალებოდა.

თილი ადის თამნაში თავისი ცხვრის გასაპარსად.

14 და განხილავს ქვრივობის სამოსი და შემოისხნა მოსახსნამი და მოირთო და დაჯდა კარბიჭესთან ენანისა, რომელიც არის თამნას გზაზე, რადგან ნანა, რომ დიდი ვახდა სელოში, ხოლო მან არ მისცა იგი მას ცოლად.

15 და დაინახა იგი იუდამ და ეგონა, რომ იგი მეძავია, რადგან დაეფარა თავისი ზირი, და ვერ იცნო იგი.

16 და ვადაუხვია მისკენ გზაზე და უთხრა მას: ხება მომეცი მე, რომ შემოვიდე შენთან; — რადგან არ იცოდა, რომ თავისი რძალი იყო. ხოლო მან უთხრა: რას მომეცემ მე, თუ შემონვალ ჩემთან?

17 და მან უთხრა: მე შენ გამოვიგზავნი თხის თიკანს ფარიდან. ხოლო მან უთხრა: მომეცი წინდი, ვიდრე გამოვიგზავნი შენ.

18 და მან უთხრა: რა წინდი მოგეცე შენ? ხოლო მან უთხრა: შენი ბეჭედი და მძივი და კვერთხი, რომელიც შენს ხელშია. და მისცა მას და შევიდა მასთან, და მუცლადილო მისგან.

19 და აღვა და წავიდა და მოისხნა მოსახსნამი და ჩაიცვა თავისი ქვრივობის სამოსი.

20 და ვაუგზავნა იუდამ თიკანი თხებიდან თავისი ოღოლამელი შწყემისი ხელით, რათა მიეღო წინდი დედაკაცისგან, და ვერ იპოვა იგი.

21 და ჰკითხა იმ ადგილის კაცებს: სად არის მეძავი, რომელიც იყო ენანში, გზაზე? და უთხრეს: არ ყოფილა აქ მეძავი.

22 და დაბრუნდა იუდასთან და უთხრა: ვერ ვიპოვე; და იმ ადგილის კაცები ამბობენ: არ არის აქ მეძავი.

23 და თქვა იუდამ: ჰქონდეს ისინი, მაგრამ ხულო დაგვცინებენ; მე ვაუგზავნე ეს თიკანი, ხოლო შენ ვერ იპოვე.

24 და იყო, სამი თვის შემდეგ შეატყობინეს იუდას და უთხრეს: ისიძვა თამარმა, შენმა რძალმა, და აპა, მუცლადილო სიძვით. და თქვა იუდამ: გამოვივანეთ იგი და დაიწვას.

25 ხოლო როცა იგი მოვივანეს, ვაუგზავნა თავის მამამთილს და თქვა: იმ კაცისგან, ვისიც არის ესენი, ვარ მე მუცლადილებული, და უთხრა: ამოიცანი, ვისია ბეჭედი და მძივი და ეს კვერთხი.

26 და ამოიცნო იუდამ და თქვა: გამართლდა თამარი ჩემზე მეტად, რადგან არ მივეცი იგი სელომს, ჩემს ძეს. და მეტად აღარ შეუცვინია იგი.

27 და იყო, როცა შობდა, ტყუპები იყვნენ მის მუცელში.

28 და იყო, როცა შობდა იგი, ერთმა წინ გამოყო ხელი; და აიღო ყრმის ამქმელმა და შეაბა მის ხელს მეწამული და თქვა: ეს გამოვა ზირველი.

29 და როგორც კი მყოფი ხელი, მაშინვე გამოვიდა მისი ძმა. და მან თქვა: რად გაირღვა შენთვის სილდე? და უწოდა მისი სახელი ფარეზი.\*

30 და ამის შემდეგ გამოვიდა მისი ძმა, რომლის ხელზეც იყო მეწამული; და უწოდა მისი სახელი ზარა.\*\*

\* ფარეზი (ებრ.) — გარდვევა.

\*\* ზარა (ებრ.) — გამოსვლა.

**6** ოლო იოსები ჩაიყვანეს ეგვიპტეში და იუიდა იგი ჰეტეფერემ, ფარაონის საჭურისმა, მცველთათაგანმა, ეგვიპტელმა კაცმა, ისმაელელთა ხელიდან, რომლებმაც ჩაიყვანეს იგი იქ.

2 და იყო უფალი იოსებთან და იყო კაცი წარმატებული და იყო სახლში ეგვიპტელ ბატონთან.

3 და იცოდა მისმა ბატონმა, რომ უფალი არის მასთან და რასაც ვააკეთებს, უფალი წარუძარტავს გზას.

4 და ჰოვა იოსებმა მადლი თავისი ბატონის წინაშე და სათხო იყო მისთვის და დაადგინა იგი თავის სახლზე და ყოველივე, რაც ჰქონდა მას, მისცა ხელში იოსებს.

5 და იყო მისი დადგენის შემდეგ მის სახლზე და ყოველივეზე, რაც ჰქონდა მას, აკურთხა უფალმა ეგვიპტელის სახლი იოსების გამო და იყო უფლის კურთხევა მთელ მის ქონებაზე სახლში და მიხდომში.

6 და გადასცა ყოველივე, რაც ჰქონდა მას, ხელში იოსებს და არ იცოდა იმის შესახებ, რაც ჰქონდა მას, არაფერი, გარდა ჰურისა, რასაც ჭამდა იგი. და იყო იოსები ღამაზი სახით და ძლიერ მშენიერი შესახებ დად.

7 და იყო, ამ ამბების შემდეგ დაადგა მისი ბატონის ცოლმა თვალი იოსებს და უთხრა: დაწყვი ჩემთან.

8 ხოლო მან არ ისურვა და უთხრა თავისი ბატონის ცოლს: თუ ჩემმა ბატონმა არ იცის ჩემი წყალობით არაფერი თავის სახლში და ყველაფერი, რაც აქვს მას, მომცა მე ხელთ

9 და არ აღმუშაებდა ამ სახლში არაფერს, არც დაუჭერია ჩემთვის არაფერი მენ გარდა, რადგან მენ მისი ცოლი ხარ, როგორღა ჩავიდინო ეს ბოროტი საქმე და შეეცოდო ღვთის წინაშე?

10 და როცა ელაპარაკებოდა იოსებს დღიდან დღემდე, აღარ უსმენდა მას, რომ დაწოლილიყო მასთან და უფილიყო მასთან.

11 და იყო ერთი ასეთი დღე და შევიდა იოსები სახლში თავისი საქმეების განაკეთებლად და არაფერს იყო სახლეულთაგან შინ.

12 და ჩაუჭიდა მას სამოსზე და უთხრა: დაწყვი ჩემთან. და შეატოვა სამოსი მას ხელებში და გაიქცა და გავიდა გარეთ.

13 და იყო, როგორც კი დაინახა, რომ შეატოვა თავისი სამოსი მას ხელებში და გაიქცა და გავიდა გარეთ,

14 მოუხმო სახლში მყოფებს და უთხრა მათ და თქვა: შესედეთ, შემოიყვანა ჩვენთან ებრაელი მონა ჩვენს დასაცინად; შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დაწყვი ჩემთან. და ვიყვირე დიდი ხნით;

15 ხოლო როცა გაიგონა მან, რომ ავიმადღე ხმა და ვიყვირე, შემატოვა თავისი სამოსი მე და გაიქცა და გავიდა გარეთ.

16 და დაცოვა სამოსი თავისთან, ვიდრე არ მოვიდა ბატონი თავის სახლში.

17 და ელაპარაკა მას ამ სიტყვებით და უთხრა: შემოვიდა ჩემთან ებრაელი მონა, რომელიც შემოიყვანე ჩვენთან, ჩემს დასაცინად და მითხრა მე: დაეწყვი მენთან.

18 ხოლო როგორც კი გაიგონა, რომ ავიმალღე სმა და ვიევიორე, შქმატოვა სამოსი მე და გაიქცა და გავიდა გარეთ.

19 და იყო, როგორც კი გაიგონა მისმა ბატონმა თავისი ცოლის სიტყვები, რაც ელაზარაჲს მას და უთხრა: ასე მომექცა მე შენი მონა, – განრისხდა გულისწყროლით.

20 და წაიუგანა ბატონმა იოსები და შეავდო იგი დიღეუკი, იმ ადგილას, სადაც მეფის ბატონრები იყვნენ დაჭერილები, იქ, იმ დიღეუკში.

21 და იყო უფალი იოსებთან და მიიღო მასზე წყალობა და მისცა მას მადლი საპყრობილის მცველთა მთავრის წინაშე.

22 და მისცა საპყრობილის მცველთა მთავარმა საპყრობილედ სელში იოსებს და ყველა პყრობილი, რომელიც საპყრობილედ იყო, და ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ იქ.

23 არ იცოდა საპყრობილის მცველთა მთავარმა მისი წყალობით არაფერი, რადგან ყველაფერი იყო იოსების ხელში, იმიტომ რომ უფალი იყო მასთან, და რასაც იგი აკეთებდა, უფალი წარმართავდა მისი ხელით.

თა30 40

**ღ** იყო, ამ ამბების შემდეგ შესცოდეს ეგვიპტის მეფის მეღვინეთმთავარმა და მეპურეთმთავარმა თავის ბატონს, ეგვიპტის მეფეს.

2 და განურისხდა ფარაონი თავის ორივე საქურისს, მეღვინეთმთავარს და მეპურეთმთავარს,

3 და ჩასხა ისინი ციხეში მცველთმთავართან საპყრობილედ, იმ ად-

გილას, იქ, სადაც იოსები იყო შეპყრობილი.

4 და ჩაბარა საპყრობილის მთავარმა იოსებს ისინი, და ემსახურებოდა მათ; და იყვნენ მრავალი დღე ციხეში.

5 და ნახა ორივემ სიხმარი, თითოეულმა – სიხმარი; ერთ ღამეს ჰქონდათ ხილვა თავისი სიხმრისა – ეგვიპტის მეფის მეღვინეთმთავარს და მეპურეთმთავარს, რომლებიც იყვნენ საპყრობილედ.

6 და შევიდა მათთან იოსები განთიადისას და ნახა ისინი, და იყვნენ შემწურებულნი.

7 და ჰკითხა ფარაონის საქურისებს, რომლებიც იყვნენ მასთან ერთად ციხეში მის ბატონთან, და უთხრა: რატომ არის თქვენი სახეები დამწურებული დღეს?

8 ხოლო მათ უთხრეს მას: სიხმარი ვნახეთ და მისი ამხსნელი არ არის. და უთხრა მათ იოსებმა: განა ღვთისაგან არ არის მათი განმარტება? მაიმბეთ მე.

9 და უამბო მეღვინეთმთავარმა თავისი სიხმარი იოსებს და უთხრა: ჩემს სიხმარში იყო ვაზი ჩემ წინაშე;

10 ხოლო ვაზზე იყო საძი რტო, და იგი ყვავდა და გამოყოლო ყლორტები; მწიფე იყო უურმისს მტკუნები.

11 და ფარაონის სასმისი ჩემს ხელში იყო; და ავიღე უურმენი და ჩავწურე იგი სასმისში და მივეცი სასმისი ხელში ფარაონს.

12 და უთხრა მას იოსებმა: ეს არის მავისი ახსნა: საძი რტო საძი დღეა;

13 კიდევ საძი დღე და გაახსენდება ფარაონს შენი გამგებლობა და ისევე დაგადგენს შენ შენს მეღვინეთმთავ-

რობაზე და მისცემ სანძის ფარონს  
 ხელში შენი ზირველი გამეგებლობისა-  
 მებო, როგორც იუაზი მწდე.

14 მაშინ გამისხენე მე შენი თვითონ,  
 როცა სიკეთე მოგეგება შენი, და მო-  
 ილე ჩემზე წყალობა და განახსენე ჩემ  
 შესახებ ფარონს და გამომიუგანე მე  
 ამ დილეგიდან;

15 რადგან ზარვით მომიზარეს ესრულთა  
 ქუეხიდან და აქაც არაფერი ჩამიდე-  
 ნია, მაგრამ ჩამაგდეს მე ამ ორმოში.

16 და ნახა მეპურეთთავარმა, რომ  
 სწორად ახსნა, და უთხრა იოსებს: მეც  
 ვნახე სიზმარი: და თითქოს მარცვლე-  
 ულის საძი კალათი მედგა თავზე;

17 ხოლო ზედა კალათში იყო მეპურის  
 ნახელავის ყველა სახეობა, რასაც მეფე  
 ფარონი ჭამს, და ცის ფრინველები  
 ჭამდნენ მათ კალათიდან, რომელიც  
 იყო ჩემს თავზე.

18 და მიუგო იოსებმა და უთხრა მას:  
 ეს არის ძავისი ახსნა: საძი კალათი  
 საძი დღეა;

19 კიდევ საძი დღე და მოგკვეთს ფა-  
 რონი შენი თავის და ჩამოგკიდებს შენი  
 ხეზე, და შეჭამენ ცის ფრინველები  
 შენს ხორცს.

20 და იყო, მესამე დღეს ფარონის  
 შობის დღე იყო და გამართა სმა ყვე-  
 ლა თავისი მსახურისთვის. და გან-  
 ხენდა მეღვინეთმთავრის გამეგებლობა  
 და მეპურეთმთავრის გამეგებლობა თავის  
 მსახურთა შორის.

21 და ისევ დაადგინა მეღვინეთთა-  
 ვარი მის გამეგებლობაზე, და მისცა  
 სანძის ხელში ფარონს,

22 ხოლო მეპურეთმთავარი ჩამოა-  
 რჩო, როგორც აუხსნა მათ იოსებმა.

23 და არ განახსენდა მეღვინეთთა-  
 ვარს იოსები, არამედ დაავიწყდა იგი.

**ღ** ა იყო, ორი წლის შემდეგ ფარ-  
 ონმა ნახა სიზმარი: თითქოს იდგა  
 მდინარეზე,

2 და ავა, თითქოს მდინარიდან ამო-  
 დიოდა შვიდი ძროხა, კარგი შესახე-  
 დად და რჩეული ხორციით, და ძოვ-  
 დნენ ნაპირზე;

3 და სხვა შვიდი ძროხა ამოდიოდა  
 მათ შემდეგ მდინარიდან, საძაგელი  
 შესახედად და მჭლე ხორციით, და  
 ძოვდნენ იმ ძროხებთან ერთად მდი-  
 ნარის ზირას.

4 და შეჭამა შვიდმა საძაგელმა და  
 ხორციით მჭლე ძროხამ შვიდი შესახე-  
 დად კარგი და რჩეული ძროხა. და  
 გამოელვიდა ფარონს.

5 და ესიზმრა მეორედ: და ავა, შვი-  
 დი თავთავი ამოდიოდა ერთ ღეროზე,  
 რჩეული და კარგი;

6 და ავა, შვიდი თავთავი, წვრილი და  
 ქარცემული, იხრდებოდა მათ შემდეგ;

7 და შთანთქა შვიდმა თავთავმა,  
 წვრილმა და ქარცემულმა, შვიდი თავ-  
 თავი, რჩეული და სახე. და გამო-  
 ელვიდა ფარონს, და იყო სიზმარი.

8 და იყო განთიადი და შემწუნდა  
 მისი სული და გაგზავნა და მოუხმო  
 ეგვიპტის ყველა განმმარტებელს და  
 მის ყველა ბრძენს; და უამბო მათ  
 ფარონმა სიზმარი და არავინ იყო,  
 ვინც აუხსნიდა მას ფარონს.

9 და ელაზარკა მეღვინეთმთავარი  
 ფარონს და უთხრა: ჩემს ცოდვას  
 ვისხენებ დღეს:

10 ფარონი განურისნდა თავის მსა-  
 ხურებს და ჩავსნა ჩვენ ციხეში მცველ-  
 თმთავრის სახლში, მე და მეპურეთ-  
 მთავარი.

11 და ვნახეთ სიხმარი ერთ ღამეს მე და მან; თითოეულმა ჩვენ-ჩვენი სიხმარი ვნახეთ.

12 და იყო ექ ჩვენთან ერთად ჭაბუკი, მცველთმთავრის ესრელი მონა, და ვუამბეთ მას და ავვისსნა ჩვენ.

13 და იყო, როგორც ავვისსნა ჩვენ, ისე მოხდა: მე ისევ დამდვინეს ჩემს ვამკებლობაზე, ხოლო იგი ჩამოახრჩეს.

14 და ვავზავნა ფარაონმა და მოუხმო იოსებს და გამოიყვანეს იგი დილეგიდან და ვაკრიჭეს იგი და გამოუსვალეს მას სამოსი და მივიდა ფარაონთან.

15 და უთხრა ფარაონმა იოსებს: სიხმარი ვნახე და მისი ამხსნელი არ არის; ხოლო მე მსმენია, შენ შესახებ რომ ამბობენ: ისმენ შენ სიხმრებს და ხსნი მათ.

16 და მიუგო იოსებმა ფარაონს და უთხრა: ღვთის გარეშე არ მიეგება ხსნა ფარაონს.

17 და ვლანაზრაკა ფარაონი იოსებს და უთხრა: ჩემს სიხმარში თითქოს ვიდექი მდინარის ზირას

18 და თითქოს მდინარიდან ამოდიოდა შვიდი ძროხა, კარგი შესახედად და რჩეული ხორციით, და მოვდნენ ნაპირზე;

19 და აჰა, ხსვა შვიდი ძროხა ამოდიოდა მათ უკან მდინარიდან, ცუდი და საძაგელი შესახედად და მჭლე ხორციით, როგორებიც არ მინახავს მთელ ეგვიპტის ქვეყანაში, ისეთი საძაგელი;

20 და შეჭამა შვიდმა ძროხამ, მჭლემ და საძაგელმა, ზირველი შვიდი ძროხა, კარგი და რჩეული,

21 და შევიდნენ მათ მუცლებში; და უჩინარნი გახდნენ, რადგან შევიდნენ

მათ მუცლებში; და მათი შესანედლობა იყო საძაგელი, როგორც თავდაპირველად. გამოძევიდა და ისევ დამძინა.

22 და ვნახე ისევ ჩემს სიხმარში, თითქოსდა შვიდი თავთავი ამოდიოდა ერთ ღეროზე, საფე და კარგი;

23 ხოლო ხსვა შვიდი თავთავი, წვრილი და ქარცემული, იხრდებოდა მათ შემდეგ;

24 და შთანთქა შვიდმა თავთავმა, წვრილმა და ქარცემულმა, შვიდი თავთავი, კარგი და საფე. ვუთხარი განმმარტებლებს და არავის იყო, ვინც ამიხსნიდა მე.

25 და უთხრა იოსებმა ფარაონს: ფარაონის სიხმარი ერთია: რასაც ღმერთი აკეთებს, უჩვენა ფარაონს.

26 შვიდი კარგი ძროხა შვიდი წელიწადი და შვიდი კარგი თავთავი შვიდი წელიწადი; ფარაონის სიხმარი ერთია.

27 და შვიდი მჭლე ძროხა, მათ უკან ამომავალი, შვიდი წელიწადი და შვიდი თავთავი, წვრილი და ქარცემული, იქნება შიმშილობის შვიდი წელიწადი.

28 და ეს არის სიტყვა, რომელიც ვუთხარი ფარაონს: რასაც ღმერთი აკეთებს, უჩვენა ფარაონს;

29 აჰა, შვიდ წელიწადს მოდის დიდი სიუხვე მთელ ეგვიპტის ქვეყანაში;

30 ხოლო მოვა შიმშილობის შვიდი წელიწადი მათ შემდეგ და დაავიწყდებათ სიმძღვრე მთელ ეგვიპტის ქვეყანაში და მისპობს შიმშილი ქვეყანას, 31 და არ ეცოდინებათ სიუხვე ქვეყანაზე შიმშილის გამო, რომელიც იქნება მათ შემდეგ, რადგან მეტად ძლიერი იქნება.

32 ხოლო ვამეორდა ფარაონის სიხმარი ოჯჯორ იმის გამო, რომ ჭკმარ-



ტი იქნება სიტყვა, რომელიც ღვთისაგან არის, და დაჩქარებს ღმერთი მის აღსრულებას.

33 ამიტომ ახლა მოთხენე კაცი გონიერი და გულისხმიერი და დაადგინე იგი ეგვიპტის ქვეყანაზე;

34 და ასე გააკეთოს ფარაონმა და დაადგინოს ადგილის მთავრები ქვეყანაზე და აიღოს ეგვიპტის ქვეყნის სიუხვის შვიდი წლის მთელი მოსავლის მესხუთედი

35 და დააგროვონ იმ მომავალი შვიდი კარგი წლის მთელი სასწრაღო და დააგროვდეს სიღრმადი ფარაონის ხელქვეშ, სასწრაღო ქალაქებში შეინახოს.

36 და იქნება სასწრაღო შენახული ქვეყნისთვის მიმძილობის შვიდ წელიწადს, რომელიც იქნება ეგვიპტის ქვეყანაში, და არ განადგურდება ქვეყანა მიმძილით.

37 მოსაწონი იყო ეს სიტყვები ფარაონისთვის და მისი ყველა მსახურისთვის;

38 და უთხრა ფარაონმა თავის ყველა მსახურს: განა ვიპოვით ასეთ კაცს, რომელშიც არის ღვთის სული?

39 და უთხრა ფარაონმა იოსებს: რადგან გიჩუენა ღმერთმა შენ ეს ყველაფერი, არ არის კაცი შენზე გონიერი და გულისხმიერი;

40 შენ იქნები ჩემს სახლზე და შენს სიტყვას შეისმენს მთელი ჩემი ერი; მხოლოდ ტანტით აღვემატები მე შენ.

41 და უთხრა ფარაონმა იოსებს: აჰა, გადგენ შენ დღეს ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.

42 და წაიძრო ფარაონმა ბეჭდი თავისი ხელიდან და გაუკეთა იგი ხელზე

იოსებს და შემოსა იგი ბისონის სამოსით და გაუკეთა ოქროს ეკლსაბამი მას ეკლზე;

43 და აიუვნა იგი თავის მეორე ეკლზე და აცხადებდა მის წინ მცნე; და დაადგინა იგი ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.

44 და უთხრა ფარაონმა იოსებს: მე ვარ ფარაონი; შენ ვარემე ვერავინ გაანძრევს ხელს ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

45 და უწოდა ფარაონმა სახელი იოსებს, ფსონთომფანეჟი;\* და მისცა მას ასენეთი, ჰეტეფრეს, მზის ქალაქის მღვდლის, ასული, ცოლად.

46 ხოლო იოსები იყო ოცდაათი წლისა, როცა წარდგა ფარაონის, ეგვიპტის მეფის, წინაშე. და გამოვიდა იოსები ფარაონისგან და მოიარა ეგვიპტის მთელი ქვეყანა.

47 და მისცა მიწამ სიუხვის შვიდ წელიწადს მოსავალი;

48 და დააგროვა შვიდი წლის მთელი სასწრაღო, როცა იყო სიუხვე ეგვიპტის ქვეყანაში, და დღო სასწრაღო ქალაქებში, ქალაქის შემოგარენის მიხედვრების საკვები დღო იქ.

49 და დააგროვა იოსებმა სიღრმადი, როგორც წილის ქვიშა, ძალიან ბევრი, ვიდრე მუშაობელი არ განდა აღრიცხვა, რადგან იყო ურიცხვი.

50 ხოლო იოსებს ჰყავდა ორი ძე მიმძილობის შვიდი წლის მოსვლამდე, რომლებიც უშვა მას ასენეთმა, ჰეტეფრეს, მზის ქალაქის მღვდლის, ასულმა.

51 და უწოდა იოსებმა ჰირომოს სახელი მანასე, რადგან თქვა: დამავიწუა

\* ფსონთომფანეჟი - ეგვიპტის სახარაულოდ, ნიშნავს ქვეყნიერების მხსნელს, სიცოცხლის მასახროებელს.

მე დმერთმა ჩემი ყველა ტკივილი და ყველაფერი მამახემისა.

52 სოლო მეროეს უწოდა სახელი ეფრემი, რადგან თქვა: ამდლორძინა მე დმერთმა ჩემი დამდაბლების ქვეყანაში.

53 და გავიდა სიუხვის შვიდი წელიწადი, რომელიც იყო ეგვიპტის ქვეყანაში,

54 და დაიწყო შიმშილობის შვიდმა წელიწადმა მოსვლა, როგორც თქვა იოსებმა. და იყო შიმშილი მთელ ქვეყანაზე, სოლო ეგვიპტის მთელ ქვეყანაში იყო პური.

55 და დაიძმა ეგვიპტის მთელი ქვეყანა და შეპლადდა ერმა ფარაონს პურის გამო; და უთხრა ფარაონმა ყველა ეგვიპტელს: წადით იოსებთან და რასაც გეტყვით თქვენ, გააკეთეთ.

56 და შიმშილი იყო მთელი ქვეყნის პირზე; და გახსნა იოსებმა ყველა ბელელი და ჰყიდა ყველა ეგვიპტელზე.

57 და მთელი ქვეყანა მიდიოდა ეგვიპტეში საყიდლად იოსებთან, რადგან გაძლიერდა შიმშილი მთელ ქვეყანაზე.

თავი 42

**ღ**ანანა იაკობმა, რომ არის გასაუღრი სორბალი ეგვიპტეში და უთხრა თავის ძეებს: რატომ ხართ უქმად?

2 აჰა, გავიგე, რომ არის სორბალი ეგვიპტეში; ჩადით იქ და იყიდეთ ჩვენთვის ცოტადიანი საზრდო, რათა ვიცოცხლოთ და არ მოვკვდეთ.

3 და ჩავიდა იოსების ათი ძმა სორბლის საყიდლად ეგვიპტეში;

4 სოლო ბენიამინი, იოსების ძმა, არ გაუშვა მის ძმებთან ერთად, რადგან

თქვა: ვაითუ შეუძლოდ შეიქნას იგი. 5 და მივიდნენ ისრაელის ძეები საყიდლად მიმსვლელებთან ერთად, რადგან იყო შიმშილი ქანანის ქვეყანაში.

6 სოლო იოსები იყო ქვეყნის მთავარი, იგი ყიდა ქვეყნის ყველა ხალხზე; და მივიდნენ იოსების ძმები და თაყვანი სცეს მას პირით მიწამდე.

7 და როცა დაინანა იოსებმა თავისი ძმები, იცხო და არ გამოეცხაურა მათ და დაეჯანაზრა მათ მკაცრად და უთხრა მათ: საიდან მოხვედით? სოლო მათ უთხრეს: ქანანის ქვეყნიდან საზრდოს საყიდლად.

8 და იცხო იოსებმა თავისი ძმები, სოლო მათ ვერ იცნეს იგი.

9 და გაანსყიდა იოსებს სიმძრები, რომლებიც ხანა მან, და უთხრა მათ: მსტორები ხართ; ქვეყნის გზა-კვალის გასაგებად მოხვედით.

10 სოლო მათ უთხრეს: არა, ბატონო, შენი მონები მოვედით საზრდოს საყიდლად;

11 ყველანი ვართ ერთი კაცის ძეები; მშვიდობიანები ვართ; არ არიან შენი მონები მსტორები.

12 და უთხრა მათ: არა, ქვეყნის გზა-კვალის სანახავად მოხვედით.

13 სოლო მათ უთხრეს: თორმეტი ძმა ვართ შენი მონები ქანანის ქვეყანაში, და აჰა, უმცროსი ჩვენს მამასთან არის დღეს, სოლო ერთი აღარ არის.

14 და უთხრა მათ იოსებმა: ეს არის, რაც გითხარით თქვენ და ვთქვი, რომ მსტორები ხართ;

15 ამით გამოჩნდებოთ: ვფიცავ ფარაონის ჯანმრთელობას, ვერ განავლთ აქედან, თუ თქვენი უმცროსი ძმა არ მოვა აქ.

16 გავსაწიეთ ერთი თქვენგანი და მოიყვანეთ თქვენი ძმა, სოლო თქვენ დაკავებული იქნებით, ვიდრე ცნადი განდგება თქვენი სიტყვები, მართალს ამბობთ თუ არა; სოლო თუ არა, ვფიცავ ფარაონის ჯანმრთელობას, ნამდვილად მსტოვრები ხართ.

17 და ჩასხა ისინი ციხეში სამი დღე.  
18 და უთხრა მათ მესამე დღეს: ასე გააკეთეთ და იცოცხლებთ, რადგან მე ღვთისა მეშინია.

19 თუ მშვიდობიანები ხართ, ერთი თქვენი ძმა დარჩეს ციხეში, სოლო თქვენ წადით და წაიღეთ თქვენი ნაყიდი სორბალი,

20 და თქვენი უძვროსი ძმა მოიყვანეთ ჩემთან და სარწმუნო იქნება თქვენი სიტყვები; სოლო თუ არა, დანსოცებით. და გააკეთეს ასე.

21 და უთხრა თითოეულმა თავის ძმას: ჰო, რადგან ცოდვაში ვართ ჩვენი ძმის გამო, რადგან უგულვებელყუავით მისი სულის განსაჭირი, როცა გვევდრებოდა ჩვენ და არ შევისმინეთ მისი; ამის გამო მოიწია ჩვენზე ეს განსაჭირი.

22 და მიუგო რუბენმა და უთხრა მათ: არ გათხარით თქვენ და ვთქვი: ნუ მოექცევით უსამართლოდ ყრმას? და არ შეისმინეთ ჩემი; და აჰა, მისი სისხლი შურს იძიებს.

23 სოლო მათ არ იცოდნენ, რომ ესმის იოსებს, რადგან მთარგმნელი იყო მათ შორის.

24 და მიბრუნდა მათგან და ატირდა იოსები. და ისევ მივიდა მათთან და უთხრა მათ; და გამოიყვანა სიმეონი მათგან და შეკრა იგი მათ წინაშე.

25 და ბრძანა იოსებმა, რომ აეყვანათ მათი ჭურჭელი სობრლით და ჩა-

ვლით ვერცხლი თითოეულისთვის მის ტომარაში და მიეცათ მათთვის საგნადი. და გაუკეთეს მათ ასე.

26 და აპკიდეს სობრალი თავის სახედრებს და წავიდნენ იქიდან.

27 და გახსნა ერთმა თავისი აბჯა, რომ მიეცა საკვები თავისი სახედრებისთვის, სადაც შეისვენეს, და დინახნა თავისი ვერცხლის შეკვრა, და იყო აბჯის პირზე;

28 და უთხრა თავის ძმებს: დამიბრუნდა მე ვერცხლი, და აჰა, იგი ჩემს აბჯაშია. და შეერთა მათი გული და შემოფოთდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ეს რა გვიყო ჩვენ ღმერთმა?

29 და მივიდნენ იაკობთან, თავის მამასთან, ქანაანის ქვეყანაში და უამბეს მას უველაფერი, რაც შეემთხვათ მათ და უთხრეს:

30 უველაზარკა კაცი, ქვეყნის ბატონი, ჩვენ მკაცრად და ჩაგვსხა ჩვენ ციხეში, როგორც ქვეყნის მსტოვრები.

31 და უუთხარით მას: მშვიდობიანები ვართ, არა ვართ მსტოვრები;

32 თორმეტი ძმა ვართ, ჩვენი მამის ძეგები; ერთი აღარ არის, სოლო უძვროსი ჩვენს მამასთან არის დღეს ქანაანის ქვეყანაში.

33 და გვითხრა ჩვენ კაცმა, ქვეყნის ბატონმა: ამით გავიგებ, რომ მშვიდობიანები ხართ: ერთი ძმა დატოვეთ აქ ჩემთან, სოლო თქვენი სახლისთვის ნაყიდი სობრალი წაიღეთ და წადით,

34 და მოიყვანეთ თქვენი უძვროსი ძმა ჩემთან და გავიგებ, რომ არა ხართ მსტოვრები, არამედ მშვიდობიანები ხართ, და თქვენს ძმას დაგიბრუნებთ თქვენ, და ქვეყანაში ივაჭრეთ.

35 და იყო, როცა დაცალეს მათ თავისი ტომრები, იყო ვერცხლის

შევიწიო თითოეული მათგანის ცომა-  
რამი; და დანახეს თავისი ვერცხლის  
შეკრები მათ და მათმა მამამ და  
შეუძინდათ.

36 და უთხრა მათ იაკობმა, მათმა  
მამამ: მე უშვილოდ დამტოვეთ; იოსები  
აღარ არის, სიმეონი აღარ არის, ბე-  
ნიამინიც მიუკავით; ჩემზე მოიწია ეს  
უკუღალაფერი.

37 და უთხრა რუბენმა თავის მამას  
და თქვა: ჩემი ორი ძე მოკალი, თუ  
არ მოვიყვანო იგი შენთან; მომეცი  
იგი მე ხელში და მე ამოვიყვან მას  
შენთან.

38 ხოლო მან უთხრა: არ წამოვა ჩე-  
მი ძე თქვენთან ერთად, რადგან მისი  
ძმა მოკვდა და იგი მარტო დარჩა; და  
დაუძღვრდება იგი გზაზე, რომელზეც  
მიდინართ, და ჩაიყვანთ ჩემს სიბერეს  
მწესნარებით ჯოჯოხეთში.

თავი 43

**ღ**ა მიმძილი გაძლიერდა ქვეყ-  
ნაზე.

2 და იყო, როცა დამთავრეს ჭამა  
ხორბლისა, რომელიც წამოიღეს ვე-  
ვიანტიდან, უთხრა მათ მათმა მამამ:  
ისევ წადით და გვიყიდეთ ჩვენ ცოტა-  
ოდენი საწარდო.

3 და უთხრა მას იუდამ და თქვა:  
მოწმობით დაგვიმოწმა ჩვენ კაცმა და  
თქვა: ვერ იხილავთ ჩემს ზირს, თუ  
არ იქნება თქვენი უძცროსი ძმა  
თქვენთან ერთად.

4 თუ გამოუშვებ ჩვენს ძმას ჩვენთან  
ერთად, ჩავალთ და გიყიდით შენ  
საწარდოს;

5 ხოლო თუ არ გამოუშვებ ჩვენს  
ძმას ჩვენთან ერთად, არ წავალთ,

რადგან კაცმა გვითხრა ჩვენ და თქვა:  
ვერ იხილავთ ჩემს ზირს, თუ არ  
იქნება თქვენი უძცროსი ძმა თქვენთან  
ერთად.

6 და თქვა ისრაელმა: რად გამოიყე-  
თეთ მე ბოროტება და უთხარით იმ  
კაცს, რომ გვაუთ თქვენ ძმა?

7 ხოლო მათ უთხრეს: კითხვით გამოგ-  
ვითხარ ჩვენ კაცმა ჩვენს ნათესაობაზეც  
და თქვა: ისევ ცოცხალია მამათქვენ-  
ნი? თუ გვაუთ თქვენ ძმა? და ვუთხარ-  
ით ამ კითხვის შესაბამისად. რა ვი-  
ცოდით, თუ გვეტოვდა ჩვენ: მოიყვა-  
ნეთ თქვენი ძმა?

8 და უთხრა იუდამ ისრაელს, თავის  
მამას: გამოუშვი ყრმა ჩემთან ერთად  
და ავდგებით და წავალთ, რათა ვი-  
ცოცხლოთ და არ მოგკადეთ ჩვენც  
და შენც და ჩვენი მონაზარიც.

9 და მე ჩავიბარებ მას, ჩემი ხელიდ-  
ან მოიდიე იგი; თუ არ მოვიყვან მას  
შენთან და არ დავაყენებ მას შენ წი-  
ნაზე, ცოდვილი ვიქნები შენ წინაზე  
დღეინადაც.

10 რომ არ დავყოვნებულყავით, უკვე  
მობრუნებულეები ვიქნებოდით ორგ ხის.

11 და უთხრა მათ ისრაელმა, მათმა  
მამამ: თუ ვერა, ასე გააკეთეთ: წადეთ  
მიწის ნაყოფთან თქვენი ჭურჭლებით  
და ჩაუტანეთ იმ კაცს ძღვენი – მკურის-  
კვეი და თაფლი, საკმეველი და შტახსი  
და ბელეკონი და კაკალი.

12 და ვერცხლი ორმაგად აიღეთ  
თქვენს ხელში; ვერცხლი, რომელიც  
დაგიბრუნდათ თქვენს აბგებში, დაუბ-  
რუნეთ თქვენ; იქნებ შეცდომდა.

13 და თქვენი ძმა წაიყვანეთ და ადე-  
ქით და ჩადით იმ კაცთან.

14 და ჩემმა ღმერთმა მოგცეთ თქვენ  
მადლი იმ კაცის წინაზე. და გამოუშ-

ვეებს თქვენს ერთ ძმას და ბენიამინს, რადგან მე, როგორც უძვილო, უძვილოდ დავრჩი.

15 და აიღეს კაცებმა ის ძღვენი და ვერცხლი ორმაგად თავის ხელში და წაიყვანეს ბენიამინი და აღვჩენ და ჩავიდინენ ეგვიპტეში და წარდგინენ იოსების წინაშე.

16 და დანახა იოსებმა ისინი და ბენიამინი, თავისი ძმა, დედით ერთი, და უთხრა თავის სახლთურუცესს: შეიყვანე ეს კაცები სახლში და დაკალი საკლავი და მოამხადე, რადგან ჩემთან ერთად შეჰამენ ეს კაცები ჰურს შუადღისას.

17 და გააკეთა კაცმა, როგორც უთხრა იოსებმა, და შეიყვანა კაცები იოსების სახლში.

18 და როცა დანახეს კაცებმა, რომ შეიყვანეს იოსების სახლში, თქვეს: დაბრუნებული ვერცხლისთვის, რომელიც იყო ჩვენს აბეგებში თავდაპირველად, ძველად ჩვენ, რათა ცილი დაგვწამონ და ბრალი დაგვდონ და წავიყვანონ ჩვენ მონებად და ჩვენი სახედრებოც.

19 და მივიდნენ კაცთან, იოსების სახლთურუცესთან, და ელაპარაკენ მას სახლის კარიბჭესთან

20 და უთხრეს: გვედრებით, ბატონო, ჩამოვდით თავდაპირველად საზრდოს საყიდლად;

21 და იყო, როცა მივედით დასასვენებლად და გავხსენით ჩვენი აბეგები, და აჰა, თითოეულის ვერცხლი იყო მის აბეგში. ჩვენი ვერცხლი წონით დავაბრუნეთ ახლა ჩვენი ხელით;

22 და სხვა ვერცხლი თან წამოვიღეთ საზრდოს საყიდლად; არ ვიცით, ვინ ჩადო ვერცხლი ჩვენს აბეგებში.

23 და უთხრა მათ: წყალობა იყოს თქვენსე, ნუ გემინათ; თქვენმა ღმერთმა და თქვენი მამების ღმერთმა მოგცათ თქვენ განძი თქვენს აბეგებში, ხოლო თქვენს ვერცხლს, გამოჩეულს, ვიღებ. და გამოიყვანა მათთან სიმეონი.

24 და მიუტანა წყალი მათ ფეხების დასაბანად და მისცა საკვები მათს სახედრებს.

25 და მოამხადეს ძღვენი იოსების მოსვლამდე შუადღისას, რადგან გაიგეს, რომ იქ აპირებს სადილობას.

26 და შევიდა იოსები სახლში და მიართვეს მას ძღვენი, რომელიც ხელთ ჰქონდათ მათ, სახლში და თავუხნი სცეს მას ჰორით მიწამდე.

27 და ჰკითხა მათ: როგორ ხართ? და უთხრა მათ: ჯანმრთელად არის თქვენი მოხუცი ძმა, ვის შესახებაც მითხარით? ისევე ცოცხალია?

28 ხოლო მათ უთხრეს: ჯანმრთელად არის შენი ძმონა, ჩვენი ძმა, ისევე ცოცხალია. და თქვა: კურთხეულია ის კაცი ღვთისაგან. და მოდრეკით თავუხნი სცეს მას.

29 და აახილა თვალები და დანახა ბენიამინი, თავისი ძმა, დედით ერთი, და თქვა: ეს არის თქვენი უძეგროსი ძმა, რომელსაც თქვით, რომ მოიყვანდით ჩემთან? და უთხრა: ღმერთმა შეგიწყალოს შენ, შეილო.

30 და აღელდა იოსები, რადგან გულმეტყველი დაეწვა მას თავისი ძმის გამო და მოუნდა ტირილი; და შევიდა საგანძურში და ატირდა იქ.

31 და დაიხანა ჰორი და როცა გამოვიდა, თავი შეიკავა და თქვა: დაწყეთ ჰურები.

32 და დაუწყეს მას ცალკე და მათ ცალკე და ეგვიპტელებს, რომლებიც

სადილობდნენ მასთან, ცალკე, რადგან არ შეეძლოთ ეგვიპტელებს უბრალოებთან ერთად ჰურის ჭამა, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის.

33 და დასდნენ მის წინ, ზირმშო – თავისი უპირატესობის მიხედვით და უძღროსი – თავისი უძღროსობის მიხედვით; განცვიფრებან გამოსატყუდნენ კაცები, თითოეული თავის ძმასთან.

34 და იღებდნენ ისინი მისგან წილს; და გაიხარდა ბენიამინის წილი ყველას წილზე ხუთჯერ. და სვეს და დათურნენ მასთან ერთად.

თავი 44

**ღ** ა უბრძანა იოსებმა თავის სახლთურსუცესს და უთხრა: გააწყეთ ამ კაცების აბგები სახრდოთი, რამდენის წაღებასაც შეძლებენ და დადეთ თითოეულის ვერცხლი აბგის ზირზე 2 და ჩემი ვერცხლის სახმისი ჩადეთ უძღროსის აბგაში და მისი ხორბლის საფასურიც. და გააკეთეს იოსების სიტყვისამებრ, როგორც თქვა.

3 დილა გათენდა და კაცები გაუშვეს, ისინი და მათი სახედრები.

4 და გაუიღნენ ისინი ქალაქიდან და არ იყვნენ ძორს წახულები და იოსებმა უთხრა თავის სახლთურსუცესს: ადექი და დაედგენე უკან იმ კაცებს და დაეწიე მათ და უთხარი მათ: რატომ მოძაგეთ ბოროტი კეთილის სახაცევლოდ? რად მოძაგრეთ მე ვერცხლის სახმისი?

5 განა ეს არ არის, რომლითაც სვამს ჩემი ბატონი? და იგი მისნობით მისნობს მეგით. ბოროტება აღასრულეთ იმით, რაც ჩაიდინეთ.

6 და როცა იპოვა ისინი, უთხრა მათ ამ სიტყვისამებრ.

7 ხოლო მათ უთხრეს მას: რად აბობს ბატონი მაგნაირ სიტყვებს? ნუ იქნება, რომ შენმა მონებმა გააკეთონ ამ სიტყვისამებრ.

8 თუ ვერცხლი, რომელიც ვიპოვეთ ჩვენს აბგებში, დავბორუნეთ შენ ქანახის ქვეყნიდან, როგორ მოვიპარავდით შენი ბატონის სახელიდან ვერცხლს ან ოქროს?

9 რომელთანაც მოინახება სახმისი შენ მონათავან, მოკვდეს; ხოლო ჩვენ ვიქნებით ჩვენი ბატონის მონები.

10 და მან თქვა: და ახლა როგორც ამბობთ, ისე იქნება: კაცი, რომელთანაც მოინახება სახმისი, ის იქნება ჩემი მონა, ხოლო თქვენ იქნებით უბრალო.

11 და აჩქარდნენ და გადმოიღო თითოეულმა თავისი აბგა მიწაზე და განსნა თითოეულმა თავისი აბგა.

12 და ჩსრეკდა, უფროსით დაწყებულა, ვიდრე არ მივიდა უძღროსამდე, და იპოვა სახმისი ბენიამინის აბგაში.

13 და შემოიხიეს თავისი სამოსი და აპვიდა თითოეულმა თავისი აბგა თავის სახედარს და დაბრუნდნენ ქალაქში.

14 და შევიდა იუდა, და მისი ძმები იოსებთან, რომელიც ისევ იქ იყო, და დაემხნენ მის წინაშე მიწასე.

15 და უთხრა მათ იოსებმა: რა არის ეს საქმე, რაც ჩაიდინეთ? არ იცით, რომ მისნობით მისნობს ჩემნაირი კაცი?

16 და უთხრა იუდამ: რა მივეუვოთ ბატონს ან რა ვთქვათ, ან რით გავმართლდეთ? რადგან დმერთმა ნახა შენი მონების უსამართლობა. აჰა, ვართ ჩვენი ბატონის მონები ჩვენც და ვისთანაც მოინახა სახმისი.

17 და თქვა იოსებმა: ნუ იქნება, რომ მე შევასრულო ეს სიტყვა: კაცი, რო-

მელთანაც მოინახა სასმისი, ის იქნება ჩემი მონა, ხოლო თქვენ ადით მშვიდობით თქვენს მამასთან.

18 და მიუახლოვდა მას იუდა და უთხრა: გუგუდრები, ბატონო, თქვას შენმა მონამ სიტყვა შენ წინაშე და ნუ განურისხდები შენს მონას, რადგან შენ ხარ ფარაონის შემდეგ.

19 ბატონო, შენ ჰკითხე შენს მონებს და უთხარი: თუ გყავთ მამა ან ძმა?

20 და ვუთხარით ბატონს: გუგუას ჩვენ მოხუცი მამა და სიბერის შვილი, უძცროსი, ჰყავს მას, და მისი ძმა მოკვდა, ხოლო ის მარტო დარჩა თავის დედას და მამამ იგი შეიყვარა.

21 და უთხარი შენს მონებს: ჩამოიყვანეთ იგი ჩემთან და ვიზრუნებ მასზე.

22 და ვუთხარით ბატონს: ვერ შეძლებს ყრმა მამის დატოვებას, ხოლო თუ დატოვებს მამას, მოკვდება.

23 ხოლო შენ უთხარი შენს მონებს: თუ არ ჩამოიყვანთ თქვენს უძცროს ძმას თქვენთან ერთად, ვეღარ იხილავთ ჩემს ზირს.

24 და იყო, როცა ავედით შენს მონასთან და ჩვენს მამასთან, ვუთხარით მას ბატონის სიტყვები.

25 და გვითხრა ჩვენ ჩვენმა მამამ: წადით ისევ, იყიდეთ ჩვენთვის ცოტაოდენი სახრდო.

26 ხოლო ჩვენ ვუთხარით: ვერ შევძლებთ ჩასვლას; მაგრამ, თუ ჩვენი უძცროსი ძმა წამოვა ჩვენთან ერთად, ჩავალთ; რადგან ვერ შევძლებთ იმ კაცის ზირის ხილვას, თუ ჩვენს უძცროსი ძმა არ იქნება ჩვენთან ერთად.

27 და გვითხრა შენმა მონამ, ჩვენმა მამამ, ჩვენ: თქვენ იცით, რომ ორი მიშვა მე ცოლამ;

28 და გავიდა ერთი ჩემგან და თქვით, რომ მხეცის ლუკმა გახდა, და აღარ მინახავს იგი აქამდე.

29 ამიტომ, თუ წაიყვანთ ამასაც ჩემგან და დაუძღვრდება იგი გზაში, ჩაიყვანთ მწუსარებით ჩემს სიბერეს ჯოჯოხეთში.

30 ამიტომ, ახლა თუ წავალ შენს მონასთან და ჩვენს მამასთან და ყრმა არ იქნება ჩვენთან ერთად – მისი სული კი დაკავშირებულია ამის სულთან –

31 და იქნება, როცა ნახავს იგი, რომ არ არის ყრმა ჩვენთან ერთად, აღესრულება; და ჩაიყვანებ ტკივილით შენი მოხები შენი მონის და ჩვენი მამის სიბერეს ჯოჯოხეთში.

32 რადგან შენს მონას ჩაბარებული ჰყავს ყრმა მამისგან, და ვუთხარი: თუ არ მოვიყვან მას შენთან და არ დავაყენებ მას შენ წინაშე, ცოდვილი ვიქნები მამის წინაშე დღეინადაც, –

33 ამიტომ ახლა დაურჩები შენთან მონად ყრმის ნაცვლად, ბატონის მონად, ხოლო ყრმა ავიდეს ძმებთან ერთად,

34 რადგან, როგორ ავალ მამასთან, თუ ყრმა არ იქნება ჩვენთან ერთად? რათა არ ვიხილო ძვირი, რაც მწევა მამაჩემს.

თა30 45

**ღ**ე ვეღარ შეძლო იოსებმა მოთმენა თავისი ყველა თანმშლების წინაშე, ამიტომ თქვა: გაიყვანეთ ყველა ჩემგან. და აღარავინ იდგა იოსების წინაშე, როცა გამოეცანაურა თავის ძმებს.

2 და ამოუშვა ხმა ტირილით; და გაიგო ყველა ეგვიპტელმა, და გაიგეს ფარაონის სასალო.

3 და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: მე ვარ იოსები; ისეც ცოცხალია მამაჩემი? და ვერ შეძლეს ძმებმა პასუხი გაეცათ მისთვის, რადგან შეძრწუნდნენ.

4 და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: მომიხსნალოდით მე. და მიუხსნალოდნენ. და თქვა: მე ვარ იოსები, თქვენი მამა, რომელიც გაუიღეთ ეგვიპტეში.

5 ამიტომ ახლა სუ დამწუხრდებით, ხურც სასტიკად მოგვჩვენებთ თქვენ, რომ გაუიღეთ მე აქ, რადგან სიცოცხლისთვის გამოგზავნა მე ღმერთმა თქვენ წინაშე;

6 რადგან ეს მეორე წელია, შიმშილობაა ქვეყანაზე, და კიდევ დარჩა სუთი წელი, როცა არ იქნება ხვნა, არც მკა;

7 რადგან გამოგზავნა მე ღმერთმა თქვენ წინაშე, რომ დარჩეს თქვენი დანატოვარი ქვეყანაზე, და გამოიკვებოს თქვენი დიდი დანატოვარი.

8 ამიტომ არა თქვენ გამოგზავნეთ მე აქ, არამედ ღმერთმა, და გამადა მე ფარაონის მამად და მთელი მისი სახლის ბატონად და ეგვიპტის მთელი ქვეყნის მთავრად.

9 ამიტომ იქარეთ და აღით მამაჩემთან და უთხარით მას: ამას ამბობს შენი ძე, იოსები: გამადა მე ღმერთმა ეგვიპტის მთელი ქვეყნის ბატონად; ამიტომ ჩამოდი ჩემთან და სუ დაყოვნდები;

10 და დამკვიდრდები არაბეთის გესემის მიწაზე და იქნები ჩემთან ახლოს შენ და შენი ძეები და შენი ძეთა ძეები და შენი ცნუარი და შენი ძროხა და რაც შენია,

11 და გამოგკვებავ შენ იქ, რადგან კიდევ სუთი წელიწადი იქნება შიმშილობა, რათა არ მოისპო შენ, და შენი ძეები და მთელი შენი ქონება.

12 ახა, თქვენი თვალები სედავენ და ბენიამინის, ჩემი ძმის, თვალებიც, რომ ჩემი პირი გელაპარაკათ თქვენ.

13 აუწყეთ მამაჩემს მთელი ჩემი დიდების შესახებ ეგვიპტეში და რასაც სედავთ; და იქარეთ და ჩამოიყვანეთ მამაჩემი აქ.

14 და მოეხვია ბენიამინს, თავის ძმას, ქედზე და ტიროდა და ბენიამინი ტიროდა მის ქედზე.

15 და ეამბორა თავის ყველა ძმას და ტიროდა მათთან ერთად; და ამის შემდეგ დაელაპარაკუნა მისი ძმები მას.

16 და გავარდა ხმა ფარაონის სახლში და თქვა: მოვიდნენ იოსების ძმები. და გაუსწრადა ფარაონს, და მის ყველა მსახურს.

17 და უთხრა ფარაონმა იოსებს: უთხარი მენს ძმებს: ასე გააკეთეთ: ააუსეთ თქვენი სახიდრები და წადით ქახანის ქვეყანაში

18 და წამოიყვანეთ მამათქვენი და წამოიღეთ თქვენი ქონება და მოდით ჩემთან და მოგცემთ თქვენ ეგვიპტის ყველა სიკეთეს და მუქამთ მიწის ღაღას.

19 ხოლო შენ აცნობე ეს, რომ წაიღონ თავისთვის ეტლები ეგვიპტის ქვეყნიდან თქვენი ბავშვებისა და ცოლები-სათვის, და ამოიყვანეთ მამათქვენი და მოდით;

20 და სუ დაგრებათ თვალი თქვენს ჭურჭელზე, რადგან ეგვიპტის ყველა სიკეთე თქვენთვის იქნება.

21 და გააკეთეს ასე ისრაელის ძეებმა; და მისცა იოსებმა მათ ეტლები ფარაონის, ეგვიპტის მეფის, ნათქვამისამებრ, და მისცა მათ საეზალი,

22 და ყველას მისცა წყვილი სამოსი, ხოლო ბენიამინს მისცა სამახი ოქრო და სუთი სხვადასხვა სამოსი



23 და თავის მამას გაუგზავნა ამ-  
გვარადღეუ; და ათი სახედარო, დატვი-  
რთული ეგვიპტის ქველად სიკეთით, და  
ათი ჯორი, დატვირთული პურიით, —  
თავის მამას გზისთვის.

24 და გაუშვა თავისი ძმები და წა-  
ვიდნენ; და უთხრა მათ: ნუ განრისხდ-  
ბით ვინაში.

25 და ავიდნენ ეგვიპტიდან და მივიდნენ  
ქანანის ქვეყანაში იაკობთან, თავის  
მამასთან,

26 და აუწუეს მას და უთხრეს: შენი  
ძე, იოსები, ცოცხალია და იგი მარ-  
თავს ეგვიპტის მთელ ქვეყანას. და  
განცვიფრდა იაკობის გონება, რადგან  
არ ირწმუნა მათი.

27 და უთხრეს მას იოსების ნათქვამი,  
ეგვლაფერი, რაც უთხრა მათ. და  
როცა დაინახა ეტლები, რომლებიც  
გამოგზავნა იოსებმა მის წასაყვანად,  
გამოცოცხლდა იაკობის, მათი მამის,  
სული.

28 და თქვა ისრაელმა: დიდი რამ  
არის ჩემთვის, თუ ისევ ცოცხალია  
ჩემი ძე, იოსები; წავალ და ვნახავ  
მას, ვიდრე მოკვდები ძე.

თავი 46

**Q** დაიდრა ისრაელი, ის და ყო-  
ველივე, რაც იყო მისი, და მივი-  
და ფიცის ქანთან და შესწირა მსხვერ-  
ჭლი თავისი მამის, ისააკის, ღმერთს.  
2 და უთხრა ღმერთმა ისრაელს დამის  
ჩვენებისას და თქვა: იაკობ, იაკობ.  
ხოლო მან თქვა: რა არის?

3 და უთხრა: მე ვარ ღმერთი შენი  
მამებისა; ნუ გემინა ეგვიპტეში ჩას-  
ვლისა, რადგან დიდ ხალხად გაქცევ  
შენ იქ,

4 და მე ჩამოვალ შენთან ერთად ეგ-  
ვიპტეში და მე ამოგიყვან შენ ბოლოს  
და იოსები დაგისუქავს თავისი ხელით  
შენ თვალებს.

5 და აღვა იაკობი ფიცის ჭიდან და  
აიყვანეს იაკობის ძეებმა ისრაელი,  
თავისი მამა, და ჭურჭელი და თავი-  
სი ცოლები ეტლებზე, რომლებიც გა-  
მოგზავნა იოსებმა მის წასაყვანად,

6 და წაიღეს თავისი ქონება და მთე-  
ლი მონაგები, რომელიც მოიგეს ქა-  
ნანის ქვეყანაში, და შევიდა ეგვიპტე-  
ში იაკობი, და მთელი მისი მოდგმა  
მასთან ერთად:

7 ძეები და მისი ძეების ძეები მასთან  
ერთად, ასულები და მისი ასულების  
ასულები; და მთელი თავისი მოდგმა  
შეიყვანა ეგვიპტეში.

8 ეს არის სახელები ისრაელის ძეე-  
ბისა, რომლებიც მივიდნენ ეგვიპტეში  
— იაკობი და მისი ძეები: იაკობის  
პირმძო, რუბენი.

9 და რუბენის ძეები: ენოქი და ფალუ,  
ასრონი და ქარმი.

10 და სიმეონის ძეები: იემუელი და  
ამინი და აოდი და იაქინი და საარი  
და საული, ქანანელი დედაკაცის ძე.

11 და ლევის ძეები: კერსონი, კაათი  
და შერარი.

12 და იუდას ძეები: ერი და აუნანი  
და სელომი და ფარეზი და ზარა; და  
დაინოცნენ ერი და აუნანი ქანანის  
ქვეყანაში; და იუვენ ფარეზის ძეები  
ასრონი და იემუელი.

13 და ისაქარის ძეები: თოლა და  
ფუა და იასუბი და ზამბრამი.

14 და ზაბულონის ძეები: სერუდი და  
ალონი და ალოელი.

15 ესენი არიან ლიას ძეები, რომ-  
ლებიც უშვა იაკობს ასურეთის შუამ-

დინარეთში, და დინა, მისი ასული; ეველა სული, ძეები და ასულები – ოცდაცამეტი.

16 და გადის ძეები: საფონი და ან-ვისი და საწინისი და თასობანი და აუდისი და აროდისი და არიელისი.

17 და ასერის ძეები: იემნა და იესუა და იეული და ბარია და სარა, მათი და. და ბარიას ძეები: ქობორი და მეღქიელი.

18 ესენი არიან ძეები ზელფასი, რომელიც მისცა ლაბანმა ლიას, თავის ასულს, რომელმაც უშვა ესენი იაკობს – თექვსმეტი სული.

19 და რაქელის, იაკობის ცოლის, ძეები: იოსები და ბენიამინი.

20 და იუენენ იოსების ძეები ეგვიპტის ქვეყანაში, რომლებიც უშვა მას ასენეთმა, ჰეტეფერეს, შის ქალაქის მღვდლის, ასულმა, მანასე და ფერემი. და იუენენ მანასეს ძეები, რომლებიც უშვა მას ასურელმა სარკამ, მაქირი. ხოლო მაქირმა შვა ვალაადი. და ფერემის, მანასეს ძმის, ძეები: სუტალაადი და ტაამი. და სუტალაადის ძეები: ედემი.

21 და ბენიამინის ძეები: ბალა და ქობორი და ასელი. და იუენენ ბალას ძეები: ვერა და ნოემანი და ანქისი და როსი და მამფინი და ოფიმი; ხოლო ვერამ შვა არადი.

22 ესენი არიან რაქელის ძეები, რომლებიც უშვა იაკობს: ეველა სული – თორამეტი.

23 და დანის ძეები: ასომი.

24 და ნეფთალის ძეები: ასიელი და გოვინი და ისარი და სილემი.

25 ესენი არიან ძეები ბალასი, რომელიც მისცა ლაბანმა რაქელს, თავის ასულს, რომელმაც უშვა ესენი იაკობს: ეველა სული – შვიდი.

26 და ეველა სული, რომელიც შვეი-და იაკობთან ერთად ეგვიპტეში, გამო-სულები მისი სახარდულიდან, გარდა იაკობის ძეთა ცოლებისა, ეველა სული – სამოცდაექვსი.

27 და იოსების ძეები, რომლებიც ჰყავდა მას ეგვიპტის ქვეყანაში – ცნრა სული. იაკობის სახლის ეველა სული, რომელიც შვეიდა ეგვიპტეში – სამოც-დათხუთმეტი.

28 და იუდა გაუზავნა თავისზე წინ იოსებთან, რათა შენეგდროდა მას ქალაქ ერონთან, რამესეს ქვეყანაში.

29 და შება იოსებმა თავისი ეტლები და ავიდა ისრაელთან, თავის მამასთან, შესავებებლად ქალაქ ერონთან; და როცა დანახა იგი, მოეხვია მას ქედზე და ბეჭრი იტირა ტირილით.

30 და უთხრა ისრაელმა იოსებს: მოკვდე ამიერიდან, რადგან ვინაღუ შენი სახე, რადგან შენ ისევ ცოცხალი ხარ.

31 და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: ავალ და ვაუწყებ ფარაონს და ვეტყვი მას: ჩემი ძმები და მამაჩემის სახლი, რომლებიც იუენენ ქანანის ქვეყანაში, მოვიდნენ ჩემთან;

32 და ეს კაცები არიან მწყემსები, რადგან შესაქონლე კაცები იუენენ; და საქონელი და ძროხა და ყოველივე, რაც იყო მათი, წამოიყვანეს.

33 ამიტომ, თუ ვინმით თქვენ ფარაონი და გეტყვით თქვენ: რა არის თქვენი საქმიანობა?

34 თქვით: შესაქონლე კაცები ვართ შენი მონები სიერმიდან აქამდე, ჩვენც და ჩვენი მამებიც; – რათა დამკვიდრდეთ არაბეთის ვესემის მიწაზე, რადგან საძაგელია ეგვიპტელთათვის ცნვრის ყოველი მწყემსი.

თაპო 47

ღა მივიდა იოსები და აუწყა ფარონს და უთხრა: მამახემი და ჩემი ძმები და საქონელი და მათი ძროხა და უოვლივე, რაც არის მათი, მოვიდნენ ქანაანის ქვეყნიდან, და აჰა, არიან გვემის მიწაზე.

2 და თავისი ძმებიდან წაიყვანა სუთი კაცი და წარადგინა ისინი ფარონის წინაშე.

3 და უთხრა ფარონმა იოსების ძმებს: რა არის თქვენი საქმიანობა? სოლო მათ უთხრეს ფარონს: ცხვრის მწყემსები ვართ შენი მონები, ჩვენც და ჩვენი მამებიც.

4 და უთხრეს ფარონს: მწირობისათვის მოვედით ქვეყანაში, რადგან არ არის საძოვარი შენი მონების საქონლისათვის, რადგან გაძლიერდა მიმდინი ქანაანის ქვეყანაში; ამიტომ ახლა


დაასახლდებით შენი მონები გვემის მიწაზე.

5 და უთხრა ფარონმა იოსებს: დასახლდნენ გვემის მიწაზე, სოლო თუ იცი, რომ არიან მათ შორის ძლიერი კაცები, დაადგინე ისინი ჩემი საქონლის მთავრებად.

და მივიდნენ ეგვიპტეში იოსებთან იაკობი და მისი ძმები და გაიგო ფარონმა, ეგვიპტის მეფემ. და უთხრა ფარონმა იოსებს და თქვა: მამამენი და შენი ძმები მოვიდნენ შენთან, ნ აჰა, ეგვიპტის ქვეყანა შენ წინაშე; საუკეთესო მიწაზე დაასახლე მამამენი და შენი ძმები.

7 და შეიყვანა იოსებმა იაკობი, თავისი მამა, და წარადგინა იგი ფარონის წინაშე და აკურთხა იაკობმა ფარონი.

8 და უთხრა ფარონმა იაკობს: რამდენი წელია შენი სიცოცხლის დღეები?



9 და უთხრა იაკობმა ფარაონს: დღეები ჩემი სიცოცხლის წლებიანა, რასაც ვშიწრობ, ას ოცდაათი წელია. მცირე და ცუდი იყო დღეები ჩემი სიცოცხლის წლებიანა, ვერ მიადწიეს დღეებამდე ჩემი მამების სიცოცხლის წლებიანა, რა დღეებსაც შიწრობდნენ.

10 და აკურთხა იაკობმა ფარაონი და გამოვიდა მისგან.

11 და დაასახლა იოსებმა თავისი მამა და ძმები და მისცა მათ სამკვიდრებელი ეგვიპტის ქვეყანაში, საუკეთესო მიწაზე, რამესაც მიწაზე, როგორც უბრძანა ფარაონმა.

12 და უნაწილებდა იოსები თავისი მამას და ძმებს და თავისი მამის მთელ სახლს ხორბალს სულადობის მიხედვით.

13 ხოლო ხორბალი არ იყო მთელ ქვეყანაში, რადგან გაძლიერდა შიმშილი ძლიერ; და დაიღია ეგვიპტის ქვეყანა და ქანაანის ქვეყანა შიმშილისაგან.

14 და შეაგროვა იოსებმა მთელი ვერცხლი, რაც მოიპოვებოდა ეგვიპტის ქვეყანაში და ქანაანის ქვეყანაში, ხორბლით, რომელსაც ყიდულობდნენ, და უნაწილებდა მათ; და შეიტანა იოსებმა მთელი ვერცხლი ფარაონის სახლში.

15 და გამოიღია ვერცხლი ეგვიპტის ქვეყანაში და ქანაანის ქვეყანაში. და მივიდა ყველა ეგვიპტელი იოსებთან და ეუბნებოდა: მოგვცე ჩვენ ჰური; და რატომ დავისოცოთ შენ წინაშე, რადგან გამოიღია ჩვენი ვერცხლი?

16 და უთხრა მათ იოსებმა: მორეკეთ თქვენი საქონელი და მოგცემთ თქვენ ჰურს თქვენი საქონლის სანაცვლოდ, თუ გამოიღია თქვენი ვერცხლი.

17 და მოიყვანეს საქონელი იოსებთან და მისცა მათ იოსებმა ჰური ცხენების სანაცვლოდ და ცხვრების სანაცვლოდ და ძროხების სანაცვლოდ და საწვრების სანაცვლოდ და გამოკვება ისინი ჰურით მთელი მათი საქონლის სანაცვლოდ იმ წელიწადს.

18 და გავიდა ის წელიწადი და მივიდნენ მასთან მეორე წელიწადს და უთხრეს მას: ნუ გავწუდებით ჩვენი ბატონისგან; რადგან, თუ გამოიღია ვერცხლი და ქონება, და პირუტყვი შენთან არის, ბატონთან, არაფერი ვერჩება ჩვენ ჩვენი ბატონის წინაშე, გარდა საკუთარი სხეულისა და ჩვენი მიწისა.

19 ამიტომ, რომ არ დავისოცოთ შენ წინაშე და ქვეყანა არ გაუღაბურდეს, გვიყიდე ჩვენ და ჩვენი მიწა ჰურის სანაცვლოდ და ვიქნებით ჩვენ და ჩვენი მიწა ფარაონის მონები; მოგვცე თესლი, რათა ვთესოთ და ვიცოცხლოთ და არ დავისოცოთ და ქვეყანა არ გაუღაბურდეს.

20 და შეიძინა იოსებმა ეგვიპტელთა მთელი მიწა ფარაონისთვის, რადგან აძლევდნენ ეგვიპტელები თავის მიწას ფარაონს, რადგან მოიცვა ისინი შიმშილმა; და განდა მიწა ფარაონისა;

21 და ვინც დაუძონა მას მონად ეგვიპტის სასლავრების კიდდან კიდემდე, 22 გარდა ძღვედლების მიწისა; არ შეიძინა იგი იოსებმა, რადგან მიცემით მისცა ძღვენი ძღვედლებს ფარაონმა და ჭამდნენ მიცემულს, რაც მისცა მათ ფარაონმა; ამის გამო არ აძლევდნენ თავის მიწას.

23 და უთხრა იოსებმა ყველა ეგვიპტელს: აჰა, გიყიდეთ თქვენ და თქვენი მიწა დღეს ფარაონისთვის; ალღეთ თქვენთვის თესლი და დათესეთ მიწაზე;

24 და იქნება, მისი მოსავლის მეჭუ-  
თედი მიეცით ფარაონს, სოლო ოთხი  
წილი იქნება თქვენთვის მიწის თესვად  
და საჭმელად თქვენთვის და მთელი  
თქვენი სასწრაფოებისთვის.

25 და უთხრეს: გადაგვარჩინე ჩვენ,  
ვპოვეთ მადლი ჩვენი ბატონის წინაშე  
და ვიქნებით ფარაონის მონებნი.

26 და დაუდგინა მათ იოსებმა წესად  
ამ დღემდე ეგვიპტის ქვეყანაში მეჭუ-  
თედის მიცემა ფარაონისთვის, ვარდა  
მღვდლების მიწისა; იგი არ იყო ფარა-  
ონისა.

27 და დასახლდა ისრაელი ეგვიპტის  
ქვეყანაში, გესემის მიწაზე, და დამ-  
კვიდრეს იგი და აღორძინდნენ და  
გამრავლდნენ ძლიერ.

28 და იცოცხლა იაკობმა ეგვიპტის  
ქვეყანაში ჩვიდმეტი წელი; და იყო  
დღეები იაკობის სიცოცხლის წლებისა  
ას ორმოცდამედი წელი.

29 და მოახლოვდა ისრაელის სიკვდი-  
ლის დღეები და მოუხმო თავის ძეს,  
იოსებს, და უთხრა მას: თუ ვპოვე  
მადლი შენ წინაშე, დამადე შენი ხე-  
ლი ჩემი საზარდულის ქვეშ და მო-  
ილე ჩემზე წყალობა და ჭეშმარიტება  
— არ დამსაფლავო მე ეგვიპტეში,  
30 არამედ დავიძინებ ჩემს მამებთან;  
და წამილე მე ეგვიპტიდან და დამსა-  
ფლავე მე მათს საფლავში. სოლო  
მან უთხრა: მე გავაკეთებ შენი სიტყ-  
ვისამებრ.

31 და უთხრა: შემომფიცე მე. და  
შეჭმიცა მას. და თაყუანი სცა ის-  
რაელმა მისი კვერთხის წვერს.

და იყო, ამ სიტყვების შემდეგ  
აუწვეს იოსებს: მამაშენი მეუძ-  
ლოდ არის. და წაიყვანა თავისი ორი  
ძე, მანასე და ეფრემი, და მივიდა  
იაკობთან.

2 და აუწვეს იაკობს და უთხრეს: აჰა,  
შენი ძე, იოსები, მოდის შენთან. ძალა  
მოიკრება ისრაელმა და წამოვდა სა-  
წოლზე.

3 და უთხრა იაკობმა იოსებს: ჩემი  
ღმერთი მეჩვენა მე ლუხაში,\* ქანაანის  
ქვეყანაში, და მაკურთხა მე

4 და მითხრა მე: აჰა, მე ავადღობინებ  
შენ და გავამრავლებ შენ და გაქცევ  
შენ საღმრთა კრებულად და მოგცემ  
შენ, და შენს თესვს შენ შემდეგ ამ  
ქვეყანას საუკუნო სამფლობელოდ.

5 ამიტომ ახლა შენი ორი ძე, რომ-  
ლებიც გვაუდა შენ ეგვიპტეში, ვიდრე  
მე მოვიდოდი შენთან ეგვიპტეში, ჩემია;  
ეფრემი და მანასე, როგორც რუბენი  
და სიმეონი, იქნებიან ჩემი;

6 სოლო შთამომავლობა, რომელიც  
გეყოლება ამის შემდეგ, შენი იქნება;  
თავისი ძმების სახელით იწოდებიან  
თავ-თავის წილსვედრნი.

7 სოლო მე როცა მოვიდოდი ასუ-  
რეთის შუამდინარეთიდან, მოკვდა რაქე-  
ლი, დედაშენი, ქანაანის ქვეყანაში,  
როცა მიუახლოვდი მე ცნებისარ-  
ბიელის მიწას ქანართაზე, ვიდრე მივი-  
დოდი ეფრათამი; და დავმარხე იგი  
ცნებისარბიელის გზაზე — ეს არის  
ბეთლემი.

\* ლუხა — იგივე ულამლუხი, ადგილი, სადაც ხარანში მიმავალ იაკობს გამო-  
ეცხადა უფალი და რომელსაც იაკობმა უწოდა სახელი ღვთისა (იხ. შექ. 28,12-19).

8 და როცა დაინახა ისრაელმა იოსების ძეები, თქვა: ვინ არიან შენთვის ესენი?

9 და უთხრა იოსებმა თავის მამას: ჩემი ძეები არიან, რომლებიც მომცა მე ღმერთმა აქ. და უთხრა იაკობმა: მომიუხე მე ისინი, რათა ვაკურთხო ისინი.

10 ხოლო მისი თვალები დამძიმებული იყო სიბერისგან და არ შეეძლო დახანჯვა; და მიუახლოვა ისინი მას და ეამბოროა მათ და მოეხვია მათ.

11 და უთხრა ისრაელმა იოსებს: აჰა, შენი სახის ხილვა არ მომკლდა და, აჰა, მაჩვენა მე ღმერთმა შენი თესლიც.

12 და გამოიყვანა ისინი იოსებმა მისი მუხლებიდან და თავუანა სცეს მას ზირით მიწამდე.

13 და მიიყვანა იოსებმა თავისი ორი ძე, ეფრემი მარჯვენით ისრაელის მარცხნივ, ხოლო მანასე მარცხნით ისრაელის მარჯვნივ და მიუახლოვა ისინი მას.

14 და გაიწოდა ისრაელმა მარჯვენა ხელი და დაადო თავზე ეფრემს და ეს იყო უმცროსი, და მარცხენა — თავზე მანასეს, შეცვალა რა ხელები.

15 და აკურთხა ისინი და თქვა: ღმერთმა, რომლის წინამეც სათხო იყვნენ ჩემი მამები: აბრაამი და ისაკი, ღმერთმა, რომელმაც გამომწარდა მე სიჭაბუკიდან ამ დღემდე,

16 ახველოვნმა, რომელმაც დამიცვა მე ყოველგვარი ბოროტებისგან, აკურთხოს ეს ყრბები და იყოდებოდეს მათზე ჩემი სახელი და სახელი ჩემი მამები-

სა, აბრაამისა და ისაკისა, და გამრავლდნენ დიდ სიმრავლედ ქვეყანაზე.

17 და როცა დაინახა იოსებმა, რომ დაადო მამამ თავისი მარჯვენა თავზე ეფრემს, მძიმე აღმოჩნდა მისთვის და მოჰკვიდა იოსებმა თავის მამას ხელი, რათა გადაეტანა იგი ეფრემის თავიდან მანასეს თავზე.

18 და უთხრა იოსებმა თავის მამას: ასე არა, მამა, რადგან ეს არის ზირი; დაადე შენი მარჯვენა მას თავზე.

19 და არ ისურვა, არამედ უთხრა: ვიცე, შვილო, ვიცე; ესეც იქნება ერი და ესეც ამაღლდება, მაგრამ მისი უმცროსი ძმა მასზე დიდი იქნება და მისი თესლი იქცევა ხალხთა სიმრავლედ.

20 და აკურთხა ისინი იმ დღეს და თქვა: თქვენით იკურთხება ისრაელი და იტყვიან: გაქციოს შენ ღმერთმა, როგორც ეფრემი და როგორც მანასე; და დაუყნა ეფრემი მანასეს წინ.

21 და უთხრა ისრაელმა იოსებს: აჰა, მე ვკვდები და იქნებ ღმერთი თქვენთან და დაგანბრუნებთ თქვენ ღმერთი ამ ქვეყნიდან თქვენი მამების ქვეყანაში;

22 ხოლო მე გაძლევ შენ სიკიძას,\* გამორჩეულს, შენს ძმებზე მეტს, რომელიც მივიღე ამორელთა ხელიდან ჩემი მახვილით და მშვილდით.

თაჰო 49

**ღ**ა მოუხმო იაკობმა თავის ძეებს და უთხრა: შემოიკრიბეთ, რათა გამცნოთ თქვენ,

\* სიკიძა — მიწის ნაკვეთი ქალაქ სიქემის მახლობლად, სადაც დაკრძალეს იოსები.

რბ შეგემთხვევათ თქვენ უკანასკნელ  
დღეებში;  
2 შეგროვდით და ისმინეთ იაკობის  
ძეებმა,  
ისმინეთ ისრაელისა, თქვენი მამისა.  
3 რუბენი, ზიმშო ჩემი, შენ ხარ  
ძალა ჩემი და დანაბამი ჩემი შვილებისა,  
სასტიკი გამოჩნდი, სასტიკი და თავსუდი.  
4 ახვირთდი, როგორც წყალი, ნუ  
აღუღლები;  
რადგან ახვედი მამაშენის საწოლსზე;  
მაშინ შეაგებე სარეცელი, რომელსზეც  
ახვედი.  
5 სიმეონმა და ლევიმ, ძმებმა,  
აღასრულეს უსამართლობა თავისი  
თავდასნდით.  
6 მათ ზრანვაში ნუ შევა სული ჩემი,  
და მათ კრებას ნუ აჰყვება ღვიძლი  
ჩემი,  
რადგან თავისი გულისწყრომით დასო-  
ცეს კაცები  
და თავისი გულისთქმით ძარღვები  
გადაუჭრეს კუროს.  
7 წყეული იყოს მათი გულისწყრომა,  
რადგან თავსეობაა,  
და მათი მრისხანება, რადგან გასას-  
ტიკდა.  
დაუნაწილებ მათ იაკობში  
და გაუფანტავ მათ ისრაელში.  
8 თუდა, შენ შეგაქებენ შენი ძმები;  
შენი ხელები შენი მტრების ზურგზე  
იქნება;  
თაყვანს გცემენ შენ მამაშენის ძეები.  
9 ლომის ბოკვერია თუდა;  
ულორტისგან, ძეთ ჩემო, ამოხვედი,  
დაწოლილმა მიიძინე, როგორც ლომმა  
და როგორც ბოკვერმა; ვინ აღადგენს  
მას?  
10 არ მოაკლდება მთავარი თუდასგან  
და წინამძღვარი მისი სახარდულიდან,

ვიღრე არ მოვა, ვისთვისაც გამზადე-  
ბულია,  
და იგი არის მოლოდინი წარმართთა.  
11 გამოაბამს ვაზს თავის კვიცს  
და რქას – თავისი სახედრის კვიცს;  
გარეცნავს ღვინით თავის სამოსს  
და ურძნის სისხლით – თავის შემო-  
სახვევს;  
12 მხარულია მისი თვალები ღვინისგან,  
და თეთრია მისი კბილები რძესე მტად.  
13 საბულონი ზღვის ჰირას დამკვიდ-  
რდება,  
და იგი იქნება ნავსაყუდელთან  
და მიადწევს სიღონამდე.  
14 ისაქარმა კეთილი ისურვა,  
დაისვენა წილხვედრთა შორის;  
15 და იხილა დახვეწება, რომ კარგია,  
და მიწა, რომ ნოყიერია,  
იტვირთა თავის მხრებსზე შრომა,  
და ვახდა კაცი მიწათმოქმედი.  
16 დანი ვახსჯის თავის ერს,  
როგორც ერთი ტომი ისრაელში.  
17 და იყოს დანი ვეფელი გზასზე,  
მჯდომარე ბილიკზე,  
დამკვლავი ცნების ტერფისა,  
და გადავარდება მხედარი უკან,  
18 მომლოდინე უფლის სხნისა.  
19 გადი, გამოცდა გამოცდის მას,  
ხოლო იგი გამოცდის მათ ფუნდაფუნ.  
20 ასერი, ნოყიერია მისი ჰური,  
და იგი მისცემს საზრდოს მთავრებს.  
21 ნეფთალი გამოილინეა, სეა,  
გამოიღებს ნაყოფით სიკეთეს.  
22 ძე აღორძინებული, იოსები,  
ძე აღორძინებული, შენაშური,  
ძე ჩემი, უმცროსი;  
ჩემთან დაბრუნდი.  
23 ვის შესახებაც ბჭობდნენ და კიცხა-  
დნენ,  
და შეიპურეს იგი მშვილდოსნებმა;

24 და შეიმოსრა ძლიერებით მათი მშვილდები, და მოღუნდა ძარღვები მათ ხელოთა მკლავებისა ძლიერი იაკობის ხელით, იქიდან გაძლიერდა ისრაელი, ღვთისაგან მამაშენისა, 25 და შეგვიწია შენ ღმერთი ჩემი, და გაკურთხა შენ შემოდან კურთხევით ზეცისა და კურთხევით ყველაფრის მქონე ქვეყნისა, კურთხევის გამო ტუტუთა და საძოსი, 26 კურთხევით მამაშენისა და დედაშენისა; გაძლიერდა მუარი მთების კურთხევაზე მეტად, და საუკუნო ბორცვთა კურთხევაზე მეტად, და იქნება იოსების თაზე და თხემზე, რომლითაც უძღოდა ძმებს. 27 ბენიამინი მტაცებელი მგელია, ცისკარზე შეჭამს კიდეც, და მწუსრზე განაწილებს საზრდოს. 28 ყველა ეს ძე იაკობისა თორმეტია. და ეს უთხრა მათ მათმა მამამ და აკურთხა ისინი, თითოეული მისი კურთხევისამებრ, აკურთხა ისინი. 29 და უთხრა მათ: მე შევეურთდები ჩემს ერს; დამსაფლავავე მე ჩემს მამებთან გამოქვაბულში, რომელიც არის ეფრონ ქეტელის მიწაზე, 30 ორმაგ გამოქვაბულში, მამრეს ჰირდაპირ, ქანანის ქვეყანაში, გამოქვაბულში, რომელიც შეიძინა აბრაამმა

საკუთრებად ეფრონ ქეტელისგან სამარნისათვის. 31 იქ დანაფლავავეს აბრაამი და სარრა, მისი ცოლი, და იქ დანაფლავავეს ისნაკი და რებეკა, მისი ცოლი, და იქ დანაფლავავეს ლია, 32 ქეტის ძეებისგან შეძენილ მიწაზე და გამოქვაბულში, რომელიც მასზეა. 33 და დანივეს იაკობმა, როცა უბრძანა თავის ძეებს, და დაწყო ფეხები საწოლზე და დაიღია და შეუერთდა თავის ერს.

თა30 50

**ღ** ა დავხო იოსები თავის მამას სახეზე და დასტიროდა მას და ეამბორებოდა მას. 2 და უბრძანა იოსებმა თავის მსახურებს, შემსურველებს, თავისი მამის შემსურვა\* და შემსურეს შემსურველებმა ისრაელი. 3 და შესურულეს მას ორმოცი დღე, რადგან ასე აღიორცნება დასაფლავების დღეები. და ივლოვა იგი ევვიპტემ სამოცდაათი დღე. 4 და როგორც კი ვავიდა ვლოვის დღეები, დაელაპარაკა იოსები ფარაონის დიდებულებს და უთხრა: თუ ვპოვე მადლი თქვენ წინაშე, თქვით ფარაონის ყურადსაღებად და უთხარი: 5 მამაჩემმა დამაფიცა მე და მითხრა: სამარხში, რომელიც ვავთხარე ჩემთვის ქანანის ქვეყანაში, იქ დამსაფლავავე მე; ამიტომ ასეა ავად და დაუსაფლავებ მამაჩემს და დავბრუნდები.

\* შემსურველი - მიცვალებულთა ბალზამირების შემსრულებელი ეგვიპტური ტრადიციით. შემსურვა - ბალზამირება, რომელიც სრულდებოდა ორმოცი დღე და რამდენიმე სტადიას მოიცავდა.



6 და უთხრა ფარაონმა: ადი, დახსნა-  
ლავე მამაშენი, როგორც დაგაფიცა შენ.

7 და ავიდა იოსები, რათა დაესაფ-  
ლავებინა თავისი მამა, და ავიდნენ  
მასთან ერთად ფარაონის ყველა მსა-  
ხური და მისი სახლის უზენესები და  
ეგვიპტის ქვეყნის ყველა უზენესი

8 და იოსების მთელი სახლეუელი და  
მისი ძმები და მთელი მისი მამისე-  
ული სახლი; და ნათესაობა და ცნვა-  
რი და ძროხა და ტოვეს გესემის მი-  
წაზე.

9 და ავიდნენ მასთან ერთად ეტლებიც  
და მხედრებაც და გახდა ბანაკი ძლი-  
ერ დიდი.

10 და მივიდა ატადის კალოებზე,  
რომელიც არის იორდანის ვადმა, და  
გოდებდნენ მასზე დიდი გოდებით და  
ძეკად ძლიერ; და მოუწყო გლოვა თა-  
ვის მამას შვიდი დღე.

11 და დაინახეს ქანანის ქვეყნის მცხოვ-  
რებლებმა გლოვა ატადის კალოებზე  
და თქვეს: დიდი გლოვაა ეს ეგვიპ-  
ტელთათვის; ამის უამრავი ეწოდა იმ  
ადგილს სახელი ეგვიპტის გლოვა,\*  
რომელიც არის იორდანის ვადმა.

12 და გაუკეთეს მას მისმა ძეებმა  
ისე, როგორც უბრძანა მათ.

13 და წაიღეს იგი მისმა ძეებმა ქანანის  
ქვეყანაში და დახსაფლავეს იგი ორ-  
მაგ გამოქვაბულში, გამოქვაბულში,  
რომელიც შეიძინა აბრაამმა საკუთრებად  
სამარნისათვის ეფრონ ქეტელისგან მამ-  
ბრეს ზირდანორ.

14 და დაბრუნდა იოსები ეგვიპტეში,  
ის და მისი ძმები და ვინც მასთან  
ერთად ავიდა, რათა დაესაფლავებინათ  
მისი მამა.

15 და როცა დაინახეს იოსების ძმე-  
ბა, რომ მოკვდა მათი მამა, თქვეს:  
ვაითუ გაგვიხსნოს ჩვენ უკეთურება იო-  
სებმა და მოსაგებელი მოგვაგოს ჩვენ  
ყველა უკეთურებისთვის, რაც ვაჩვეყეთ  
მას.

16 და მივიდნენ იოსებთან და უთხრეს:  
მამაშენმა დაიფიცა, ვიდრე აღესრულე-  
ბოდა იგი და თქვა:

17 ასე უთხარით იოსებს: მიუტყვე  
მათ მათი უსამართლობა და ცოდვა,  
რადგან ბოროტება ვაჩვეყეს შენ; და  
ახლა შეიწყნარე მამაშენის ღვთის  
მსახურთა უსამართლობა. და ატირდა  
იოსები, როცა ელაპარაკებოდნენ ისინი  
მას.

18 და მივიდნენ მასთან და უთხრეს:  
აჰა, ჩვენ შენი მონები ვართ.

19 და უთხრა მათ იოსებმა: ნუ გემ-  
ინიათ, რადგან ღვთისა ვარ მე.

20 თქვენ გახიზრახეთ ჩემთვის ბორო-  
ტი, სოლო ღმერთმა გახიზრახა ჩემ-  
თვის კეთილი, რომ ყოფილიყო, რო-  
გორც დღეს, რათა გამოკვებილიყო მრ-  
ვალი იგი.

21 და უთხრა მათ: ნუ გემინიათ, მე  
გამოგვივებათ თქვენ და თქვენს სახ-  
ლეებს. და ანუგემა ისინი და ელაპარ-  
აკა, როგორც მათ გულებს უნდო-  
დათ.

22 და დამკვიდრდა იოსები ეგვიპტე-  
ში, ის და მისი ძმები და მისი მამის  
მთელი სახლეუელი. და იცოცხლა იო-  
სებმა ას ათი წელი.

23 და ნახა იოსებმა ეფრონის შვილები  
მესამე თაობამდე და მანასყს მის,  
მაქირის, ძეები იშვენ იოსების მუნ-  
ლეზე.

\* ეგვიპტის გლოვა – ებრ. აბელ მიცრაიმ.

24 და უთხრა იოსებმა თავის ძმებს და თქვა: მე ვკვდები; მოხედვით მოხედვით თქვენ ღმერთი და გავიყვანთ თქვენ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც შეპყროვდა ღმერთმა ჩვენს მამებს: ანკონს და ინანს და იაკობს.

25 და დააფიცა იოსებმა ისრაელის ძეგები და უთხრა: მოხედვისას, რომელითაც მოხედვით თქვენ ღმერთი, თან წაიღეთ ჩემი ძეგები თქვენ აქედან. 26 და აღესრულა იოსები ას ათი წლისა; და დაასაფლავეს იგი და ჩადეს იგი ლუსკუმაში, ეგვიპტეში.







მთარგმნელი  
საქართველოს საპატრიარქოსთან  
არსებული ბიზლის თარგმნის ჯგუფი

ხელმძღვანელი  
პროტოპრესვიტერი ზიორაძე

წევრები:  
ა. არჩევანიძე, მ. გოგილაშვილი,  
ქ. მათიაშვილი, მ. ოვაშვილი, ლ. ჩელიძე

ტექსტის რედაქტირებაზე მუშაობდა  
აკაღ. ლ. მელიქიშვილი

კორექტორი  
ნ. ბოკუჩავა

მხატვარი და მხატვრული რედაქტორი  
ს. ბაჩანილაძე

კომპიუტერული მომსახურება  
ბ. ჩიქობავასი



გამოიცა მართლმადიდებელ ქრისტიანთა  
საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთლემის“ დახმარებით  
ტირაჟი 1000